

178
1991
w.

ISSN 0868-4537



5

სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • კუბლიცისტობა

სი 255mm
15/111 - 955

JS

JUST GEORGIA

19915

მთავარი რედაქტორი
თევდოშვილი ნინო

სარედაქციო კოლეგია:

- ვაშა აბაქელია,
- ანზო არსენაშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
- გელა ბერძენიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ გამყრელიძე,
- როლანდ ბილიაშვილი,
- ავთანდილ დუმბარაშვილი,
- მიხეილ კეკელია,
- ზურა ლეკვიშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან კიტავა,
- ჯონი ჯალაღანია.

ტექნიკური რედაქტორი
გულნარა ბოსნიკაშვილი

20096

სარედაქციო საბჭო:

ვანტანა აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანდრო ბაბიანი, ევდოშვილი ნინო, გივი ინჟინიკვილი, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნაძარევიშვილი, ნოდარ ნაზარევიძე, ვანტანა რაჭვაძე, ჯურჯან რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, შინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკოვ ფუტყაძე, თამარ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე ურუხაშვილი, ირაკლი ნიჟარაძე, დიდაკ საბუ-ლიანი, ჯონი ხატურაძე, სერგო ჯორჯანიანი.

სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი


გამოდის 1928 წლიდან

№ 5 1991

8 ა ი ნ ი

ს ა ძ ი ე ბ ე ლ ი

საუბრაში საქართველოს სამართლებრივ მდგომარეობაზე რეჟინალდ დეპანოვიჩილი — საქართველოს საზღვაო სამართალ-სუბიექტობა: პრობლემები, ამოცანები	2
იაკობ ფუტბარაძე — ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და საქართველოს სახელმწიფო წყობილება	10
პრაქტიკა	
ამთანდილ კობახიძე — სამოქალაქო სამართალდარღვევა კონფისკაციას არ უნდა იწვევდეს	17
მარინე კვაჭაძე — განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციისათვის	25
დავით დარახველიძე — სიკვდილით დასჯა და საზოგადოებრივი აზრი	32
დაბრუნებული სახელები	
კონსტანტინე მიქელაძე — დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა	36
სიახლენი კანონმდებლობაში	43
დოკუმენტები	
მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი	52
მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის	57
აქტუალური ინტერვიუ	63
„ბოროტსა სძლია კეთილმან...“	
წერილი რედაქციას	67
ირაკლი გომიანიძე — შეჯერდეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ინფორმაცია	
თამარ მბრალიძე — წიგნის საჯარო განხილვა	70
ბელა ბარძენიშვილი — თურქი იურისტები თბილისში	79



რეჟინალ დეპარტამენტი

საქართველოს საგარეო საერთაშორისო ურთიერთობა: პრობლემა, ამოცანები

საქართველო გაბედულად დაადგა სრული, რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების გზას. ამას მოწმობს შედარებით მოკლე დროში მომხდარი სერიოზული გარდაქმნები სახელმწიფო აღმშენებლობის სფეროში, ამისვე ნათელი დადასტურებაა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხებზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგები და ამავე წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი.

ამასთან დაკავშირებით წამოიჭრება მრავალი საკითხი, რომლებიც განეკუთვნება საქართველოს მიერ თავისი სუვერენიტეტის, სუვერენულ უფლებათა დაცვას და განხორციელებას. ერთ-ერთი ამ საკითხთაგანია საქართველოს სუვერენულ უფლებათა განხორციელება შავი ზღვის იმ სივრცეებში, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას ესაზღვრება. მხედველობაში გვაქვს, უწინარესად, კონტინენტური შელფი და განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, აგრეთვე შიდა საზღვაო წყლები და ტერიტორიული ზღვა.

1. თავდაპირველად, საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით, როგორცაა ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე სანაპირო ზონის, ღია ზღვისა და კონტინენტური შელფის შესახებ მოქმედი 1958 წ. ენევის კონვენციები, აგრეთვე საზღვაო სამართლის თაობაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წ. კონვენცია, გვარკვეოთ შემდეგი ცნებების შინაარსი: „შიდა საზღვაო წყლები“, „ტერიტორიული ზღვა“, „ღია ზღვა“, „კონტინენტური შელფი“, „განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა“. ეს საჭიროა იმიტომაც, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ზოგიერთ პროექტში, რომლებიც თავის დროზე (1990 წ.) სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ იყო შემოთავაზებული, ზემოაღნიშნული ცნებები არასწორად არის გაგებული და გამოყენებული.

შიდა საზღვაო წყლები — ეს არის ერთი და იმავე სახელმწიფოს სახმელეთო ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ზღვები, ყურეები, საზღვაო ნავსადგურებისა და ზღვის უბეების წყლები და სხვა, რომლებიც განსხვავდებიან შიდა, არასაზღვაო წყლებისაგან (მდინარეების, ტბებისა და სხვა წყალსატევების წყლები).

თი რამ შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად გამოორიცხული". აქ იგულისხმება სწორედ სოციალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი ბანალური მოვლენა — საჭირო სუბიექტური ფაქტორის გარეშე არ არსებობს განსაზღვრული მოვლენის განხორციელების შესაძლებლობა. ალბათ საჭიროა, რომ მომავალში ფილოსოფოსებმა სერიოზული ყურადღება მიაპყრონ სუბიექტური მიზეზობრიობის გამოკვლევას. ყოველ შემთხვევაში საამისოდ პირველი ქვა უკვე ჩადებულია.

დ. სულაქველიძემ სადავოდ მიიჩნია მიზნის გამოცხადება განზრახვი ბრალის სტრუქტურულ ელემენტად. (გვ. 170-171). პირდაპირი განზრახვის დროს ბრალისმიერი გათვალისწინებისა და სურვილის ობიექტი შეიძლება იყოს მათგან დამოუკიდებელი მოვლენის ცნობიერი მოდელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვა გადაიქცევა თავისი თავის სურვილად. ასეთი მომენტები განსახილველ ნაშრომში მოიძებნება, — თქვა მან, მაგრამ ისინი არ არიან მნიშვნელოვანი ხასიათისა. შეიძლება თუ არა გამოითქვას არსებითი ხასიათის კრიტიკა ო. გამყრელიძის წიგნის მიმართ? რა თქმა უნდა, საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე პრეტენზია არავის არა აქვს და კრიტიკაც შეიძლება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ უარყოფთ ავტორის კონცეფციას. მაგრამ ეს უკანასკნელი სისხლის სამართლის დოგმატიკის პოზიციიდან იმდენად არგუმენტირებული, მყარი და ლოგიკურად გამართულია, რომ მისი უყუგდება ამის მსურველისაგან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს და ადვილი შესაძლებელია ცდა უნაყოფო გამოდგეს.

მთლიანობაში ბატონ ოთარ გამყრელიძის ნაშრომი, როგორც იურიდიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისით წარმოადგენს კარგად დასაბუთებულ, მწყობრ თეორიულ სისტემას, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის ძალზე ბევრი პრაქტიკული საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის. იგი ქართული იურიდიული აზროვნების მაღალღირებულ შენაძენს წარმოადგენს.

უმართლობის სუბიექტური ელემენტების თეორიისადმი კრატეული დამოკიდებულება გამოხატა თავის გამოსვლაში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ლამარა სურგულაძემ**. მიზნის გადმოტანა ობიექტური უმართლობის დასაფუძნებლად — თქვა მან, ვფიქრობ მკითხველისათვის ძნელი აღსაქმელია. სისხლის სამართლის ბევრი ფუნდამენტური საკითხი წიგნში სრულიად ახლებურად არის გააზრებული. ამა თუ იმ პრობლემის გამოკვლევას ავტორი იწყებს იმ კლასიკური თეორიული მემკვიდრეობის ანალიზით, რომელშიც პირველადი სახით არის ჩამოყალიბებული ეს პრობლემა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული კონცეფციების გადმოცემა, რაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს იმას, ვინც ენა არ იცის.

მწვავე დისკუსია გაიმართა დანაშაულის ცნების სამნიშვნოვანი სტრუქტურის შესახებ. ო. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ეს სტრუქტურა თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ძნელია მოიძებნოს ისეთი სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რომლის სწორად გადაწყვეტასაც იგი ხელს არ უწყობდეს. ამის ერთერთ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ეს ნაშრომი, სადაც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი გაუშუქებულია სწორედ დანაშაულის ამ სამნიშვნოვან სტრუქტურაზე დაყრდნობით, რასაც მკითხველი ალბად შენიშნავდა. უფრო მეტიც, ამ სტრუქტურის

ვენციის თანახმად, სანაპირო სახელმწიფო კონტინენტურ შეღწევა ახორციელებს სუვერენულ უფლებას, მისი ბუნებრივი რესურსების დაზვერვისა და გამოყენების მიზნით. ეს უფლებები განსაკუთრებულია იმ გაგებით, რომ, თუ სანაპირო სახელმწიფო არ აწარმოებს შეღწის ბუნებრივი რესურსების დაზვერვა-გამოყენებას, არავის არ შეუძლია ეს სამუშაოები აწარმოოს სანაპირო სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული წესით გამოხატული თანხმობის გარეშე. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კონტინენტური შეღწის რესურსები — უმთავრესად მინერალური და სხვა არაცოცხალი რესურსები, რომლებიც, კონტინენტური შეღწის ზემოთ მოთავსებული ზღვის წყლების ცოცხალი (უწინარესად, თევზის) რესურსებისაგან განსხვავებით, მუდმივად შეღწის ზედაპირზე ან მის წიაღში მდებარეობს და სანაპირო სახელმწიფოს ტერიტორიის მინერალურ რესურსებთან მჭიდრო ორგანულ კავშირში იმყოფებიან. აქედან გამომდინარე, სანაპირო სახელმწიფოს, ჯერ ერთი, შეუძლია შეღწის რესურსები თავის საკუთრებად გამოაცხადოს და, მეორეც, მას აქვს გარკვეული უფლებები თვით კონტინენტურ შეღწეზე. მაგრამ ეს უფლებები შეზღუდული და მიზნობრივია, ე. ი. მხოლოდ განსაზღვრული მიზნით ხორციელდება და არ შეიძლება სუვერენიტეტს გაუთანაბრდეს. ამდენად, კონტინენტური შეღწის სახელმწიფო ტერიტორიას არ წარმოადგენს. იგი განსაკუთრებული კატეგორიის სივრცეა, რომელიც განსხვავდება როგორც სახელმწიფო ტერიტორიის, ასევე საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიისაგან, როგორც არის, მაგალითად, ღია ზღვა, კონტინენტური შეღწის ფარგლებს გარეთ მდებარე ზღვის ფსკერი (ეროვნული იურისდიქცია).

ამრიგად, სანაპირო სახელმწიფოს არ შეუძლია კონტინენტური შეღწის, მისი რესურსებისაგან განსხვავებით, თავის საკუთრებად გამოაცხადოს.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა. ეს ცნება „კონტინენტური შეღწის“ ცნებაზე გვიან წარმოიშვა და ასახვა ჰპოვა სხვადასხვა საზღვაო სახელმწიფოს სამოცდაათიანი წლების კანონმდებლობაში, შემდეგ კი დაწვრილებით არის რეგლამენტირებული საზღვაო სამართლის შესახებ გაერო-ს 1982 წ. კონვენციაში. მისი იდეა მდგომარეობდა სახელმწიფოთა მიმდებარე საზღვაო სივრცეებში (ფსკერის სივრცეებშიც, წყლის სივრცეებშიც) მათი ეკონომიკური ინტერესების (პირველ ყოვლისა, რესურსების) დაცვაში. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა, რომლის სიგანე არ შეიძლება 200 საზღვაო მილს აღემატებოდეს, წარმოადგენს რთულ წარმონაქმნს, რადგან თავისი სტატუსით ორი განსხვავებული კომპონენტის — კონტინენტური შეღწისა (იურიდიული გაგებით) და წყლის სივრცისაგან (ან წყლის სიღრმისაგან) შედგება. კონტინენტურ შეღწეზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ. რაც შეეხება კონტინენტური ზონის წყლის სივრცეს, ის წარმოადგენს ღია ზღვის სპეციფიკურ ნაწილს სანაპირო სახელმწიფოების სასარგებლოდ დაშვებული ზოგიერთი გამონაკლისითურთ. ეს გამონაკლისები, კერძოდ, იმაში მდგომარეობს, რომ ეკონომიკური ზონის წყლის სივრცეებში სანაპირო სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლებები ცოცხალი რესურსების დაზვერვის, დამუშავებისა და შენარჩუნების მიზნით. სანაპირო სახელმწიფო ამ ზონაში თევზის რეწვის უფლებას სხვა სახელმწიფოებს ასლევს მხოლოდ განსაკუთრებული პირობების დაცვისას.

ხაზს ვუსვამთ, რომ სანაპირო სახელმწიფოს სუვერენული უფლებები აქვს არა თავისი ეკონომიკური ზონის ცოცხალ რესურსებზე, არამედ დაზვერვაზე, დამუშავებაზე და ა. შ. ეს გასაგებიცაა: ცოცხალი რესურსები ხომ დიდ მანძილზე გადაადგილდებიან, „ანგარიშს არ უწევენ“ რა ეკონომიკურ ზონებს და საზღვაო სივრცეების სხვა სახეებს. ამიტომ, სანამ ეს რესურსები მოპოვებული არ არის, ისინი არ არის და არც შეიძლება იყოს სანაპირო სახელმწიფოს საკუთრება. წინააღმდეგ შემთხვევაში საკუთრების უფლების სუბიექტი ყოველ კერძო შემთხვევაში შეიცვლებოდა იმის კვალობაზე, თუ როგორ გაჩნდებოდა სხვადასხვა სახელმწიფოს ეკონომიკურ ზონებში „საკუთრების ერთი და იგივე ობიექტი“.

ზემოაღნიშნული სუვერენული უფლებების გარდა, სანაპირო სახელმწიფოს თავისი ეკონომიკური ზონაში მნიშვნელოვანი უფლებები აქვს ხელოვნური კუნძულების, დანადგარებისა და ნაგებობების შექმნისა და გამოყენების, საზღვაო სამეცნიერო გამოკვლევების, საზღვაო სივრცის დაცვისა და შენარჩუნების მხრივ.

ახლა შეიძლება ვნახოთ, როგორია შავი ზღვის იმ სივრცეთა სამართლებრივი მდგომარეობა, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის სანაპიროს ესაზღვრება. მათი სამართლებრივი მდგომარეობა ან რეჟიმი განისაზღვრება როგორც ორმხრივი და ცალმხრივი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტებით, ისე, ჭერჯერობით, სსრკ კანონმდებლობით.

ამრიგად, საქართველოს შიდა საზღვაო წყლებისა და ტერიტორიული ზღვის სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება: ტერიტორიული ზღვისა და მიმდებარე ზონის უენევის 1958 წ. კონვენციით; საზღვაო სამართლის შესახებ გაერო-ს 1982 წ. კონვენციით; შავ ზღვაში საბჭოთა და თურქეთის ტერიტორიულ წყლებს შორის საზღვაო სასაზღვრო ხაზის განსაზღვრისათვის სსრკ მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1973 წ. 17 აპრილს ხელმოწერილი ოქმით; „სსრკ სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ 1982 წ. კანონით.

კონტინენტური შელფის სამართლებრივი რეჟიმი განისაზღვრება: კონტინენტური შელფის შესახებ უენევის 1958 წ. კონვენციით; საზღვაო სამართლის შესახებ გაერო-ს 1982 წ. კონვენციით, შავ ზღვაში საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკას შორის კონტინენტური შელფის გამიჯვნის შესახებ სსრკ მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 1978 წ. 23 ივნისს დადებული შეთანხმებით „სსრ კავშირის კონტინენტური შელფის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წ. 6 თებერვლის ბრძანებულებით და სხვა.

განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სამართლებრივი რეჟიმი რეგულირდება: საზღვაო სამართლის შესახებ გაერო-ს 1982 წ. კონვენციით, „სსრკ ეკონომიკური ზონის შესახებ“ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წ. 28 თებერვლის ბრძანებულებით და სხვ.

ტერიტორიული ზღვის სიგანე, მათ შორის შავ ზღვაშიც, სსრკ სახელმწიფო საზღვრის შესახებ 1982 წ. კანონის თანახმად, არის 12 მილი (საზღვაო მილი — 1,85 კმ), რომლებიც უდიდესი უკუქცევის ხაზიდან გადაითვლება. განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის სიგანე, სსრკ ეკონომიკური ზონის შესახებ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წ. ბრძანებულების თანახმად,

შეადგენს 200 საზღვაო მილს, რომლებიც იმავე საწყისი ხაზებიდან გადაიჭრება, როგორც ტერიტორიული ზღვა.

უნდა ითქვას, რომ შავი ზღვის სხვა სახელმწიფოებმაც — თურქეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმაც 200 მილიანი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონა დააწესეს, ხოლო რამდენადაც შავი ზღვის ზონები შედარებით მცირეა (ფართობი — 420325 კმ², დასავლეთ და აღმოსავლეთ წერტილებს შორის სიგრძე, დაახლოებით 1149 კმ, ჩრდილოეთ და სამხრეთ წერტილებს შორის უდიდესი სიგრძე — 624 კმ, უმცირესი — 263 კმ), ყველა სანაპირო სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები არამცთუ მთლიანად მას, არამედ ერთმანეთსაც გადაფარავენ.

რაც შეეხება შავი ზღვის კონტინენტურ შელფს, საკუთრივ გეოლოგიური შელფი იკავებს ფსკერის ფართობის 24 პროცენტს, მისი გარე საზღვარი 90-160 მ სიღრმეზე (შავი ზღვის საშუალო სიღრმე — 1271 კმ, უდიდესი — 2245 კმ) გადის. ყველაზე განიერი შელფი მოთავსებულია ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, მნიშვნელოვნად უფრო ვიწრო შელფია კავკასიის (უწინარესად, საქართველო) და ანატოლიის ნაპირებთან. მაგრამ იურიდიული თვალთახედვით შავი ზღვის მთელი ფსკერი კონტინენტურ შელფს წარმოადგენს.

3. შავი ზღვის რაიონში საქართველოს აქვს დიდი პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, ჰუმანიტარული და სხვა ინტერესები.

საქართველოს ტერიტორიის მიმდებარე კონტინენტურ შელფზე განლაგებულია რკინა-მანგანუმის კონკრეციების, მაგნეტიტის საკმაო მარაგები, რომ აღარაფერი ვთქვათ სამშენებლო მასალებზე (ქვიშა, ხრეში). აქ არის ნახშირი, ნავთობი, გაზი და სხვა ბუნებრივი სიმდიდრეები. მიმდებარე საზღვაო ზონაში წარმოებს სარეწი თევზჭერა (ქაფშიის, სტავრიდის და სხვა), თუმცაღა არცთუ მნიშვნელოვანი მოცულობით, ვინაიდან თევზის მარაგი შავ ზღვაში შემცირდა, ჯერ ერთი, მისი ნაკლებრაციონალური გამოყენებისა და, მეორეც ზღვის ეკოსისტემის გაუარესების გამო. ახლა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო რაციონალური გავზადოთ თევზჭერა, არამედ აქტიურად შევეუდგეთ შელფზე მალაქრენტაბელური მართვადი საზღვაო მეურნეობების (აკვამეურნეობების) შექმნას. მხედველობაში გვაქვს სამრეწველო მიზნით თევზის, მოლუსკების (მიდების, ხამანწყების), წყალმცენარეების ძვირფასი სახეების ხელოვნური გამოზრდა სანაპირო წყლების საამისოდ ხელსაყრელ აკვატორიუმებში.

შავი ზღვა წარმოადგენს უმსხვილეს სატრანსპორტო მაგისტრალს შავი ზღვისპირა ყველა ქვეყნისათვის. საქართველოსათვის კი ამ მაგისტრალს ქვეშაირიტად სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს მისი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში. ამასთან დაკავშირებით დიდი როლი უნდა შეასრულოს ნაოსნობის განვითარებამ, საზღვაო პორტების მოდერნიზებამ.

საქართველოსათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შავი ზღვის რეკრეაციული რესურსების ეფექტური ათვისების პერსპექტივა. დიდი ამოცანები დგას ამ ზღვის გარემოს დაცვის საქმეში, ვინაიდან მის დაბინძურებას შეიძლება მოჰყვეს მეტად სერიოზული შედეგები, შავი ზღვის ეკოსისტემის შეუქცევადი დარღვევა. უფრო აქტიურად და ფართო მასშტაბით უნდა წარმოებდეს საზღვაო-სამეცნიერო გამოკვლევები.

4. ზემოთქმულიდან ცხადია, რომ საქართველოს რესპუბლიკამ უნდა შექმნას სამართლებრივი საფუძველი იმისათვის, რომ შავი ზღვის, მის მიმდებარე რაიონებში რეალიზებული იყოს მისი სუვერენიტეტი, სუვერენული უფლებები.

უწინარესად, უნდა დადგინდეს, რომ საქართველოს ყველა ბუნებრივი რესურსი, მათ შორის საზღვაოც, მის საკუთრებას წარმოადგენს. ამისათვის შესაბამის საკანონმდებლო აქტში, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიიღებს, შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი მუხლი: „საქართველოს რესპუბლიკის ხელშეუვალ და განუყოფელ საკუთრებაში იმყოფება კონტინენტური შელფის მიწის წიაღი, წყლები, მცენარეული და ცხოველური სამყარო, ბუნებრივი რესურსები. საქართველოს რესპუბლიკას მისი ტერიტორიის მიმდებარე განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში აქვს უფლებები და ვალდებულებები, რომლებიც საერთაშორისო სამართლით არის გათვალისწინებული“. სუვერენულ სახელმწიფოთა სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის (Известия, 9 марта 1991 г; № 58) მე-5 მუხლში ლაბარაკია იმაზე, რომ საბჭოთა კავშირისა და რესპუბლიკების მიერ ერთობლივად განსახორციელებელ უფლებამოსილებას მიეკუთვნება, კერძოდ, „კავშირისა და რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა განხორციელება ეკონომიკური ზონის და კონტინენტური შელფის ბუნებრივ სიმდიდრეებზე“. ყურადღებას არ შევამჩნიებთ რა იმაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკა არ აპირებს ხელი მოაწეროს ნებისმიერ მსგავს ხელშეკრულებას, გვსურს შევჩერდეთ მე-5 მუხლის აღნიშნული ტექსტის, თუნდაც ორ არასწორ დებულებაზე. თუ საქმე ეხება ნამდვილად სუვერენულ სახელმწიფოებს, მაშინ სუვერენული უფლებები აღნიშნულ ობიექტებზე უნდა განახორციელონ სწორედ მათ, და არა კავშირთან ერთად. უკანასკნელს იქ შეუძლია განახორციელოს განსაზღვრული ქმედებანი მხოლოდ თითოეულ ცალკე რესპუბლიკასთან შეთანხმების მიხედვით. შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართლის ზოგადად მიღებული ნორმების თანახმად, განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის წყლის სივრცეში სანაპირო სახელმწიფოს აქვს სუვერენული უფლებები ამ ზონის ცოცხალი რესურსების დაზვერვის, დამუშავებისა და შენარჩუნების მიზნით, და არასუვერენული უფლებები ცოცხალ რესურსებზე.

საქართველოს რესპუბლიკას ევალება მიიღოს იმ საკანონმდებლო აქტების მთელი კომპლექსი, რომლებიც მის სამართალსუბიექტობას განეკუთვნება. შესაძლოა, ეს იყოს ერთიანი საკანონმდებლო აქტი ტერიტორიული ზღვის, შიდა წყლებისა და კონტინენტური შელფის შესახებ, ან შეიძლება, უფრო მიზანშეწონილი იყოს კანონის მიღება განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ (აქ შევიდოდა კონტინენტური შელფის საკითხებიც), ხოლო საკითხები, რომლებიც ტერიტორიულ ზღვას ეხება, გამოიყოს ცალკე საკანონმდებლო აქტად ან იქცეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონის შემადგენელ ნაწილად.

ბუნებრივია, საქართველო უნდა გახდეს საზღვაო სამართლის თაობაზე გაერო-ს 1982 წ. კონვენციის მონაწილე.


არ არის გამორიცხული, რომ გარკვეული დროის განმავლობაში საქართველოს განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და კონტინენტურ შელფზე, გარკვეული შეთანხმების საფუძველზე მოქმედებდეს კავშირის ზოგიერთი სტრუქტურა.

ტურა, სახელდობრ, ზღვის გარემოსა და ამ რაიონების დაცვის, იქ სამეცნიერო კვლევების ჩატარებისათვის. მაგრამ, ალბათ, უპირატესობა სხვა ვარიანტს უნდა მიენიჭოს: მსგავსი და სხვა ქმედებანი შეიძლება განხორციელდეს შავიზღვისპირა სხვა სახელმწიფოებთან ერთად. შავიზღვისპირა ქვეყნებთან — ბულგარეთთან, რუსსრ-სთან, რუმინეთთან, თურქეთთან, უკრაინასთან, თანამშრომლობა სულ სხვადასხვა სფეროში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. აქ შევა საკითხებიც, რომლებიც შავი ზღვის გარემოს დაცვას, მისი ცოცხალი და მინერალური რესურსების გამოყენებას, ნაოსნობას განეკუთვნება. წამოიჭრება პრობლემები, რომლებიც შეეხება თურქეთთან და რუსსრ-სთან კონტინენტური შელფის, ეკონომიკური ზონისა და ტერიტორიული ზღვის გამიჯვნას. რაც შეეხება თურქეთს, აქ, რა თქმა უნდა, საფუძვლად შეიძლება იყოს გამოყენებული სსრკ-სა და თურქეთს შორის არსებული შეთანხმებანი.

საერთოდ, რომელიმე რეგიონის ქვეყნების თანამშრომლობა, მათ შორის საზღვარიც, მოწონებულა თანამედროვე საერთაშორისო სამართლის მიერ. გავრო-ს 1982 წ. ცნობილი კონვენციით გათვალისწინებულია, მაგალითად, იმ სახელმწიფოთა თანამშრომლობა, რომლებსაც ეკვრის ჩაკეტილი ან ნახევრად ჩაკეტილი ზღვები. ისინი (სახელმწიფოები) ან უშუალოდ, ან შესაბამისი რეგიონული ორგანიზაციის მეშვეობით კოორდინაციას უწყევენ: ზღვის ცოცხალი რესურსების მართვას, მათ შენარჩუნებას, დაზვერვას და ექსპლუატაციას, თავიანთ უფლებათა და ვალდებულებათა განხორციელებას ზღვის გარემოს დაცვისა და შენარჩუნების საქმეში, სამეცნიერო კვლევების ჩატარებას, თანამშრომლობისათვის, როცა მიზანშეწონილია, იწვევენ სხვა დაინტერესებულ სახელმწიფოებს, ან საერთაშორისო ორგანიზაციებს (მუხლი 123). ამას ეხმაურება თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ტ. ოზალის პროექტი „ეკონომიკური თანამშრომლობის შავი ზღვის რაიონის შექმნის შესახებ“, რომლის მიზანი, მისი სიტყვებით, იმაში მდგომარეობს, რომ შავი ზღვა გახდეს მშვიდობის, სტაბილურობისა და აყვავების ზღვა“.

1959 წ. საბჭოთა კავშირს, ბულგარეთსა და რუმინეთს შორის დაიდო შეთანხმება შავ ზღვაში თევზჭერის თაობაზე და ამ შეთანხმების გამოყენებისათვის შეიქმნა შერეული კომისია აღნიშნული სახელმწიფოების წარმომადგენლებისაგან. შეთანხმების გამოყენება, კერძოდ, ეხებოდა თანამშრომლობას და ურთიერთდახმარებას შავი ზღვის თევზის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და საზღვაო თევზჭერის განვითარების საქმეში. შეთანხმებამ გარკვეულ ეტაპზე როგორც ჩანს, მთლიანად დადებითი როლი შეასრულა, მაგრამ თავიდანვე მის დეფექტს წარმოადგენდა ის, რომ თურქეთი არ იყო შეთანხმების მონაწილე და შერეული კომისიის წევრი (შავი ზღვის სანაპირო ზაზის სიგრძით და თევზჭერით თურქეთს მეორე ადგილი უჭირავს სსრკ-ს შემდეგ). ამჟამად კი შავი ზღვის ცოცხალი რესურსების გამოყენების რეგიონალური ორგანიზაციის ეფექტური საქმიანობა შეუძლებელია ამ ორგანიზაციაში საქართველოს, უკრაინის, რუსეთის წარმომადგენელთა მონაწილეობის გარეშე.

ასეთი ორგანიზაცია უნდა შეიქმნას აგრეთვე სხვა, არა შავიზღვისპირა ქვეყნებთან, აგრეთვე სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობისათვის, ასე, მაგალითად, შავი ზღვის რეგიონალური ორგანიზაციის საქმიანობაში მონაწილეობის სურვილი შეიძლება გამოთქვას ზოგიერთმა ღუნაისპი-



რა და ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყანამ, მიზანშეწონილია, რომ ამ ორგანიზაციამ ითანამშრომლოს თევზჭერის ისეთ რეგიონულ ორგანიზაციებთან. როგორც ეს იქნება, ცაა დუნაის წყლებში თევზჭერის შესახებ 1958 წ. შეთანხმების გამოყენების შერეული კომისია (მისი წევრები არიან ბულგარეთი, რუმინეთი, სსრკ), აგრეთვე ხმელთაშუა ზღვაში თევზჭერის გენერალური საბჭო, მითუმეტეს, რომ მის გამგებლობაში შედის შავი ზღვაც, ხოლო წევრები არიან შავიზღვისპირა ქვეყნები — თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი.

საჭიროა, ალბათ, შეიცვალოს შავ ზღვაში თევზჭერის რეგიონული ორგანიზაციის ფუნქციები.

ამრიგად, დგება საკითხი იმის თაობაზე, რომ ან გარდაიქმნას შავ ზღვაში თევზჭერის შერეული კომისია, ან შეიქმნას ახალი ორგანიზაცია.

საქართველომ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს შავი ზღვის გარემოს დაცვის ეფექტური სისტემის შექმნაში. შავიზღვისპირა ქვეყნებს შორს რამდენიმე წელია მიმდინარეობდა მოლაპარაკება და მხოლოდ შედარებით ახლახან მიიღო მასში მონაწილეობა საქართველოს წარმომადგენელმა სსრკ დელეგაციის შემადგენლობაში. მაგრამ ცხადია, რომ საქართველოს, უკრაინის, რუსეთის დამოუკიდებელი მონაწილეობის გარეშე შავი ზღვის გარემოს დაცვის საქმე არ შეიძლება საკმარისად ეფექტურად გადაწყდეს.

საქართველოს რესპუბლიკას შეიძლებოდა ინიციატივა გამოეჩინა იმაში, რომ შეიქმნას შავი ზღვის კონტინენტური შელფის ბუნებრივი რესურსების დამუშავების შავი ზღვის ქვეყნების რეგიონული ორგანიზაცია, აგრეთვე აკვაკულტურის განვითარების, კონტინენტურ შელფზე მართვადი აკვაპეურნობების შექმნის რეგიონული ორგანიზაცია. თუმცა, ისევე როგორც სხვა სფეროებში, ამ სფეროშიც შეიძლება ორმხრივ ხელშეკრულებათა დადება. რეგიონალური ორგანიზაციების შექმნამ და ორმხრივი ხელშეკრულებების დადებამ შეიძლება შეავსოს ერთმანეთი.





ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და სამართლებრივ სანქციონირებელი წესები*

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების იდეა საუკუნეთა სიღრმიდან მომდინარეობს. დროთა განმავლობაში იგი მწყობრ თეორიად ჩამოყალიბდა, შემდეგ კი პოლიტიკურ ღონისძიებად იქცა და ბოლოს, კონსტიტუციონალიზმის მტკიცე პრინციპადაც გამოცხადდა.

ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა კაცობრიობის საყურადღებო კულტურული მონაპოვარია, პოლიტიკური და სამართლებრივი აზროვნების მნიშვნელოვანი მიღწევაა. იგი ფართოდაა ცნობილი მთელ მსოფლიოში, საკმაოდაც არის გავრცელებული და სამართლიანად მოიხსენიება, როგორც წმიდა-თაწმიდა, ხელშეუხებელი და მარადიული კანონი.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება წარმოადგენს გონივრული მართვა-გამგეობის, საერთოდ საზოგადოებრივი წესრიგის, სამართლიანობისა და კანონიერების აუცილებელ წინაპირობას. მან ღირსეულად გაუძლო დროის გამოცდას. ისტორიული გამოცდილება ადასტურებს, რომ ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია მოქნილად ეგუება ცვალებად პოლიტიკურ ვითარებას და მუდმივად ინარჩუნებს თავის პრაქტიკულ მნიშვნელობას. იგი სამართლებრივი სახელმწიფოს უცილობელი ატრიბუტია და, ბუნებრივია, დღესაც სათანადო აღვივს იჭერს მსოფლიო პოლიტიკურ აზროვნებაში. ამერიკელი პოლიტოლოგი ა. ვანდერბილტი ხელისუფლების დანაწილებას თავისუფალი მმართველობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად მიიჩნევს. ასევე, შვეიცარიელი იურისტის კ. აიხენბერგერის სიტყვით, ხელისუფლების ეფექტიანი დანაწილება არის ძირითადი პრობლემა თანამედროვე სახელმწიფოსი, რომელსაც სურს შეინარჩუნოს პლურალური დემოკრატია.

საბჭოთა სამართალმცოდნეობა და საერთოდ, მარქსიზმ-ლენინიზმი მოძღვრებას ხელისუფლების დანაწილების შესახებ მიიჩნევს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებად, ბურჟუაზიულ პოლიტიკურ-სამართლებრივ დოქტრინად. „ბურჟუაზიული“ ამ შემთხვევაში, ცხადია, სალანძღავი ეპითეტია და გამოიყენება ამ ნამდვილად პროგრესული თეორიის სოციალისტური პოზიციებიდან გაიკეცვის მიზნით. აი, რას ვკითხულობთ ამასთან დაკავშირებით, მაგალითად, ისეთ ოფიციალურად აპრობირებულ გამოცემაში, როგორიცაა „იურიდიული ენციკლოპედიური ლექსიკონი“ (მეორე შევსებული გამოც., მოსკ., 1987): „მარქსისტულ-ლენინური თეორია უარყოფს „ხელისუფლების დანაწილებას“, რადგან იგი უგულვებელყოფს სახელმწიფოს კლასობრივ ბუნებას“.

მარქსისტული შეხედულებით იხელმძღვანელა და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გააუქმა პროლეტარიატის დიქტატურის პირველივე საც-

* მოხსენება პოლიტოლოგთა საერთაშორისო სემინარზე თბილისში 1991 წლის 16 მაისს. სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და საკმინაო წრეების, რესპუბლიკური პარტიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები.

დელმა ნიმუშმა — პარიზის კომუნამ. შემდგომში იგივე მოიმოქმედა მისმა მემკვიდრემ — საბჭოთა სახელმწიფომ. ვ. ლენინმა ასე განსაზღვრა საბჭოთა სახელმწიფოს აგების საფუძველი: პარლამენტარიზმის (როგორც აღმასრულებელი მუშაობიდან საქანონმდებლო მუშაობის ჩამოშორების) მოსპობა; საკანონმდებლო და აღმასრულებელი სახელმწიფოებრივი მუშაობის შეერთება; მმართველობის გაერთიანება კანონმდებლობასთან (ვ. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 168-169).

ამგვარად, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი მთლიანად გამოირიცხებოდა საბჭოთა სახელმწიფო წყობილებაში.

ნიშანდობლივი და მრავლისმეტყველია, რომ ასე ხელაღებით ხელისუფლების დანაწილების იდეას მარქსიზმ-ლენინიზმის გარდა მხოლოდ ფაშიზმი უარყოფდა. აქ კომენტარი, როგორც იტყვიან, მართლაც ზედმეტია.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების შეერთება, რასაც მთელი ძალისხმევით ნერგავდა ლენინი, ფატალურად სავალალო შედეგებით მთავრდება. ასეთ შემთხვევაში, მონტესკიეს სიტყვით, იქმნება ტირანული კანონები, რომლებიც ასევე ტირანულად გამოიყენება და ამის გამო ქვეყანაში მკვიდრდება თვითნებობა. ბლექსტონიც თავის „კომენტარებში“ (1765 წ.) მიუთითებდა, რომ სადაც ეს ორი ხელისუფლება ერთიანდება, იქ შეუძლებელია თავისუფლება. ამ დებულებათა სისწორე სავსებით დაადასტურა საბჭოთა სინამდვილემ. სწორედ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის უგულვებლყოფამ განაპირობა მასობრივი უკანონო რეპრესიები როგორც თვით ლენინის, ისე სტალინის მმართველობის პერიოდში.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი გულისხმობს, რომ ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება განიყოფება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად, რომელთაც განახორციელებენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოები. ასეთნაირად გამიჯნული ეს სამი ხელისუფლება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია და ამავე დროს ერთმანეთს აწონასწორებენ, რაც გამორიცხავს თითოეული მათგანისა და, საერთოდ, მთელი ხელისუფლების ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას რომელიმე სოციალური ჯგუფის, სახელმწიფო ორგანოს ან ცალკეული პიროვნების მხრივ.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება XVIII საუკუნეში კონსტიტუციონალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპად გამოცხადდა. რაოდენ საგულისხმოა, რომ ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია საფუძვლად დაედო მსოფლიოს პირველ და დღემდე მოქმედ ძირითად კანონს — ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციას (თუმცა კი ეს პრინციპი მასში სახელდებით არ იხსენიება). ხელისუფლების დანაწილების პრინციპი აისახა აგრეთვე სხვა კონსტიტუციურ აქტებში, როგორცაა, სახელდობრ, საფრანგეთში 1789 წელს მიღებული ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა ცნობილი დეკლარაცია, საფრანგეთისავე 1791, 1795 და 1848 წლების კონსტიტუციები, ნორვეგიის 1814 წლის კონსტიტუცია და სხვ. განსახილველ პრინციპს ზემოხსენებულ დეკლარაციაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ მე-16 მუხლში პირდაპირაა ნათქვამი: იმ საზოგადოებას, რომელშიც არ არის დადგენილი ხელისუფლების დანაწილება, არა აქვს კონსტიტუცია.

მოძღვრება ხელისუფლების დანაწილების შესახებ შეიძლება მართლაც არ იყოს მთლად ისე ძველი, როგორც თვით სახელმწიფოა და სამართალი, მაგრამ

ის მაინც ნამდვილად უდავოა, რომ ამ იდეას მოაზროვნეები ჯერ ანტიკურ ეპოქაში, შემდეგ კი შუა საუკუნეებშიც გამოთქვამდნენ.


პლატონი დარწმუნებული იყო, რომ სახელმწიფო მმართველობაში წარმართება იმ შემთხვევაში, თუ დაემყარება შრომის განაწილების პრინციპს. იგი მკაფიოდ განასხვავებდა ერთმანეთისაგან საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ ამ სამი ხელისუფლების წარმატებით განხორციელებისათვის შესაბამისად საჭიროა საკანონმდებლო, სამთავრობო (ადმინისტრაციული) და სასამართლო ორგანოები.

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი განავითარა ჯონ ლოკმა, ხოლო დამოუკიდებელი, კლასიკური მოძღვრების სახით ჩამოაყალიბა შარლ მონტესკიემ თავის ცნობილ ნაშრომში „კანონთა სულის შესახებ“, რომელიც 1748 წელს გამოქვეყნდა. ლოკი საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის უბირატესობის მინიჭების პირობით საჭიროდ მიიჩნევდა მის თანამშრომლობას და მჭიდრო ურთიერთობას აღმასრულებელ ხელისუფლებასთან (იგი არ ცნობდა დამოუკიდებელ სასამართლო ხელისუფლებას). მონტესკიე კი მოითხოვდა სამი სახელმწიფო ხელისუფლების სრულ წონასწორობას, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობასა და განკერძოებასაც კი. მისი აზრით, არც ერთი ხელისუფლება არ უნდა შეიჭრეს მეორის კომპეტენციაში. მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს მათ შეუზღუდაობას. ისინი, სწორედ ასეთი შესაძლო შეჭრისაგან თავდაცვისა და თვითნებობის აღკვეთის მიზნით, უფლებამოსილი არიან გააკონტროლონ და შეაკავონ ერთმანეთი.

ასეთი ვითარება და სულისკვეთება იყო დასავლეთ ევროპაში. რუსეთს კი, რომელსაც 1801 წლიდან ანექსირებული ჰქონდა საქართველოს ტერიტორია, ტრადიციულად ახასიათებდა ფრიად ფრთხილი და კრიტიკული დამოკიდებულება ხელისუფლების დანაწილების კონცეფციისადმი. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რუსეთის თვითმპყრობელობის პირობებში, როგორც წესი, უარყოფდნენ აღნიშნული კონცეფციის ძირითად იდეას — ხელისუფლების, სამი სახეობის ურთიერთგაწონასწორობასა და შეზღუდვას, საკითხი ჩვეულებრივ შემოიფარგლებოდა საკანონმდებლო, სამთავრობო და სასამართლო ხელისუფლების ფუნქციების შედარებით მკაფიოდ გამიჯვნითა და შესაბამის ორგანოებს შორის კომპეტენციის განაწილებით.

ქართული ტრადიციული სახელმწიფო და სოციალური ცნობრება, აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვით, „გასაოცრად მიემსგავსება და გვაგონებს“ დასავლურს. ამ გარემოების გათვალისწინებით ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ დასავლური სახელმწიფო-სამართლებრივი ინსტიტუტები და თვით ხელისუფლების დანაწილების იდეაც უცხო არ უნდა ყოფილიყო ქართული სინამდვილისათვის. საინტერესოა ითქვას, რომ ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ის შვილმა, „ვოლტერიანელად“ წოდებულმა დავით ბაგრატიონმა თავისი მეცნიერი ძმის თეიმურაზის თხოვნით 1813-15 წლებში დედნიდან ქართულად თარგმნა მონტესკიეს „კანონთა სული“. დავითი მას ერთერთ საუკეთესო ევროპულ თხზულებად მიიჩნევდა („არსცა ერთიცა... უმჯობესთა წერილთაგანი ყოველსა ევროპასა შინა“). უფრო ადრე „ევროპისკენ“ გზის გაკვალვას ცდილობდა ერეკლე II — „დიდი მოსწრაფე თავის ხალხის ევროპულ რიგზე გარდაქმნისა“.

სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციური დანაწევრება, შესაბამისი ორგანოების ჩამოყალიბება და მათი კომპეტენციების გამიჯვნა საქართველოში აღ-



რიდანვე დაიწყო. აქ გასათვალისწინებელია ის, რომ საქმე შეეხება შუა საუკუნეებს და ამ დროს ხელისუფლების დანაწილების ანტიკურ იდეას ევროპაში მეფის ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით მიმართავდნენ.

საქართველოს მეფის კომპეტენციაში შედიოდა კანონმდებლობა და უზენაესი მართლმსაჯულება. ფაქტობრივად კი მეფეს კანონები მარტო თვითონ არასდროს არ დაუდგენია და არც მხოლოდ თავისი სახელით გამოუტყვანდებია. ამის იგი დარბაზის, საკანონმდებლო კრების „თანადგომითა და თანაზრახვითა“ „ერთბამად“ აკეთებდა. რაც შეეხება უმაღლეს მოსამართლეობას, იგი მეფის ხელში მხოლოდ XII საუკუნემდე იყო. მანამდე პირადად თვითონ მეფე მოსამართლეობდა. შემდეგ კი, სახელმწიფო მართვა-გამგეობის გართულების გამო, დავით აღმაშენებელმა დააარსა უმაღლესი სასამართლო დაწესებულება — სააჯრო კარი და ამით მართლმსაჯულება ცალკე დარგად გამოჰყო. ამიერიდან უზენაესი მართლმსაჯულება მეფის პირად განსაგებელს აღარ შეადგენდა და მას მოსამართლეთა მხოლოდ გადაწყვეტილება თუ წარედგინებოდა დასამტკიცებლად. ასეთი ტრადიცია მდივანბეგების სასამართლოსა და მსაჯულშეკრებულობის სახით საქართველოში რუსეთთან შეერთებამდე შემორჩა.

XIII საუკუნის დამდეგს საქართველოში ყალიბდება აგრეთვე ცენტრალური საუწყებო დარგობრივი მმართველობა. შეიქმნა უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო — მთავრობა „სავაზიროს“ სახელწოდებით, რომლის მეშვეობითაც მეფე ახორციელებდა ქვეყნის მართვა-გამგეობას.

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ხელისუფლების დანაწილების იდეა, საფიქრებელია არისტოტელეს გავლენით, გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში. ამის მაჩვენებელია „კარავი“ ანუ პარლამენტის მსგავსი დაწესებულება, რომლის დაარსება მოითხოვა „სიმდიდრით აღზევებულთა“ პოლიტიკურმა დასმა XII საუკუნის საქართველოში. ამ დასს მეთაურობდა ყუთლუ-არსლანი, რომელიც მაშინ საქართველოს მეჭურჭლეთ-უზუცესი ანუ ფინანსთა მინისტრი იყო. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ საპარლამენტო დაწესებულებანი ევროპაში სწორედ XII-XIII საუკუნეებში წარმოიშვა ესპანური კორტესისა და ინგლისური პარლამენტის სახით. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასის მოთხოვნით, თამარ მეფეს თავისი სასახლის მახლობლად უნდა გაემართა „კარავი“, რომელსაც მიეკუთვნებოდა მთელი საკანონმდებლო ხელისუფლება. მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა. იგი მონაწილეობას ვერ მიიღებდა „კარავის“ მუშაობაში. „კარავში“ დასხდომილნი აცნობებდნენ მეფეს თავიანთ გადაწყვეტილებას, რომელსაც იგი სისრულეში მოიყვანდა. „კარავი“ იქნებოდა მუდმივმოქმედი დაწესებულება, რომელშიც მსხვილ ფეოდალებთან ერთად მონაწილეობას მიიღებდნენ ქალაქის ზედაფენის წარმომადგენლები. მართალია, „სიმდიდრით აღზევებულთა“ დასის აჯანყება დამარცხდა და „კარავის“ დაარსების საქმე ჩაიშალა, მაგრამ ეს პოლიტიკური გამოსვლა მაინც უაღრესად საყურადღებო მოვლენაა საქართველოში ხელისუფლების დანაწილების იდეის განვითარების თვალსაზრისით.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპის გათვალისწინებით აიგო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუცია. მის მიხედვით, ერთიანი სახელმწიფო ხელისუფლება იყოფა სამ ნაწილად და შესაბამისად ეყრდნობა საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ორგანოებს. საკანონმდებლო ორგანოა საქართველოს პარლამენტი. უმაღლეს სახელმწიფო ხელისუფლებას კონსტიტუცია მიაკუთვნებს მთელ ერს,

ხლო პარლამენტი „კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერთსა და იმავეს“^{*}. ამგვარად, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პარლამენტის შეზღუდული უფლებამოსილება და ამ მხრივ იგი აშშ-ის კონსტიტუციის პირველი მუხლის პირველ განყოფილებას მიემსგავსება. ხალხის უზენაესობა პარლამენტის მიმართ იმით გამოიხატებოდა, რომ საქანონმდებლო ორგანო ვალდებული იყო 30 ათასი ამომრჩევლის წერილობითი მოთხოვნით სარეფერენდუმოდ გამოეტანა ახლად მიღებული კანონი. პარლამენტი ახორციელებდა აღმასრულებელი ხელისუფლების საერთო კონტროლს. დაწესებული იყო მთავრობის საპარლამენტო პასუხისმგებლობა. მთავრობის თავმჯდომარეს მიენიჭა პრეზიდენტის ფუნქციები, რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის უფლებამოსილება. აღმასრულებელი ხელისუფლების შემასუსტებელი ფაქტორი იყო უფლებამოსილების უჩვეულოდ მოკლე ვადა: მთავრობის თავმჯდომარეს პარლამენტი ირჩევდა ერთი წლით, თანაც ერთი და იგივე პირის ზედიზედ არჩევა მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა. სასამართლოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად კონსტიტუცია აწესებდა, რომ „არც ერთი განაჩენი არ შეიძლება გაუქმებულ, შეცვლილ, ან შეჩერებულ იქნეს კანონმდებელი, აღმასრულებელი ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ“.

ამჟამად, სოციალიზმის კრახისა და ე. წ. სოციალისტური ბანაქის დაშლის პირობებში იწყება ხელისუფლების დანაწილების იდეის აღორძინების ახალი ხანა. მარქსიზმ-ლენინიზმის იდეოლოგიური მარწუხებიდან განთვისუფლებული ქვეყნები სამართლებრივი სახელმწიფოს აგების გზებისა და საშუალებების ძიებისას უთუოდ მიმართავენ ხელისუფლების დანაწილების კონცეფციას. ასე მოიქცა, მაგალითად, რუსეთის ფედერაცია, რომელმაც დადებითი დამოკიდებულება ხელისუფლების დანაწილების პრინციპისადმი უკვე გამოავლინა თავისი ახალი კონსტიტუციის პროექტში*.

ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიას გვერდს ვერ აუვლის საქართველოს რესპუბლიკაც, რომელმაც ახლო მომავალში უნდა შეიმუშაოს თავისი ახალი კონსტიტუციის პროექტი.

როგორი უნდა იყოს კონკრეტულად საქართველოს მიმართება ხელისუფლების დანაწილების თეორიისადმი?

დასმულ კითხვაზე მართებული პასუხის გასაცემად მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ხელისუფლების დანაწილების თეორია გამოირჩევა მოქნილობით, ამა თუ იმ ქვეყანაში შექმნილ კონკრეტულ ვითარებასთან შეგუებით. სწორედ ასე, საკუთარი სახელმწიფო-სამართლებრივი თვალთახედვით, თავიანთ სპეციფიკურ პირობებთან შეხამებით გაიაზრეს და შეითვისეს იგი ცალკეული ქვეყნების პოლიტიკოსებმა და, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციური სისტემის დამფუძნებლებმა. ნიშანდობლივია, რომ

* რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის პროექტის 1.5 მუხლი სწორედ ასეა დასათურებული — „ხელისუფლების დანაწილება“. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, რუსეთის სახელმწიფოს ორგანოების სისტემა დაეყარება საქანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად დანაწილების პრინციპს, აგრეთვე ფედერაციის, მისი რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციის განაწილებას. მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად სახელმწიფოს ორგანოები თავიანთ უფლებამოსილებათა ფარგლებში მოქმედებენ დამოუკიდებლად, თანაც ურთიერთქმედებენ და აწონასწორებენ ერთმანეთს.



ხელისუფლების დანაწილების თეორია თავისი წმინდა კლასიკურ ფორმით არც ერთ სახელმწიფოში არ დამკვიდრებულა. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მისი ამერიკული ნაირსახეობა, რომელიც ცნობილია „შეკავება-გაწონასწოების“ სისტემის სახელწოდებით.

ზემოთქმულბიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ საქართველოსთვის საჭიროა ხელისუფლების დანაწილების თეორიის მოდიფიკაცია, მისი ქართული ნაირსახეობის შემუშავება. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საქართველოს ისტორიული წარსული და თანამედროვე მდგომარეობა, ქართული სახელმწიფოებრიობის ძირითადი მიზან-დანიშნულება ეროვნული ასპექტით, ქართველი კაცის ბუნება, შიდაპოლიტიკური ვითარება, მეზობელ ქვეყნებთან და საერთოდ უცხოეთთან ურთიერთობა. სამართლიანად აღინიშნა 20-იანი წლების ქართულ პრესაში სახელმწიფო წყობილების საკითხთან დაკავშირებით, რომ „საქართველო პირწმინდათ ვერც შვეიცარიულ სისტემას გადმოიღებს, ვერც ამერიკულ სისტემას და ვერც ფრანგულ სისტემას. ის იმდენად თავისებურს ისტორიულ-გეოგრაფიულ არეში იმყოფება, იმდენად განსაკუთრებულ კულტურულ-ეკონომიკურ წრეში და უფლებრივ-პოლიტიკურ და საერთაშორისო პირობებშია ჩაყენებული, რომ აუცილებლად საჭიროებს რამოდენიმედ განსხვავებულ კონსტიტუციურ წყობილებას, თუ გნებავთ შერეული სისტემის წყობილებას, რომელიც კერძოდ, საკუთრივ არც ერთ ზემოდასახელებულ სამ ფორმათაგანს არ ჰგავს სავსებით და ყველაფერში, მაგრამ შესაძლებელია თავის არსებითი თვისებით მიემგზავსოს საშუალოდ შემუშავებულ ტიპს“ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 1 თებერვალი, № 24).

ხელისუფლების დანაწილების კონცეფციის ქართული ვარიანტის მიზანი უნდა იყოს ძლიერი ეროვნული მთავრობის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ერთიანობას, მის უსაფრთხოებას, მოქალაქეთა უფლებებსა და მათ მშვიდობიან ცხოვრებას.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი კი არ გამოირიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს კიდევ სხვადასხვა სფეროს ორგანოების ერთობლივ მონაწილეობას უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტაში. ოღონდ ამან არ უნდა გამოიწვიოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების აღრევა და შესაბამისი ორგანოების დამოუკიდებლობის შერყევა. ამასთან ერთად, განსახილველი თეორია სრულიადაც არ გულისხმობს რაღაც ნაირი სამხელისუფლებიანობის შექმნას. სუვერენი ხალხია და მისგან მომდინარე უზენაესი სახელმწიფო ხელისუფლებაც ერთიანია. მონტესკიე უარყოფდა ერთისა და იმავე პირის მონაწილეობას ერთზე მეტი ორგანოს ფუნქციის განხორციელებაში. მისი აზრით, მაგალითად, მინისტრი და მოსამართლე არ უნდა ესხდნენ პარლამენტში, ხოლო დეპუტატმა არ უნდა განხორციელოს კანონები და მართლმსაჯულება. ამ თვალსაზრისით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის ზოგიერთი დებულება არ შეესაბამება ხელისუფლების დანაწილების პრინციპს. ასეთია, კერძოდ, დეპუტატობის სტატუსთან მთავრობის თავმჯდომარეობისა და პრეფექტობის შეთავსების შესაძლებლობა, რასაც ითვალისწინებს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 92-ე მუხლი.

საკანონმდებლო ხელისუფლება, მისი დიდი მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც არაა აბსოლუტური და არ უნდა იქცეს „უმრავლესობის დესპოტიზმის“


გამონათულებად. ტომას ჯეფერსონის სიტყვით, „ას სამოცდაცამეტი დესპოტი, უეჭველია, ისეთივე მჩაგვრელია, როგორც ერთი... და ვერაფერი ნუგეშია ჩვენთვის ის, რომ ისინი ჩვენივე არჩეულია“. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც კი სცილდება ხელისუფლების დანაწილების თეორიის ფარგლებს პრეზიდენტის უფლებამოსილება, რომ დაითხოვოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო. „შეკავება-წონასწორობის“ მექანიზმად უფრო მიზანშეწონილი იქნება პარლამენტის შეზღუდული უფლებამოსილების დაწესება, რაც გათვალისწინებულია ამერიკის შეერთებული შტატებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციებში.

ვერც პრეზიდენტის ის უფლება ჩაითვლება მიზანშეწონილად, რომ სარეფერენდუმოდ გადასცეს გადადებითი ვეტოს უფლებით უზენაეს საბჭოში ხელახალი განხილვისა და კენჭისყრისათვის დაბრუნებული კანონი იმ შემთხვევაში, როცა მას ხმების ორი მესამედის უმრავლესობით კვლავ დაადასტურებს უზენაესი საბჭო. ვეტო ისედაც ქმედითი საშუალებაა პრეზიდენტის ხელში და დამატებითი სარეფერენდუმო წესის შემოღება გაუმართლებელია ხელისუფლების დანაწილების თეორიის თვალსაზრისით.

სხვა მხრივ, მართლაც-და, „თუ სადმე კი არის საჭირო საკმაო უფლებით აღჭურვილი პრეზიდენტი, ეს ვახლავთ საქართველო“ (გრ. ლორთქიფანიძე). ომი-ტომ საქართველოში, ადგილობრივ თავისებურებებთან შეხამების პირობით, უთუოდ გამოსაყენებელია ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება.

პრეზიდენტის „შეკავება-გაწონასწოების“ საშუალებაა იმპიჩმენტის წესი. ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის სათანადო (1217) მუხლი მთლად გამართულად ვერ ჩაითვლება. კერძოდ, პრეზიდენტის გადაყენების შემთხვევაში გაურკვეველია მისი შემდგომი პასუხისმგებლობის საკითხი. ალბათ, აქ მიზანშეწონილი იქნება იმის დაკანონება, რომ პრეზიდენტს ბრალდებას წაუყენებს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ხოლო საქმეს არსებითად განიხილავს უზენაესი სასამართლო.

სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პრინციპი იქნება საბჭოთა სისტემიდან ახლად გამოსული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური მექანიზმის განვითარებისა და სრულყოფის, „ევროპულ რიგზე გარდაქმნის“ კარგი ორიენტირი. სასურველია, რომ იგი საფუძვლად დაედოს საქართველოს სახელმწიფო წყობილებას და პირდაპირაც აისახოს რესპუბლიკის ახალ კონსტიტუციაში.



ავთანდილ კობახიძე

სამოქალაქო სამართალდარღვევა კონფისკაციას არ უნდა იწვევდეს

საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელი რომ უნდა იყოს, უძველესი რომის სამართლიდან მოდის. ამ სენტენციის ჭეშმარიტებაზე ისიც მეტყველებს, რომ იგი თითქმის უცვლელად გადაიღო ყველა შემდგომმა პროგრესულმა სამართალმა. აი, როგორაა ჩამოყალიბებული ეს აზრი საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 545-ე მუხლში: „არავინ არ შეიძლება აიძულოს დათმოს თავისი საკუთრება, თუ ეს არ კეთდება საზოგადოებრივი სარგებლობის მიზეზით, ისიც სამართლიანი და წინასწარი ანაზღაურებით“¹.

საყოველთაოდ აღიარებული ეს ნორმა თავიდანვე უარყო ოქტომბრის რევოლუციით შექმნილმა სახელმწიფომ, რომელმაც ნაციონალიზაციის ნიშნით პირველივე წლებში ჩაატარა საკუთრების ფაქტიური კონფისკაცია. ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევის პროცესი და მისი სამართლებრივი დასაბუთება შემდგომშიც გრძელდებოდა. ხოლო 1922-1923 წლებში მიღებულ სამოქალაქო სამართლის კოდექსებში უკვე გაითვალისწინეს კონფისკაციის შემთხვევები. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის პირველ კოდექსშიც, რომელიც 1923 წლის 1 სექტემბრიდან მოქმედებდა, სწორედ ამაზე დაყრდნობით გაითვალისწინეს ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა სამოქალაქო სამართლის ნორმის დარღვევისათვის. ამ კოდექსის 55-ე მუხლით ბათილად ითვლებოდა კანონის საწინააღმდეგოდ ან კანონის გვერდის ახვევით, აგრეთვე სახელმწიფოსათვის აშკარად საზიანოდ მიმართული გარიგება.² ხოლო 147-ე მუხლით ასეთი გარიგების ბათილობისას რესტიტუცია არ დაიშვებოდა, ე. ი. ის, რაც ორივე მხარის მიერ იყო მიღებული, მათ კი არ უბრუნდებოდათ, ჩაირიცხებოდა სახელმწიფო შემოსავალში. კოდექსის 149-ე მუხლით გაითვალისწინებული იყო მხოლოდ ცალმხრივი რესტიტუცია, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ მოტყუების, ძალადობის, მუქარის ვავლენით ან ერთი მხარის წარმომადგენლის მოწინააღმდეგე მხარესთან ბოროტგანზრახული შეთანხმებით (მუხლი 32), აგრეთვე უკიდურესი გაჭირვების გამოყენებით (მუხლი 33) დადებული გარიგების ბათილობის დროს მხოლოდ დაზარალებულს უბრუნდებოდა ის, რაც მან გარიგების დროს გადასცა კონტრაგენტს, ხოლო მეორე მხარეს ამის უფლება არ ჰქონდა. ის, რაც მან გარიგებით მიიღო უნდა ჩაირიცხებულყო სახელმწიფოს სასახელოდ, როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი ქონება.³

¹ Гражданское, торговое и семейное право капиталистических стран М., 1986; с. 33.

² საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1955, გვ. 16-17.

³ იქვე, გვ. 71.



აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ კოდექსის 30-ე მუხლი გავრცელებულია ათს ატარებდა. რადგან ყველა ბათილი გარიგება კანონის საწინააღმდეგო ამის გამო რესტიტუციის დაუშვებლობა და ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა შეიძლებოდა იმ მოქალაქის თუ ორგანიზაციის მიმართ, რომელმაც ასეთი გარიგება დადო. სასამართლოც და საარბიტრაჟო პრაქტიკაც სწორედ ამ ხაზს ატარებდნენ.

ასეთი გაუმართლებელი ნორმა, ცხადია, ცნობილი ცივილისტების კრიტიკას იმსახურებდა. და დადგა კიდევ საკითხი, რომ ასეთი უკიდურესი სანქციის გამოყენების დროს მხედველობაში ყოფილიყო მიღებული სუბიექტური მომენტი, გარიგების მონაწილეთა განზრახვა და მათი ბრალეული მოქმედების ხასიათი⁴. ამით, რა თქმა უნდა, ერთგვარად შეიზღუდა კანონსაწინააღმდეგო გარიგებების ბათილობისას სახელმწიფოს სასარგებლოდ ქონების ჩამორთმევის შემთხვევები, მაგრამ ავტორთა უმრავლესობის მხარდაჭერითა და დასაბუთებით ის მაინც გამოიყენებოდა პრაქტიკაში⁵.

პროფ. ო. ს. იოფე წინადადებას აყენებდა კანონის პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემოეღოთ სპეციალური ნორმა, რომელიც ბათილად ცნობდა ისეთ გარიგებას, აშკარად ბოროტ ხასიათს რომ ატარებდა და მიმართული იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგოდ⁶.

გარდა ამისა, კოდექსის 402-ე მუხლით დადგენილი იყო, რომ კანონის საწინააღმდეგოდ ან სახელმწიფოს საზიანო მოქმედებით სხვის ხარჯზე გადიდრებულ პირს სახელმწიფო შემოსავალში შეეტანა ყველაფერი, რაც მან უსაფუძვლოდ მიიღო. ცხადია, ეს ნორმაც არ იყო სამართლიანი, ვინაიდან ძნელია გავამართლოთ ვინმესთვის ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი რომელიმე მოქმედება კანონის ამა თუ იმ მოთხოვნას ეწინააღმდეგება.

60-იანი წლების დასაწყისში შემუშავებულ სამოქალაქო კანონმდებლობის საკავშირო საფუძვლებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსებში კანონის მოთხოვნების გვერდის ავლით დადებული გარიგების ბათილობასთან ერთად, რომლის დროს გათვალისწინებული იქნა ორმხრივი რესტიტუცია, შემოიღეს ბათილი გარიგების ახალი სახე. ეს იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მიზნით დადებული გარიგება, რომელიც საერთოდ კრძალავს რესტიტუციას ანდა უშვებს მხოლოდ ცალმხრივ რესტიტუციას (მუხლი 49). ასეთი მიზნით დადებული გარიგების ბათილობისას, როცა ორივე მხარეს ჰქონდა განზრახვა და შეასრულეს კიდევ ეს გარიგება, ყველაფერი, რაც მათ ამ გარიგებით მიიღეს, სახელმწიფოს შემოსავალში ჩაირიცხება. თუ გარიგება შესრულებულია მხოლოდ ერთი მხარის მიერ, მაშინ მეორე მხარეს სახელმწიფოს სასარგებლოდ გადახდება ის, რაც მან პირველი მხარისაგან

⁴ Д. М. Генкин, Недействительность сделок, совершенных с целью противной закону, «Ученые записки ВЮОН», 1947, вып. V, с. 45; Б. С. Антимонов, значение вины потерпевшего при гражданском правоотношении, Госюриздат, 1950, с. 233.

⁵ И. Б. Новицкий, Сделки. Исковая давность; 1954, с. 80, 90-91; Н. Б. Рабинович, Недействительность сделок и ее последствия, Л., 1960, с. 138-139; 143-146 и др.

⁶ О. С. Иоффе, Гражданско-правовая охрана интересов личности в СССР, «Советское государство и право», 1956, № 2, с. 50. Его же, Вопросы кодификации, вып. 1, с. 45-46; Его же «Советское гражданское право», 1958, с. 238.

მიიღო და ისიც, რაც მისგან პირველ მხარეს ერგებოდა. თუ განზრახვა ქონდა მხოლოდ ერთ მხარეს, მაშინ ყველაფერი, რაც მან გარიგებით მიიღო, დაუბრუნოს მეორე მხარეს, ხოლო რაც ამ უკანასკნელმა მიიღო ან ერგება გარიგების მიხედვით, უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში⁷.

ასეთივე სანქციაა გათვალისწინებული კოდექსის 50-ე მუხლით, იურიდიულ პირებს შორის დადებული გარიგების ბათილობის დროს⁸.

კოდექსის 56-ე მუხლი ითვალისწინებს ცალმხრივ რესტიტუციას მოტყუების, ძალადობის, მუქარის, ერთი მხარის წარმომადგენლის მიერ მეორე მხარესთან ბოროტგანზრახვითი შეთანხმების ან მძიმე გარემოებათა დამთხვევის შედეგად დადებული გარიგებების ბათილობის დროს. ასეთ შემთხვევაში, მხოლოდ დაზარალებულ მხარეს უბრუნდება ის, რაც მან მეორე მხარეს გადასცა, ხოლო ის, რაც მან მიიღო, ან რაც მას ერგებოდა მეორე მხარისაგან, ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავალში.

მიგვაჩნია, რომ სამოქალაქო გარიგებებისათვის, რა ნიშნითაც არ უნდა მოხდეს მათი ბათილობა, თუ ეს ქმედება თავისთავად დანაშაულს არ წარმოადგენს, მოქალაქეს ქონება უსასყიდლოდ არ უნდა ჩამოერთვას. ჯერ ერთი, ძალზე ძნელია იმის დადგენა, მოქალაქეს ნამდვილად ჰქონდა თუ არა სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო მიზანი, როცა მის ქმედებას დანაშაულს არ ვარქმევთ. ამიტომაც იყო და არის სასამართლო პრაქტიკაში ხშირად შეცდომები ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის დროს, ხოლო უკანასკნელ პერიოდში, შეიძლება ითქვას, თითქმის აღარც გვხვდება ასეთი მიზნით დადებული გარიგებების ბათილობის შემთხვევები.

მეორე, ძნელია გავამართლოთ მოქალაქისათვის, იგივე ორგანიზაციისათვის ქონების ჩამორთმევა უსასყიდლოდ იმისათვის, რომ მან გარიგების დადების დროს სამოქალაქო კანონის მოთხოვნა დაარღვია. არც ერთი განვითარებული ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა გარიგების ბათილობისათვის ქონების კონფისკაციას არ ითვალისწინებს. დაარღვია მოქალაქემ კანონის მოთხოვნა გარიგების დადებისას, აღვადგინოთ პირვანდელი მდგომარეობა და ავანაზღაურებინოთ მას ის ზარალი, რაც მოქალაქეს თუ სახელმწიფოს მიაყენა. სრულებითაც არ არის აუცილებელი, რომ მას უსასყიდლოდ ჩამოვართვათ ის, რაც ამ გარიგებისათვის მიიღო ან უნდა მიეღო.

მესამე, ამ ნორმებს არც პრევენციის თვალსაზრისით აქვთ გამართლება და არც სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე. მოქალაქე ასეთი გარიგების დროს თავს არავითარ შემთხვევაში არ შეიკავებს მხოლოდ იმიტომ, რომ მას ამ ქონებას ჩამოართმევენ. ხომ ცნობილია, რომ სასჯელის შიშით სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენასაც კი არასოდეს ერიდებიან და მითუმეტეს სამოქალაქო სანქციის დროს — განა ასეთი ნორმა ამგვარ გარიგებებს აღმოფხვრის? ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ეს ნორმა პიროვნების თავისუფლების ხელყოფა, მისი უფლებების შეზღუდვაა. ასეთ დროს, მისი მომხრეები მიუთითებდნენ ხოლმე სახელმწიფოს ინტერესების დაცვის აუცილებლობაზე, მაგრამ მსგავსი სანქციებით სახელმწიფო თითქმის ვერაფერს ღებულობს. მართალია, ადრე იშვიათობა იყო ასეთი გარიგებები, მაგრამ დღეს უკვე საქმოდ ბევრია ისეთი ქმედება, რაც ადრე კანონსაწინააღმდეგოდ ითვლებოდა. მაგალითად, მიწის იჯარა ადრე სისხლის სამართლის წესით ისჯებოდა, ახლა კი

⁷ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1985, გვ. 26-27.

⁸ იქვე, გვ. 27.

ფართოდ ინერგება იგი. ბოლოსდაბოლოს მივედით დასკვნამდე, რომ სახელმწიფო სწორედ მაშინ არის ძლიერი, როცა მისი მოქალაქენი ნორმალურად ცხოვრობენ.

სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლებით და მისი შესატყვისი სამოქალაქო სამართლის კოდექსებით ასევე მნიშვნელოვნად გაფართოვდა ისეთ სამოქალაქო სამართლებრივ-ურთიერთობათა სფერო, რომელთა დარღვევისათვის გათვალისწინებულია ქონების ჩამორთმევა, ე. ი. კონფისკაცია.

საფუძვლების 31-ე და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 144-ე მუხლები, რომლებიც განმარტავენ რეკვიზიციისა და კონფისკაციის ცნებებს, მიუთითებენ, რომ კონფისკაცია არის სანქცია სამართალდარღვევისათვის, ე. ი. დასაშვებია ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა სამოქალაქო სამართლებრივი ნორმის დარღვევისათვის.

კონფისკაციის ზოგადი, გაფართოებული ცნების საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსებში, გარდა ზემოთ მითითებული მუხლებისა, შეტანილია რამდენიმე ახალი მუხლი, რომლებშიც გათვალისწინებულია ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 107-ე მუხლით დადგენილია, რომ მოქალაქეს, რომელმაც სათანადო ნებართვის ან დადგენილი წესებით დამტკიცებული პროექტის გარეშე, ანდა პროექტისაგან არსებითი გადახვევით, ან ძირითადი სამშენებლო ნორმებისა და წესების უხეში დარღვევით აიშენა საცხოვრებელი სახლი (აგარაკი) ან სახლის ნაწილი, შეიძლება უსასყიდლოდ ჩამოერთვას ეს სახლი (სახლის ნაწილი) თუ აგარაკი და ჩაირიცხოს სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ფონდში. ეს მოქალაქე და მასთან ერთად მცხოვრები პირები კი გამოსახლდნენ ამ სახლიდან⁹.

ასეთი ნორმა სამოქალაქო სამართალში, ჩვენი აზრით, გაუმართლებელია. მართალია, თვითნებური მშენებლობები ჩვენს ქვეყანაში სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ მას ჩვენ თვითონ ვუწყობდით ხელს. ისეთ წინააღმდეგობებთან და სირთულეებთან იყო ყოველთვის დაკავშირებული მშენებლობის ნებართვის მიღება, რომ იძულებულს ვხდით მოქალაქეებს თვითნებურად აეშენებინათ თავშესაფარი, შემდეგ კი სამწუხაროდ ჩვენვე ვუნგრევდით ან ვართმევდით ასეთ ნაგებობას. ჩვენი მორალური სისუსტე აქ იურიდიულ უძლურებაში გადადიოდა და თანდათან მრავლდებოდა, მასიურ ხასიათს იღებდა თვითნებური მშენებლობები. ბოლო წლების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ როცა შედარებით გაიოლდა მშენებლობის ნებართვის მიღება, შემცირდა კიდევ თვითნებური მშენებლობანი.

ჩვენი აზრით, თვითნებური მშენებლობის გავრცელებას ისიც უწყობს ხელს, რომ დღემდე მოუწესრიგებელია მიწის ნაკვეთების სამართლებრივი რეჟიმი. რადგან მიწის ზოგიერთ ნაკვეთს თავიდანვე არ ყავდა ნამდვილი გულშემატკივარი, ჭეშმარიტი მესაკუთრე, ბუნებრივია, იქმნებოდა კიდევ პირობები მისი მიტაცებისა და თვითნებური მშენებლობისათვის. თუ გადაწყდება და მიწას გამოუჩნდება თავისი ნამდვილი ბატონ-პატრონი, დაეუშვებთ იმას, რომ მცირე მიწის ნაკვეთები საკუთრების უფლებით მიეყიდოთ ცალკეულ მოქალაქეებს (არაოფიციალურად მაინც იყიდება, ეს ნაკვეთები), ალბათ საბოლოოდ მოწესრიგდება ამ მიწის ნაკვეთების ნორმალური ექსპლოატაციის საქმეც, მათზე ყოველგვარი მშენებლობის წარმოებაც და სავსებით, გადაიდგმება ნაბიჯი არა

⁹ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1985 წ. გვ. 47-48.

მართო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის არა-
მედ საბინაო პრობლემების გადასაწყვეტადაც.

ცხადია, თვითნებური მშენებლობა მთლიანად მაინც არ აღმოიფხვრება,
და მას კიდევ ექნება ადგილი, ამიტომ მისი სამართლებრივი მოწესრიგებაც სა-
ჭიროა, მაგრამ ამ სფეროში მუდამ კონფისკაციის გამოყენება გამართლებული
არ არის. ჩვეულებრივ, სამოქალაქო ურთიერთობაში, მშენებლობის ნორმების
თუ პროექტის დარღვევისათვის, თუნდაც საერთოდ ნებართვის გარეშე მშენებ-
ლობისათვის, მოქალაქეს უსასყიდლოდ არ უნდა ჩამოერთვას ნაგებობა. სულ
სხვა საკითხია, როცა პირმა დანაშაული ჩაიდინა და ბრალი მიუძღვის თვითნე-
ბურ მშენებლობაში. აქი არსებობს კიდევაც შესაბამისი სისხლის სამართლებ-
რივი ნორმა, სსკ 180-ე და 221-ე მუხლები. მიმაჩნია, რომ თვითნებური მშენებ-
ლობისათვის სამოქალაქო კანონმდებლობაში კონფისკაცია არ უნდა არსებობ-
დეს. ამ მოუფიქრებელი ნორმის გამო კი თითქმის სისტემატურად ხდებოდა
საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევა მხოლოდ იმისათვის, რომ მშენებლობის
დროს დაირღვა პროექტის რომელიმე მოთხოვნა ან ესა თუ ის სამშენებლო
ნორმა.

მაშ როგორ მოვექცეთ თვითნებურად აშენებულ სახლებს? ჩვენი აზრით,
თუ სახლი აკმაყოფილებს არქიტექტურულ მოთხოვნებს და იგი მიტაცებულ
ნაკვეთზე არ არის აშენებული ე. ი. ფაქტიურად, მშენებელს ვერ მოუხერხებია
მხოლოდ სათანადო ნებართვისა და პროექტის აღება, იგი უცილებლად უნდა
დაკანონდეს და აღირიცხოს მის სახელზე.

თუ თვითნებური ნაგებობა ვერ აკმაყოფილებს არქიტექტურულ მოთხო-
ვნებს, აგებულია ისეთ ადგილზე და ისეთი პირის მიერ, რომელიც უხეშად არ-
ღვევს კომპაქტურ განაშენიანებას, ის უნდა დაინგრეს მმართველობის ადგილობ-
რივი ორგანოს გადაწყვეტილებით. ასევე უნდა გადაწყდეს საკითხი პროექტის
უხეში დარღვევის დროსაც, ხოლო თუ შესაძლებელია, იგივე ორგანოს გადაწყ-
ვეტილებით სახლის მშენებლობა უნდა მოვიდეს პროექტის შესაბამისობაში,
როცა პროექტის დარღვევა ისეთია, რომ არავის ინტერესები არ ილახება, სა-
სურველია პროექტშივე შევიდეს ცვლილება და შემდეგ დაკანონდეს ეს მშე-
ნებლობა.

თვითნებურად აშენებული სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა უნდა მოხდეს
მხოლოდ მაშინ, როცა ის მიტაცებულ ნაკვეთზეა აგებული და იწვევს სისხლის
სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ე. ი. როცა თვითნებური მშენებლობა და-
ნაშაულის ხასიათს ატარებს, ეს სანქცია უნდა გატარდეს მაშინაც, როცა რა-
იმე არამარეაბილიტირებელი გარემოების (ხანდაზმულობის გასვლა, გარდაცვა-
ლება, ამნისტია და სხვ) გამო არ შეიძლება პირი მიეცეს სისხლის სამართლის
პასუხისმგებაში. როგორღა მოვიქცეთ ისეთ შემთხვევებში, როცა ის პირი, ვინც
ნაკვეთი მიიტაცა და სახლი ააშენა თვითნებურად, საერთოდ აღარ არის სახეზე,
დიდი ხნის წინათ გარდაიცვალა ან სხვაგან წავიდა და ეს სახლი დაუტოვა მემ-
კვიდრეს ან თუნდაც კანონის გვერდის ავლით მიყიდა სხვა პირს?

ასეთ დროს უნდა ჩაითვალოს, რომ ჩადენილი იყო სისხლის სამართლის
დანაშაული და მოხდეს ამ სახლის უსასყიდლოდ ჩამორთმევა, იმის გათვალის-
წინებით კი, თუ ვინ ცხოვრობს სახლში, რა პიროვნებები არიან ისინი, იყო-
ფებიან თუ არა ბინის მიღების აღრიცხვაზე და ა. შ., შეიძლება მათზე მოხდეს
აგრეთვე სახლის გაფორმება და დაკანონება, ჩვენ მხარს ვუჭერთ პრაქტიკას,
რომელსაც უსანასკნელ ხანს მიმართეს თბილისის საბურთალოს რაიონში და

თანხმობა გასცეს თვითნებურად აშენებული სახლების დაკანონებასა და ვასტისებაზე იმის მიხედვით, თუ ვინ ყიდულობდა თუ იკანონებდა ამ სახლს. ამით საგარეო მხარეს გაუმჯობესდა ბინის მიღების აღრიცხვაზე მყოფ პირთა მდგომარეობა.

ყველა შემთხვევაში სახლის ჩამორთმევა უნდა მოხდეს არა სამოქალაქო კანონმდებლობით (კოდექსის 107-ე მუხლი), არამედ სისხლის სამართლის კანონის საფუძველზე, რომლითაც დადგენილია აგრეთვე სამოქალაქო სანქცია. მართალია, ამ პირების მიმართ ვერ გამოვიყენებთ სასჯელს, მაგრამ გამოვიყენებთ სისხლის სამართლით გათვალისწინებულ ე.წ. სპეციალურ კონფისკაციას, ანდა სამოქალაქო სამართლის ზოგად ინსტიტუტს — უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების დაბრუნების ვალდებულებას, რომლის თანახმად, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო შეგნებული მოქმედების შედეგად შეძენილი ქონება სახელმწიფოს შემოსავალში უნდა ჩაირიცხოს.¹⁰

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 108-ე მუხლი ადგენს იმ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რომელსაც არაშრომითი შემოსავლის მისაღებად იყენებენ. ამ მუხლის შემუშავებამდე მიღებული იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 15 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა მიერ არაშრომითი შემოსავლით აშენებული ან შეძენილი სახლების, აგარაკებისა და სხვა ნაგებობათა უსასყიდლოდ ჩამორთმევის შესახებ“,¹¹ რომელმაც პრაქტიკული გამოყენება ვერ ჰპოვა, მაგრამ პირველ წლებში მარტო იყო ამ ბრძანებულების საფუძველზე სახლის ჩამორთმევის შემთხვევები. შემდგომ თითქმის ყველა ეს გადაწყვეტილება გაუქმდა, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა დაუჯდათ ადამიანებს მისი შედეგების თავიდან აცილება.

ახალი კოდექსის შემუშავების დროს კონფისკაციის ეს სახე უკვე აღარ გაითვალისწინეს, მაგრამ დადგინდა იმ ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა, რომელსაც არაშრომითი შემოსავლის მისაღებად იყენებენ. ეს ეხება საცხოვრებელ სახლსაც, ავტომანქანასაც და აგარაკსაც. თვით ცნება — „არაშრომითი შემოსავალი“ ძალზე პირობითია. ხომ შეიძლება შემოსავალი შრომით არ იყოს მიღებული, მაგრამ იგი კანონიერი იყოს (მემკვიდრეობა, ჩუქება და სხვა). ამიტომ, კანონმდებელმა უნდა იბრძოლოს არაკანონიერი შემოსავლების და არა ე. წ. არაშრომით მიღებული შემოსავლების წინააღმდეგ. სამისოდ კი გვაქვს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, რომელიც ითვალისწინებს დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონების კონფისკაციას. ამიტომ სამოქალაქო კანონმდებლობაში ანალოგიური ნორმის არსებობა საჭირო აღარ არის. როცა უკანონო გზით ქონების შეძენი სისხლის სამართლის წესით ვერ აგებს პასუხს სხვადასხვა მიზეზით (ამნისტია, ხანდაზმულობა, გარდაცვალება), ასეთი ქონების ბედი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო სამართლის ზოგადი ინსტიტუტის — უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების დაბრუნების ვალდებულების საფუძველზე. უნდა ითქვას, რომ კოდექსის ეს მუხლი (108) თავიდანვე ვერ ამოქმედდა, იგი მიღებისთანავე „მოკვდა“. ალბათ დადგა დრო ითქვას, რომ ეს ნორმა სრულებით არ არის საჭირო სამოქალაქო სამართლის კოდექსში.

10 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1985, გვ. 166-167.

11 საბინაო კანონმდებლობის კრებული. თბილისი. 1966. გვ. 231-232.

როგორც ცნობილია, სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებს საცხოვრებელი სახლის კონფისკაციის ორ შემთხვევას. ერთია 105-ე მუხლი ერთზე მეტი სახლის იძულებითი გასხვისება და მეორე 137-ე — საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევა მისი მოუვლელობისათვის. ორივე მუხლს თამამად შეიძლება ბარბაროსული ნორმა ვუწოდოთ.

თუ მოქალაქეს, ერთად მცხოვრებ მეუღლეებსა და მათ არასრულწლოვან შვილებს კანონით დაშვებული საფუძვლით აღმოაჩნდებათ ერთზე მეტი სახლი (გარდა საკუთროტო, სააგარაკო ადგილზე ან სოფლად არსებული სახლისა), ვალდებული არიან ერთი წლის მანძილზე გაასხვისონ იგი. გასხვისება თუ ვერ მოხერხდება მაშინ ეს სახლი გაიყიდება და თანხა მესაკუთრეს გადაეცემა. იმ შემთხვევაში კი, თუ ვერ მოიძებნა მყიდველი, სახლი რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით უსასყიდლოდ გადადის სახელმწიფო საკუთრებად (105-ე მუხლი). ეს ნორმა მრავალმხრივ არის გაუმართლებელი. ჯერ ერთი, რა სავალდებულოა მაგალითად, თბილისში მცხოვრები მეუღლეები ვიძულოთ გაასხვისონ მემკვიდრეობით მიღებული სახლი არა საკუთროტო, სააგარაკო თუ სოფელ ადგილზე, ვთქვათ ქ. ქუთაისში, ოზურგეთში ან ზუგდიდში, ან რა გამართლება აქვს, როდესაც ერთად მცხოვრებ მეუღლეებს მემკვიდრეობით მიღებულ სახლს წავართმევთ და იმასაც არ გავითვალისწინებთ, რომ 17 წლის შვილი ჰყავთ, ერთი წლის შემდეგ ხომ სრულწლოვანი იქნება მათი შვილი და ბინის პრობლემაც გაუჩნდებათ. ვის რად უნდა ასეთი კანონი?! დაუშვათ და სახლის ჩამორთმევა გავამართლოთ, ვანა აღმასკომს ჰქონდა როდისმე ასეთი უფლება?! ქონების ჩამორთმევა ხომ ყოველთვის მხოლოდ სასამართლოს კომპეტენცია იყო. ჩვეულებრივ, როცა ვინმეს უსასყიდლოდ ქონებას აართმევენ, აუცილებლად ითვალისწინებენ მის ბრალეულ მოქმედებას, იმას, რომ მან რაღაც ნორმა დაარღვია. ამ შემთხვევაში რა ბრალი მიუძღვის პირს, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო სახლი და ეს სახლი არ გაიყიდა? თუ მაინც და მაინც ჩამორთმევაზე შეიძლება ლაპარაკი, იგი უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ ღირებულების ანაზღაურებით მაინც და არა უსასყიდლოდ. ე. ი. უნდა მოხდეს ამ სახლის არა კონფისკაცია, არამედ რეკვიზიცია.¹²

ასევე შეიძლება ითქვას სახლის მოუვლელობაზეც. კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, როცა სახლის მესაკუთრე არ უვლის სახლს, აღმასკომი აფრთხილებს მას და აძლევს ვადას ჩაატაროს მისი რემონტი. თუ ის საპატიო მიზეზის გარეშე არ გააკეთებს ამ სახლის რემონტს, აღმასკომის სარჩელით სასამართლო უსასყიდლოდ ჩამოართმევს მას და გადასცემს ადგილობრივ საბჭოს ფონდს. ესეც ხომ საკუთრების აშკარა წართმევაა. თუ შეიძლება ვილაპარაკოთ ასეთი სახლის ჩამორთმევაზე, უკიდურესი აუცილებლობის დროს, მისი ღირებულება მაინც უნდა აუნაზღაურდეს მესაკუთრეს. ე. ი. აქაც მოხდეს რეკვიზიციის მსგავსი რამ და არა კონფისკაცია.

¹² რეკვიზიციას, აქ პირობითი მნიშვნელობით ვხმარობ, რადგან იგი გულისხმობს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ქონების ჩამორთმევას სასყიდლით. მოცემულ შემთხვევაში კი ასეთი საჭიროება არ არსებობს, მაგრამ, რადგან საქმე ეხება ქონების იძულებით ჩამორთმევას ანაზღაურებით, უნდა ჩაითვალოს ის რეკვიზიციად.

რამდენიმე სიტყვა უსაფუძვლოდ შეძენილი ქონების დაბრუნების კავალდებულებაზე. ამ ინსტიტუტს იცნობს თითქმის ყველა ქვეყნის სამოქალაქო კანონმდებლობა. ჩვენს კოდექსში კი იგი ამგვარადაა ჩამოყალიბებული: „როცა ქონება შეძენილია ისეთი მოქმედებით (არა გარიგების მიხედვით), რომელიც შეგნებულად ეწინააღმდეგება სოციალისტურ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს, მისი კონფისკაცია არ უნდა მოხდეს, იგი უნდა ჩაირიცხოს სახელმწიფოს შემოსავალში“. (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლი მე-4 ნაწილი).

ვერ ვიტყვით, რომ ეს ნორმა საჭირო არ არის, მაგრამ იგი უნდა გატარდეს როგორც „სპეციალური კონფისკაცია“ ანდა როგორც უკანონოდ შეძენილი ქონების ჩამორთმევა. ამიტომ, ალბათ დროულია შეიცვალოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 486-ე მუხლის მე-4 ნაწილის რედაქცია. აქ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ სახელმწიფო შემოსავალში ჩაირიცხება დანაშაულებრივი გზით შეძენილი ქონება და არა „სოციალისტური სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების საწინააღმდეგო“ მოქმედების შედეგად შეძენილი. ასევე არაა აქ საჭირო სიტყვები „არა გარიგების მიხედვით შეძენილი“, ვინაიდან ეს აქ ჩასმულია იმის გამო, რომ გარიგების საფუძველზე შეძენილი ქონების ბედი წყდება ამავე კოდექსის 49-ე მუხლით, რომელიც როგორც უკვე მივუთითებდით საერთოდ, ამოსაღებია კოდექსიდან.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, საჭიროდ მიმაჩნია საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. გაუქმდეს კოდექსის 49-ე 107-ე, და 108-ე მუხლები.
2. ამოღებულ იქნეს კოდექსის 50-ე მუხლის მეორე ნაწილიდან სიტყვები: „და 49-ე მუხლში გათვალისწინებული წესები“, ხოლო 56-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს ასე: „ასეთი გარიგების ბათილობისას გამოიყენება ამ კოდექსის 48-ე მუხლით გათვალისწინებული წესები“.
3. კოდექსის 137-ე მუხლით სახლის შეგნებული მოუვლელობისათვის, უკიდურესი აუცილებლობის დროს, მისი ჩამორთმევა უნდა მოხდეს არა უსასყიდლოდ, არამედ სათანადო ღირებულების ანაზღაურებით.
4. კოდექსის 486-ე მუხლის მეოთხე ნაწილი ჩამოყალიბდეს ასეთი რედაქციით: „ქონება, რომელიც შეძენილია დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, თუ მისი კონფისკაცია არ ხდება, ჩაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში“.
5. მთლიანად უნდა შეიცვალოს 105-ე მუხლის რედაქცია.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახვი მკვლელის კვალიფიკაციისათვის

განზრახ ჩადენილი მკვლელობა უკვე თავისთავად სისასტიკის მაჩვენებელია, მაგრამ მისი საზოგადოებრივი საშიშროება უფრო იზრდება, როცა დანაშაული ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი განზრახვი მკვლელობა აღიარებულია პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, მაგრამ კანონმდებელი არ მიუთითებს იმ კრიტერიუმებს, რომლის საფუძველზეც მკვლელობა შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად, რაც მრავალ პრობლემას წარმოქმნის დანაშაულის კვალიფიკაციის დროს.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობასთან დაკავშირებით პრობლემური საკითხები შეიძლება შემდეგნაირად განაწილდეს:

1. „განსაკუთრებული სისასტიკის“ ტერმინის არსის და მნიშვნელობის დაზუსტების საკითხი;
2. ჭრილობათა სიმრავლე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით კვალიფიკაციის დროს;
3. რა შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლინებად;
4. აღნიშნული სახის მკვლელობის განზრახვის სახეები;
5. თანამონაწილეობის საკითხი განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისას.

1. „განსაკუთრებული სისასტიკის“ ცნება უფრო ფართოა, ვიდრე ადრე არსებულში „განსაკუთრებულად მწვალებლური საშუალებები“. განსაკუთრებული ტანჯვის, წვალების ნიშნები სახეზეა თუ დაზარალებული სიკვდილის წინ განიცდის ტანჯვას, მაშინ, როცა განსაკუთრებული სისასტიკე შეიძლება სხვაგვარადაც გამოვლინდეს, კერძოდ, ადამიანის ცოცხლად დაწვა, თვალების დათხრა, გვამის დანაწევრება (თუ დამნაშავის მიზანი მკვლელობის დაფარვა არ არის)¹.

მაგალითად, პეტრეს (სახელები მოგვყავს პირობითად — ავტ.) ოჯახში მთვრალ მდგომარეობაში სტუმრად მივიდა პავლე, რომელმაც ჩხუბი ატეხა ამ ოჯახში და ნაოპერაციებ მასპინძელს მუცელში ჩაარტყა ფეხი, რის შედეგადაც იგი ჩაიკეცა, ამის შემდეგ კი სტუმარმა მას მუშტიც ჩაარტყა სახეში. ამ ამბავს შეესწრო პეტრეს ცოლი, პეტრეს ბიცილა და რძალი. მოხუცებულმა ბიცილამ პავლეს მოუწოდა წესრიგისაკენ, მაგრამ პავლემ ახლა მას რამდენჯერმე ჩაარტყა ფეხი მუცელსა და გულ-მკერდში, რის გამოც ბიცილა ადგილზევე გარდაიც-

¹ „საქართველოს უმაღლესი სასამართლოს ბიულეტენი“, 1976, № 1, გვ. 15.

ვალა. როცა ამ დროს შინ დაბრუნებულმა მისმა შვილმა შეიტყო თავისი დედის მკვლელობა და მკვლელის ვინაობა, მანქანით გაემართა პავლეს სახლისაკენ, გამოიხმო იგი, შეასხა ბენზინი და წაუკიდა ცეცხლი. პავლე ადგილზევე გარდაიცვალა. სასამართლომ ეს მოქმედება დააკვალიფიცირა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. ჩვენი აზრით, სასამართლოს გადაწყვეტილება სწორია, რადგან გარდაცვლილის შვილმა მიზანდასახულად და შურისძიების მოტივით, ცოცხლად დაწვა თავისი დედის მკვლელი, რითაც მას მკვლელობის პროცესში მიაყენა განსაკუთრებული ტანჯვა².

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის კვალიფიკაციისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ კანონი განსაკუთრებულ სისასტიკეს უკავშირებს როგორც მკვლელობის საშუალებას, ასევე სხვა გარემოებებს, რომლებიც მოწმობენ დამნაშავეს მიერ სისასტიკის გამოვლინებაზე. განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობა, უწინარესად მაშინ გვაქვს, როდესაც მკვლელობა განსაკუთრებით მწვალებლურ ხასიათს ატარებს და „სიცოცხლის მოსპობის წინ ან მის პროცესში დამნაშავე განზრახ აწამებს დაზარალებულს ან მძიმედ ტანჯავს მას მრავალი ჭრილობის მიყენებით ან მწვალებლური საწამლავის გამოყენებით“³.

2. აღნიშნული სახის მკვლელობის არსის გარკვევისათვის მნიშვნელოვანია დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენა, რაც ახასიათებს დამნაშავეს დამოკიდებულებას არა მარტო დანაშაულის ქმედობისა და შედეგის მიმართ, არამედ განსაკუთრებულ სისასტიკესთან, როგორც მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებებთან; აუცილებელია დადგინდეს: დამნაშავეს მკვლელობისას სურდა თუ არა განეხორციელებინა განსაკუთრებული სისასტიკე, შეგნებული ჰქონდა თუ არა თავისი მოქმედება.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერებაში განსხვავებული მოსაზრებები გვხვდება. ჩვენი აზრით, სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს სიცოცხლის მოსპობად მის მიერ არჩეული ხერხის (საშუალების) ხასიათი და ითვალისწინებდეს ამ ქმედობის განსაკუთრებულად სასტიკ შედეგს, მას უნდა სურდეს დაზარალებულის სიცოცხლის სწორედ ასეთი საშუალებით მოსპობა, როდესაც ლაპარაკია განზრახ მკვლელობაზე ისეთი საშუალებებით, რომლებიც საშიშროებას წარმოადგენს მრავალი პირის სიცოცხლისათვის, საკმარისია დამნაშავეს შეგნებული ჰქონდეს ეს, ხოლო, როდესაც ლაპარაკია განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილ მკვლელობაზე, სავალდებულოა დამნაშავეს ჰქონდეს სურვილი დაზარალებულს მიაყენოს განსაკუთრებული ტანჯვა, რადგან ზოგადად ტანჯვას ყოველგვარი სიცოცხლის მოსპობა იწვევს⁴.

აქედან გამომდინარე, საქართველოს სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით კვალიფიკაციისათვის, ჩვენი აზრით, სავალდებულოა განზრახ ბრალის პირდაპირი ფორმა. დამნაშავეს შეგნებული უნდა ჰქონდეს და სურდეს არა მარტო თავისი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, არამედ დანაშაულის ჩადენის ხერხი და შედეგი. პირდაპირი განზრახვისას უფრო ვლინდება მკვლელის ფსიქიკური დამოკიდებულება მკვლელობის ხერხის თავისებურებების მიმართ,

² უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1984 წლის 29 მარტის განაჩენი.

³ ვ. მაყაშვილი, მ. მაკავარიანი, თ. წერეთელი, თ. შავგულიძე, დანაშაული პიროვნების წინაღმდეგ, 1980, გვ. 30.

⁴ Курс советского уголовного права, 1973 г., т. 3, с. 515.

რადგან განსაზღვრავს არა მარტო ინტელექტუალურ ხასიათს, არამედ ნებელობით ელემენტსაც.

განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მიზანი უფრო მეტი ლი გასარკვევია, ვიდრე სხვა სახის განზრახ მკვლელობათა მიზანი. იგი, უმეტეს შემთხვევაში, არის ორი ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, თანმიმდევრულად რეალიზებული მიზანი. ძირითადი მიზანი სხვა პირის სიცოცხლის მოსპობაა, ხოლო დამატებითი, სპეციალური მიზანი არის სადისტურე ხერხით წაშლა. ამიტომ, გვამის დანაწევრება, თუ მიზნად არ ისახავს დანაშაულის დაფარვას, ითვლება განსაკუთრებულ სისასტიკედ.

3. განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებს ჭრილობათა სიმრავლე ან სხეულის სხვა დაზიანება. ამ გარემოებათა დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ქმედობის 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით კვალიფიკაციისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ ჭრილობათა სიმრავლე ჯერ კიდევ არ ნიშნავს მკვლელობის განსაკუთრებულ სისასტიკეს⁵. ესე იგი, გამოდის, რომ ჭრილობათა სიმრავლე არ გამოდგება განსაკუთრებული სისასტიკის ერთადერთ კრიტერიუმად. ეს ნიშანი იმ შემთხვევაში მიუთითებს განსაკუთრებულ სისასტიკეზე, როდესაც ჭრილობათა ადგილმდებარეობა და მათი ხასიათი, მათი მიყენების გარემოებები, მკვლელის და მსხვერპლის ძალთა თანაფარდობა, დანაშაულის განზრახვა მიგვანიშნებს განსაკუთრებულ სისასტიკეზე.

ავიღოთ ასეთი მაგალითი. ცოლ-ქმარს სისტემატური უთანხმოება ჰქონდა. განქორწინების შედეგად ცოლმა ქმრის საცხოვრებელ ბინაში მიიღო ერთი ოთახი, მაგრამ დედამთილი და მული სახლში არ უშვებდნენ, ამიტომ იგი თავის არასრულწლოვან შვილთან ერთად ცხოვრობდა ძმასთან და მშობლებთან. ძმა ხშირად ერეოდა თავისი დის და სიძის ურთიერთობებში და ყოველთვის იცავდა დის ინტერესებს. ერთხელ იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას წააწყდა სიძეს და განაწყენებულმა, ექვსი გასროლით სხეულის სხვადასხვა ადგილზე მიაყენა მას მძიმე ჭრილობები, რის შედეგადაც იგი ადგილზევე მოკვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით მკვლელის მოქმედება დაკვალიფიცირდა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ეს კვალიფიკაცია არასწორად სცნო და გადააკვალიფიცირა იგი საქართველოს სსკ 105-ე მუხლზე.

ჩვენი აზრით, კოლეგიის გადაწყვეტილება სწორია, რადგან ჭრილობათა სიმრავლე ჯერ კიდევ არ მეტყველებს განსაკუთრებულ სისასტიკეზე. გარდა ამისა, მკვლელს განზრახვა არ ჰქონდა განსაკუთრებული სისასტიკით საშუალებებით მოეკლა სიძე.

ჭრილობათა სიმრავლით ხშირად დაზარალებული განიცდის ტანჯვა-წამებას. ეს მკვლელობის საკმაოდ ძნელად შესაფასებელი ობიექტური ნიშანია. მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა პეტრემ განიზრახა პავლეზე თავდასხმა. მისი პირადი ქონების დაუფლებისა და განსაკუთრებული სისასტიკით მისი მოკვლის მიზნით 3 მეტრის სიმაღლიდან გადააგდო მდინარის საყრდენი კედ-

⁵ «Постановления Пленума Верховного Суда СССР по уголовным делам 1959—1971 гг.», М., 1973, с. 210.

ლის კალაპოტში, შემდეგ თვითონაც ჩავიდა და ყელისა და გულ-მკერდის არეში დანით მიაყენა 12 ჭრილობა და გაძარცვა. დაჭრილი საავადმყოფოში მოთავსებისთანავე გარდაიცვალა. ეს მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა შემთხვევაში ჩათვლება ჭრილობათა სიმრავლე განსაკუთრებულად სასტიკ საშუალებად⁶.

ჭრილობათა სიმრავლის, როგორც განსაკუთრებული სისასტიკის გამოვლენად ჩათვლის საფუძვლად, ხშირად იყენებენ პრეზუმციას, რომლის მიხედვითაც დაზარალებულისათვის მრავალი ჭრილობის მიყენებამ შეუძლებელია მას არ მიაყენოს განსაკუთრებული ტანჯვა. ამგვარი პოზიცია არ უნდა იყოს სწორი. პირველ რიგში, უნდა დადგინდეს, მიყენებული ზიანის მთელი კომპლექსიდან, რომელი ჭრილობა აღმოჩნდა სასიკვდილო. ძნელია ვამტკიცოთ, რომ დაზარალებულისათვის მიყენებული ათი ან ოცი ჭრილობა მკერდის ან მუცლის არეში, რის შედეგადაც ადამიანი რამდენიმე წუთში კვდება, უფრო მეტ ტანჯვას იწვევდეს, ვიდრე ერთი ჭრილობის მიყენება, რის შედეგადაც დაზარალებული ნელა, რამდენიმე საათის განმავლობაში კვდება თუ სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინეს. ჩვენი აზრით, მსხვერპლი სწორედ მეორე შემთხვევაში განიცდის მეტ ტანჯვას.

ჭრილობათა სიმრავლე შეიძლება განაპირობოს შემდეგმა ობიექტურმა ფაქტორებმა: დაზარალებულის ფიზიკური უპირატესობა; ჭრილობათა სიმრავლის გამოყენება როგორც ფიზიკური სისუსტის კომპენსაციის საშუალება; იარაღის ნაკლებ ეფექტიანობა; დაზარალებულის ძლიერი წინააღმდეგობა და დანაშაულის ჩადენის განსაკუთრებული პირობები⁷. ამასთან, ჭრილობათა სიმრავლე შეიძლება განპირობებული იყოს სუბიექტური ფაქტორებითაც, მაგრამ ეს ფაქტი ხშირად მეტყველებს არა განსაკუთრებულ სისასტიკეზე, არამედ ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაზე, რისი ხასიათიც გლინდება ცალკეული მოქმედების შეუთავსებლობაში, საკუთარი მოქმედებების შეუგნებლობასა და თვითკონტროლის დაკარგვაში, როცა დამნაშავე იმყოფება აფექტის მდგომარეობაში, მას შეიძლება არ ჰქონდეს შეგნებული და გაცნობიერებული ცალკეული მოქმედება, შეიძლება ვერც კი შენიშნოს, რომ მიზანი უკვე მიღწეულია და მაინც ინერციით განაგრძოს ჭრილობების მიყენება.

აფექტში მიყენებული ჭრილობები უნდა განვიხილოთ, როგორც სიტუაციური და სუბიექტის ნაკლებად შეცნობადი რეაქცია გარემო პირობებზე, როგორც არატიპური, შემთხვევითი რეაქცია და ამდენად ეს არ ნიშნავს პიროვნების განსაკუთრებულ სისასტიკეს.

4. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 29 ივლისის დადგენილებაში მითითებულია, თუ როდის ჩაითვლება მკვლელობა განსაკუთრებულ სისასტიკედ. ეს არის მკვლელობები წამებით, ტანჯვით, ნელამოქმედი საწამლავის გამოყენებით, მრავალი ჭრილობის მიყენებით და სხვა.

პრობლემატურია საკითხი თუ რა უნდა ვიგულისხმოთ განსაკუთრებულად მწვალებლური ხასიათის მოქმედებაში — ფიზიკური ტანჯვა თუ სულიერი განცდები, რომელიც არ არის დაკავშირებული ფიზიკურ ტანჯვასთან. მტანჯავი სა-

⁶ საქრთველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1985 წლის 1 აპრილის განაჩენი, № 2-54.

⁷ С. Н. Питерцев, Оценка множество ранений в посягательствах на жизнь, «Советская юстиция», 1973, № 19.

შუალეღბებია: საკვებისა და წყლის გარეშე დატოვება, რომელიც სულიერ ტან-ჯვას ერწყმის, მაგრამ, რა თქმა უნდა, არ უთანაბრდება მას.

უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეში იგულისხმება არა მარტო დაზარალებულისათვის, არამედ მისი ახლობლებისათვისაც მიყენებული ზიანი, რომლებიც დანაშაულის ადგილზე იმყოფებიან და შეგნებული აქვთ მომხდარი ფაქტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1975 წლის 27 ივნისის დადგენილების თანახმად განსაკუთრებულად სასტიკ მკვლელობად ითვლება აგრეთვე მკვლელობა ახლობლების თანდასწრებით, როცა დამნაშავეს შეგნებული აქვს და სურს, რომ ტანჯვა მიაყენოს დაზარალებულის ახლობლებს.⁸ განვიხილოთ ასეთი მაგალითი:

პეტრემ თავის სახლში, ეკვიანობის ნიადაგზე, განიზრახა მეუღლის მოკვლა. ამ მიზნით, იგი მოულოდნელად წამოხტა საწოლიდან და თავისი 7 წლის შვილის თანდასწრებით, განსაკუთრებული სისასტიკით, თავის არეში დიდი ზომის ჩაქუჩის რამდენჯერმე ჩარტყმით მოკლა მეუღლე⁹.

არსებობს მოსაზრება, რომ განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებს ერთმანეთზე მიყოლებით ჩადენილი რამდენიმე მკვლელობა. ჩვენი აზრით, ეს მოსაზრება დაზუსტებას მოითხოვს. კანონმდებელი ითვალისწინებს მკვლელობის სპეციალურ სახეს — ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობას (საქართველოს სსკ 104-ე მუხლის მე-4 პუნქტი). იმისათვის, რომ მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილად ვცნოთ, სავალდებულოა რომ მომდევნო (მეორე) მსხვერპლს შეგნებული ჰქონდეს დამნაშავეს შემდგომი მოქმედების ხასიათი და მისი მიმართულება. განსაკუთრებულ სისასტიკეზე მიუთითებს მშობლის თვალწინ შვილის მკვლელობა და პირიქით, მკვლელობა დაზარალებულის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, რომელსაც შეგნებული აქვს რომ მას სიცოცხლეს უსპობენ. თუკი ორი ან რამდენიმე პირის მკვლელობა ჩადენილია განსაკუთრებული სისასტიკით, მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება საქართველოს სსკ 104-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტით.

5. იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად წყდება საკითხი იმის შესახებ, აუცილებელია თუ არა 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული მკვლელობის კვალიფიკაციისათვის დაზარალებულის წამების ნიშნების არსებობა. ზოგიერთ მეცნიერს მიაჩნია, რომ მოკვლის პროცესში მსხვერპლის ტანჯვა-წამება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის აუცილებელი ნიშანი უნდა იყოს.¹⁰ ამასთან დაკავშირებით, რთულია თვით სიკვდილის მომენტის ან იმ მომენტის განსაზღვრა, რომლის დროსაც დაზარალებული ვეღარ გრძნობს წამებით მიყენებულ ტკივილს უგრძნობი მდგომარეობის გამო, აგრეთვე უნდა დადგინდეს შეეძლო კი დაზარალებულს შეეგრძნო ტკივილი,

⁸ Сборник постановлений Пленума Верховного Суда СССР 1924—77 гг., ч. 2, с. 189.

⁹ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს 1984 წლის 13 აპრილის სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის განჩინება, № 2-79.

¹⁰ И. Ф. Кузнецова. Вопросы квалификации умышленного убийства. Вестник МГУ, 1961, «Право», № 2, с. 45; Ю. Ф. Любшев, Деятельность судов по борьбе с преступлениями против личности, М., 1977, с. 53.

ვთქვით. ძლიერი სიმთვრალის დროს¹¹, როტულია აგრეთვე იმის დადგენა, შეგნებული ჰქონდა თუ არა დამნაშავეს ეს ფაქტი. ასეთი მაგალითი: მთვრალმა პეტრემ ასევე მთვრალ პავლეს რამდენჯერმე სახეში დასაჯებულ მუშტი. პავლე წაიქცა, მაგრამ პეტრე მაინც არ მოეშვა და ახლა რამდენჯერმე ფეხი ჩაარტყა გულ-შეკრდისა და მუცლის არეში. ტრამეების, სხეულის მძიმე დაზიანების შედეგად იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავე პასუხისგებაში მიეცა რსფსრ სსკ 102-ე მუხლის მე-4 პუნქტით. რსფსრ უმაღლესმა სასამართლომ კვალიფიკაცია შეცვალა და დამნაშავეს ქმედება გადააკვალიფიცირა რსფსრ-ს სსკ 103-ე მუხლით. ჩვენი აზრით, უმაღლესი სასამართლოს ეს გადაწყვეტილება სწორია, რადგან პეტრეს განზრახვა არ მოიცავდა განზრახ მკვლელობას განსაკუთრებული სისასტიკით. მან მკვლელობა ჩაიდინა ჩხუბში და მის მიერ მიყენებული სხეულის დაზიანებებიც არ მიუთითებენ მსხვერპლის განსაკუთრებულად სისასტიკე საშუალებებით ტანჯვა-წამებაზე¹².


როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს პირის მოქმედება, თუკი პირს მკვლელობის დროს სურს მრავალი ჭრილობით მოკლას მსხვერპლი, მაგრამ პირველივე დარტყმით უსპობს მას სიცოცხლეს და განაგრძობს ჭრილობების მიყენებას, რადგან ვერ ხვდება, რომ მსხვერპლი უკვე მოკვდა. პირველივე დარტყმით მიყენებული ჭრილობით სიცოცხლის მოსპობა შემთხვევითია, ასეთივე შედეგი შეიძლება დადგეს მეორე, მესამე, მეათე დარტყმიდანაც იმ შემთხვევაშიც, როდესაც სუბიექტი განსაკუთრებული სისასტიკით სჩადის განზრახ მკვლელობას, მაგრამ მკვლელისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ეს მკვლელობა დაზარალებულისათვის განსაკუთრებული ტანჯვით არ ხორციელდება. ასეთ შემთხვევაში დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით.

6. განსაკუთრებული სისასტიკე პიროვნების თვისებაა, რაც გარკვეულ პირობებში უყალიბდება მას. ამ თვისების ფსიქოფიზიოლოგიური საფუძველია სუბიექტის მიერ განუსაზღვრელი ბრაზი, ბოღმა და ზიზღი სხვა პირის მიმართ. ეს არის ამ გრძნობების მჭიდროდ გადახლართული კომბინაცია. ფსიქოლოგიურ ასპექტში განსაკუთრებული სისასტიკე სუბიექტის გაუკუღმართებულო, ანტისოციალური განწყობილებაა, რომელიც უბიძგებს მას გამოიყენოს განსაკუთრებულად სისასტიკე ხერხები დაზარალებულის მიმართ ან ჩვეულებრივი ხერხით მკვლელობისას განახორციელოს დამატებითი მოქმედებები, რომელიც განსაკუთრებულ ტანჯვას აყენებს დაზარალებულს ან მის ახლობლებს¹³. დამნაშავე არ კმაყოფილდება მხოლოდ მსხვერპლის აბუჩად აგდებით, მისი ტანჯვა-წამებით, იგი უდიდეს ფსიქიკურ ტრამვას აყენებს დაზარალებულის ახლობლებსაც, როცა განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის თვითმხილველად აქცევს მათ. განვიხილოთ ამის მაგალითი სასამართლოს პრაქტიკიდან: პეტრემ ეჭვიანობის ნიადაგზე განიზრახა თავისი მეუღლის განსაკუთრებული სისასტიკით მოკვლა. აივნისაგან ფარულად შევიდა თავის საცხოვრებელ ბინაში, სადაც მეუღლესთან მოუვიდა შელაპარაკება და ეჭვიანობის ნიადაგზე 7 წლის შვილის და სიდედრის თან-

¹¹ Н. Садреев, И. Мухамедзинов, О квалификации умышленного убийства совершенных с особой жесткостью, «Социалистическая законность», 1981, № 10.

¹² «Постановления и определения по уголовным делам ВС РСФСР, 1981—88 гг., с. 148-149.

¹³ ს. პიტერცევის დასახ. ნაშ. გვ. 18.



დასწრებით წინასწარ მომარჯვებული დანით, მეუღლეს მიაყენა მრავალი დანი-
ანება. იგი ადგილზევე გარდაიცვალა. დამნაშავემ ახლა სიდედრის მოკვლა გა-
ნიზრახა, მას დანა ჩაართვა მკერდის არეში და მიაძახა „შენც მოკვდიო“, მაგრამ
განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

7. განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში ხშირად თანამონაწი-
ლეობით ხორციელდება, განვიხილოთ, თუ როგორ კვალიფიცირდება თანამონა-
წილეთა მოქმედება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობისას.
თუკი თანამონაწილეები (წამქეზებელი ან ორგანიზატორი) არ იყვნენ წინასწარ
წეთანხმებული მკვლელობის ხერხზე და შემსრულებელმა ჩაიდინა მკვლელობა
განსაკუთრებული სისასტიკით, მაშინ სხვა თანამონაწილეთა მოქმედება ვერ
დაკვალიფიცირდება სსკ 104-ე მუხლის მე-6 პუნქტით, რადგან თანამონაწილეთა
განზრახვა არ შეიცავს განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობას. მაგალითად:
პეტრემ და პავლემ მეზობელს ცხვრის ფარა მოპარეს. გამოძიების დროს, მი-
ლიციის მუშაკებმა რამდენჯერმე დაკითხეს პავლე, რომელიც შემდეგ პეტრეს
დაემუქრა, თუ დამაკავებენ ყველაფერს ვალიარებ და შენც დაგასახელებო. პეტ-
რეს შეეშინდა და თავის ორ მეგობართან ერთად გადაწყვიტა პავლეს მოკვლა.
ერთ საღამოს, მათ მსხვერპლი დაათვრეს და მანქანით სოფლის შარავზაზე გა-
იყვანეს. იქ პეტრემ ძალაყინი თავში ჩაართვა პავლეს, რომელიც უგრძობლად
დაეცა. ამის შემდეგ, პეტრემ და მისმა თანამონაწილეებმა პავლე წყლის რკინა-
ბეტონის მილში შეათრიეს, სადაც პეტრემ კიდევ რამდენჯერმე ჩაართვა თავში
და ჯერ კიდევ ცოცხალს დანით მოაჭრა თავი.

მართალია ეს მკვლელობა პეტრეს და მის ამხანაგებს წინასწარ ჰქონდათ
მოლაპარაკებული, მაგრამ თავში ძალაყინის დარტყმის შედეგად გაბრუებულ
პავლეს პეტრემ ბოლო წუთში თავი მოაჭრა, რითაც გადალახა საერთო დანა-
შაულებრივი განზრახვის ფარგლები¹⁴, ესე იგი თანამონაწილეები პასუხს ვერ
აგებენ უფრო მძიმე დანაშაულისათვის, ვიდრე ეს თანამონაწილეთა საერთო
განზრახვით იყო გათვალისწინებული.



¹⁴ საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 1984
წლის 26 ოქტომბრის განაჩენი.



სიკვდილით დასჯა და საზოგადოებრივი აზრი


სიკვდილით დასჯა ერთ-ერთი რთული პრობლემაა იურიდიულ ლიტერატურაში. სირთულე ისაა, რომ სიკვდილით დასჯა სასჯელთა სისტემაში არ არის შეტანილი. ამის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 24-ე მუხლში ჩაწერილია: „სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის — გამოყენება...“ სიკვდილით დასჯა განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებაა. ის შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხოლოდ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის დროს და განსაკუთრებით საშიში დანაშაულის მიმართ. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით ყოველთვის ალტერნატიულად და რაც მთავარია, დაშვებულია დროებით, მის სრულ გაუქმებამდე.

„სიკვდილით დასჯა“ — ეს ორი სიტყვა ადამიანების ერთ ნაწილში იწვევს შიშსა და ძრწოლას, ზოლო მეორე ნაწილში — მკაცრ პროტესტს. უფრო მეტიც, ბევრი სიკვდილით დასჯას ადამიანისათვის სიცოცხლის წართმევის ოფიციალურად დაკანონებულ ღონისძიებად მიიჩნევს. არსებობს ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვით ჩვენს საზოგადოებაში სიკვდილით დასჯა იშვიათად გამოიყენება, რაც ხელს უწყობს დანაშაულის ზრდას. ეს პრეტენზია, პირველ რიგში, მიმართულია სამართალდამცავი ორგანოებისადმი. ამ მოსაზრების მიხედვით დანაშაულის ზრდასა და სიკვდილით დასჯას შორის არსებობს უშუალო კავშირი.

როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯის საკითხთან დაკავშირებით არის ორი განსხვავებული მოსაზრება. თუ ამ საკითხს ისტორიულ ასპექტში განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ თითოეულ ეპოქაში სიკვდილით დასჯაზე ყოველთვის იყო ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრება — სიკვდილით დასჯის მომხრეების და მისი მოწინააღმდეგეებისა.

ძველ საბერძნეთში ასეთი შემთხვევა მოხდა. ქალაქი მითილენი, რომელიც კუნძულ ლესბოსზე მდებარეობდა, აუჯანყდა ათენს და მისი მოწინააღმდეგის მხარე დაიჭირა. ათენელებმა აიღეს მითილენი და გადაწყვიტეს მკაცრად დაესაჯათ მისი მოსახლეობა. აქ ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი მოსაზრება: ათენელი დემაგოგი კლეონი მოითხოვდა ქალაქის მცხოვრები მამაკაცების სიკვდილით დასჯას, ხოლო მეორე ათენელი ორატორი — დიოდოტი ამტკიცებდა, რომ სიკვდილით დასჯა არაეფექტური სასჯელია. როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 2500 წლის წინათ ეჭვს იწვევდა დანაშაულის შემცირების მიზნით სიკვდილით დასჯის გამოყენების ეფექტურობა. ამ კამათში გამარჯვება დიოდოტს ხვდა წილად. სამწუხაროდ, ეს პუმანური და გონივრული გადაწყვეტილება შუა საუკუნეებში დავიწყებას მიეცა.

რუსეთში სიკვდილით დასჯა კანონმდებლობამ შემოიღო 1398 წელს, დვინის საწესდებო სიგელით, რომელიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა მხო-



ლოდ ერთადერთ შემთხვევაში — მესამედ ქურდობისათვის, ხოლო თვით მკვლელობისთვისაც კი, სიკვდილით დასჯა არ იყო გათვალისწინებული.

ივანე მრისხანეს „კანონთა კრებული“ — სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა თორმეტ შემთხვევაში, ხოლო პეტრე I-ის მეფობის პერიოდში ეს რიცხვი 923-მდე გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში სიკვდილით დასჯა გაუქმდა, ხოლო ოქტომბრის გადატრიალებისა და სამოქალაქო ომის პერიოდში სასჯელის ამ განსაკუთრებულ ღონისძიებას ზშირად მიმართავდნენ. უკვე 1918 წელს კი იწყება ეგრეთ წოდებული „წითელი ტერორის“ ხანა, კერძოდ, მხოლოდ 1918 წლის ივნისიდან 1919 წლის თებერვლამდე პერიოდში სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიების განაჩენებით 23 გუბერნიის ტერიტორიაზე დაიხვრიტა 5496 ადამიანი. ლენინი წითელ ტერორს განიხილავდა, როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთ საშუალებას. უკვე 1920 წელს, რევოლუციური სამხედრო ტრიბუნალების მიერ, სიკვდილით დასჯილი იქნა 6541 ადამიანი.

1922 წელს რსფსრ-ს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის შემუშავებისას ლენინმა გამოთქვა თავისი მოსაზრება სიკვდილით დასჯის საკითხთან დაკავშირებით: „სასამართლომ კი არ უნდა უარყოს ტერორი: ამის დაპირება ხალხის მოტყუება ან თავის მოტყუებაა, არამედ, უნდა დაასაბუთოს და დააკანონოს იგი ყოველგვარი შელამაზებისა და სიცრუის გარეშე“. ესე იგი, მოითხოვდა კოდექსში არა „ვიწრო იურიდიული“, არამედ „პოლიტიკურად“ გამართლებული ტერორის დასაბუთებას. თუნდაც ის რად ღირს, რომ იურისტი ლენინი ხმარობს არა იურიდიულ ტერმინს — „სიკვდილით დასჯას“ — არამედ პოლიტიკურ ტერმინს — „ტერორს“, რაც მისი გაგებით, ყოველთვის იყო კლასობრივი ბრძოლის შემადგენელი ნაწილი. ამ „თეორიას“ წარმატებით იყენებდა ატალინიც. მისი სიკვდილის შემდეგ, კერძოდ, 1958 წლის საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებში, სიკვდილით დასჯა არ იქნა შეტანილი სასჯელთა სისტემაში. საფუძვლების 22-ე მუხლში აღინიშნა, რომ სიკვდილით დასჯა არის სისხლის სამართლის სასჯელის განსაკუთრებული და დროებითი ღონისძიება. აქ მოცემულ ჩამონათვალში სიკვდილით დასჯა გათვალისწინებული იყო შემდეგ შემთხვევებში: სამშობლოს ღალატი, ჯაშუშობა, დივერსია, ტერორისტული აქტი, ბანდიტიზმი, დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი განზრახი მკვლელობა; ხოლო 1961 წლის 5 მაისის ბრძანებულებით სიკვდილით დასჯა შემოღებულ იქნა აგრეთვე: სოციალისტური ქონების დატაცების, ყალბი ფულის მოჭრის, დიდი ოდენობით ფასიანი ქალაქებისა თუ სავალუტო ფასეულობათა სპეკულაციისათვის, აგრეთვე შრომა-აღმზრდელობით დაწესებულებებში დეზორგანიზაციის შეტანისათვის. 1962 წლის 15 თებერვლის ბრძანებულებით ამას დაემატა სიკვდილით დასჯა გაუბატოების, დამამძიმებელ გარემოებებში ქრთამის აღებისა და მილიციის მუშაყის ან სახალხო რაზმელის სიცოცხლის ხელყოფისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის 70 წლის არსებობის მანძილზე სიკვდილით დასჯა ითვლება დროებით და განსაკუთრებულ ღონისძიებად, ის დღესაც „ამშვენებს“ სისხლის სამართლის კოდექსის 33-ე მუხლს.

საჭიროა კი სიკვდილით დასჯის გათვალისწინების ასეთი სიმრავლე? ამ კითხვაზე, რომ პასუხი გავცეთ, ხელთ უნდა გვქონდეს სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც გვიჩვენებენ, თუ რა გავლენას ახდენს სიკვდილით დასჯა და-

ნაშაულობაზე. საბჭოთა კავშირში სიკვდილით დასჯის პრობლემას ეხება მხოლოდ პროფესორ გ. ანაშკინის მონოგრაფია. ავტორს მიაჩნია, რომ სიკვდილით დასჯის მეშვეობით შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა დანაშაულობასთან ბრძოლაში¹. ხოლო მკვლევარი ჯონი ზეცურიანი სიკვდილით დასჯას ანაქრონიზმად მიიჩნევს. მისი აზრით, სიკვდილით დასჯის არსებობას ზნეობრივი საფუძველი არ გააჩნია, და ამიტომ, მოითხოვს მის გაუქმებას².

XIX საუკუნის დამლევს და XX საუკუნის დამდეგს რუსეთის მოწინავე საზოგადოებრივი აზრი, კატეგორიული წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა. კერძოდ, გამოჩენილმა რუსმა კრიმინალისტმა ნიკოლოზ ტაგანცევმა 1913 წელს გამოაქვეყნა შრომების კრებული საერთო სათაურით „სიკვდილით დასჯა“, სადაც ის მხარს უჭერდა სიკვდილით დასჯის გაუქმებას. ხოლო რუსი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი ვლადიმერ სოლოვიოვი, სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ საჯარო გამოსვლის შემდეგ, იძულებული გახდა მიეტოვებინა სამსახური. დიდი რუსი ფილოსოფოსი ნიკოლოზ ბერდიაევი კატეგორიული წინააღმდეგი იყო სიკვდილით დასჯისა. რუსი ეკონომისტი, ფილოსოფოსი და თეოლოგი სერგეი ბულგაკოვი სტატიაში „სიკვდილით დასჯის შესახებ“ წერდა: „სიკვდილით დასჯა — ეს არის მკვლელობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საზარელი ნაირსახეობა, რადგანაც მას სჩადიან შეგნებულად, ყოველგვარი აფექტის, ყოველგვარი მიზნის გარეშე; ეს არის მკვლელობა ჩადენილი მკვლელობის წილად“.

თანამედროვე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება არსებობს. ერთნი კატეგორიული წინააღმდეგნი არიან მისი გამოყენებისა, მეორენი — მართალია, წინააღმდეგნი არიან სიკვდილით დასჯისა, მაგრამ მოითხოვენ მის „თანდათანობით“ გაუქმებას, ხოლო მესამენი ემხრობიან სიკვდილით დასჯას.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ 1988 წლისათვის სიკვდილით დასჯა გაუქმებული იყო საზღვარგარეთის 53 ქვეყანაში, ოლო ფაქტობრივად არ გამოიყენება 27 სახელმწიფოში. ამერიკის შეერთებულ შტატებში სიკვდილით დასჯა გაუქმებულია 13 შტატში.

ქართული სამართლის ძეგლებში სიკვდილით დასჯის შესახებ მეტად უმნიშვნელო ცნობებია შემონახული. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით: „საერთოდ სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი იყო საქართველოში. ქართული სისხლის სამართლით ასეთი უმაღლესი სასჯელი მართო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის არსებობდა. აგრეთვე, მეფის პირადი, საჯარო შეურაცხყოფისა და მეკობრეობისათვისაც... ქართულ სისხლის სამართალს სიკვდილით დასჯა მხოლოდ თავის მოკვეთითა და ჩამოხრჩობით სცილდნია“³.

რაც შეეხება რელიგიური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯას, აქ აზრთა სხვადასხვაობაა. სამართლის ისტორიის მკვლევარი, პროფესორი გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოში „რელიგიური დანაშაულისათვის არ იყო დაწესებული სიკვდილით დასჯა“⁴.

¹ См. Анашкин Г. З. Законодательство СССР о смертной казни и практике его применения, М., 1969.

² ივ. ჯავახიშვილი, სიკვდილით დასჯა და თანამედროვეობა, გაზ. „კომუნისტი“, 1989 წ. № 19.

³ ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, 1984, ტ. 7, წიგ. 2, გვ. 372.

⁴ გ. ნადარეიშვილი, ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XIII სს. საქართველოში, იბ., 1959, გვ. 101.

ჩემი აზრით, ქართული სამართალი ვერ იქნებოდა საერთო წესიდან გამო-
ნაკლისი. მართლაც, აკადემიკოსი ი. დოლიძე მიუთითებს, რომ „კათალიკოს-
თა სამართლის“ მე-3 მუხლით „ძელსა მიცემა“ ანუ ჩამოხრჩობა იყო განთავს-
ლისწინებული „ეკლესიის მკრეხელობისათვის“.⁵ ცხადია, „ეკლესიის მკრეხე-
ლობა“ სწორედ რელიგიური დანაშაულია, ოღონდ აქვე უნდა ავღნიშნოთ,
რომ სხვა ფეოდალური სამართლებრივი სისტემებისაგან განსხვავებით, რელი-
გიური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა ქართულ სამართალში იშვიათი
გამონაკლისია და მხოლოდ „ეკლესიის მკრეხელობისათვის“ იყო გათვალისწი-
ნებული.

დემოკრატიული საქართველოს (1918-1921 წწ.) კონსტიტუციის პროექტი
ითვალისწინებდა მშვიდობიანობის დროს სიკვდილით დასჯის მთლიანად გაუქ-
მებას. რაც შეეხება ამბოხებით ან ომით გამოწვეულ საგანგებო ვითარებას, ამ
დროსაც კი არ იყო აუცილებელი სიკვდილით დასჯის ხშირი გამოყენება.

სიკვდილით დასჯის მომხრეები თავისი პოზიციის განსამტკიცებლად ძირი-
თადად იმ არგუმენტს იშველიებენ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილის საზოგა-
დობრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრეა. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკ-
ვლევაც ამას ადასტურებს — გამოკითხული ქალების 60 პროცენტი სიკვდილით
დასჯის მომხრეა, 10 პროცენტმა თავი შეიკავა. და მხოლოდ 30 პროცენტი აღ-
მოჩნდა წინააღმდეგი სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენებისა.
რაც შეეხება მამაკაცებს, მათი 40 პროცენტი სიკვდილით დასჯის მომხრეა,
15 პროცენტმა თავი შეიკავა და მხოლოდ 45 პროცენტი აღმოჩნდა სასჯე-
ლის განსაკუთრებული ღონისძიების გამოყენების წინააღმდეგი.

გამოდის, რომ ქალებს მეტი მიდრეკილება აქვთ დამნაშავეს სიკვდილით
დასჯისაკენ. ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ქალი მკვლელში თავისი შვილის
ან ახლობელი ადამიანის მკვლელს ხედავს და მის მიმართ დაუნდობელია. მა-
მაკაცში კი შეიძლება თავდაცვის მექანიზმი უფრო მძლავრობდეს.

განსაკუთრებით საინტერესოა იმის დადგენა, თუ რა შემთხვევებში დატო-
ვებდნენ ქალები და მამაკაცები, სიკვდილით დასჯას. რესპოდენტებს შესაძლებ-
ლობა ჰქონდათ შემოეხაზათ რამდენიმე პასუხი: იმ ქალთაგან, რომლებიც
სიკვდილით დასჯის მომხრენი არიან, სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების
გამოყენებას განზრახი მკვლელობისათვის მოითხოვს 66,5 პროცენტი, მცირე-
წლოვანის გაუბატიურებისათვის — 88,5 პროცენტი. აქაც დედის ინსტიქტმა
იმძლავრა. იმ მამაკაცთაგან, რომლებიც სიკვდილით დასჯის მომხრენი არიან,
42,4 პროცენტმა მოითხოვა სიკვდილით დასჯა განზრახი მკვლელობისათვის,
46,4 პროცენტმა — მცირეწლოვანის გაუბატიურებისათვის.

მამასადამე, ჩვენს მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ გა-
მოკითხულთა დიდი ნაწილი სიკვდილით დასჯის მომხრეა და მოითხოვს, რომ
ეს სასჯელი არსებობდეს განზრახი მკვლელობისა და მცირეწლოვანის გაუბა-
ტიურებისათვის.

როგორც ვხედავთ, ისევ გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო
მოსაზრება — სიკვდილით დასჯის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების, მაგ-
რამ, ღრმად გვწამს, რომ სიკვდილით დასჯა, როგორც დანაშაულობასთან ბრძო-
ლის გაუმართლებელი და ანტიჰუმანური საშუალება უნდა გაუქმდეს მთლიანად
და სამუდამოდ!

⁵ ი. დოლიძე, ძველი აღმოსავლეთის სამართალი, თბ., 1960, გვ. 111-116.

კონსტანტინე მიქალაძე

დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და პარლამენტარული რესპუბლიკა*

თანამედროვე საზოგადოების პოლიტიკური ვითარება და უფლებრივი შეგნება იმ წერტილამდე არ მისულა, რომ შესაძლებელი იყოს მსაჯულთა არჩევა თვით ხალხის მიერ. ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი ისაა, რომ მსაჯულებს ნიშნავდეს ის ორგანო, რომელიც არ ეწევა პრაქტიკულ საქმიანობას, რომელიც აწესებს სახელმწიფოსათვის კანონებს, ე. ი. საკანონმდებლო ორგანო. კანონში ხალხის საერთო ნების გამომხატველმა უფრო უწყის, თუ ვინ და როგორ ასარულებს მსაჯულის მოვალეობას. მაგრამ ამით ჩვენ არ ვადასტურებთ საჭიროებას ყველა მსაჯულების დანიშვნისას საკანონმდებლო ორგანოს მიერ. დანიშვნის კომპეტენცია უნდა იქნეს განაწილებული კანონმდებლის, უმაღლეს სასამართლოს და ხალხის შორის, ვინაიდან ჩვეულებრივ კანონმდებელს არ შეიძლება დაევალოს, რომ თითოეულ მსაჯულის დანიშვნის შესახებ იქონიოს მსჯელობა; ეს მისთვის ძლიერ დიდი ტვირთი იქნებოდა. ასეთი მდგომარეობა იწვევს იმის საჭიროებას, რომ დანიშვნის უფლება მინიჭებული ჰქონდეს უმაღლეს სასამართლოს მოთავეს. მაგრამ ხალხსაც უნდა ჰქონდეს მსაჯულთა არჩევის უფლება როდესაც საქმე ეხება იმ მოსამართლეების არჩევას, რომელთა დანიშნულებას შეადგენს სწრაფი დაკმაყოფილება მცხოვრებთა და სახელმწიფოს წვრილმან ინტერესებისა.

მსაჯულის დამოუკიდებელ მდგომარეობის პირობას შეადგენს აგრეთვე ის, რომ მისი გადაყენება იქნეს დამყარებული კანონმდებლების ნებაზე იმ შემთხვევაში, თუ კი ის არჩეული არის უკანასკნელის მიერ; მაშინ კი, როდესაც ის პირდაპირ ირჩევა ხალხის მიერ ან ინიშნება სასამართლოს მოთავეს მიერ, მის გადაყენებას უნდა ჰქონდეს ადგილი სასამართლოს დადგენილების ძალით. ამ პირობას უერთდება ისიც, რომ მსაჯულის გადაყენა უნდა იქნეს დამოკიდებული მის თავისუფალ თანხმობაზე.

აღნიშნული პირობები უზრუნველყოფენ მსაჯულთა დამოუკიდებელ მდგომარეობას. მაგრამ ამით არ იჭრება საკითხი, თუ რა პირობები უზრუნველყოფენ სასამართლოს მიერ დანიშნულების და გვარად საკუთარ ფუნქციების პირნათლად ასრულებას. აქ თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ სახელმწიფო კანონებს და სასამართლოს ორგანიზაციას.

დასაბრუნო. დასაწყისი იხ. უფროსი „სამართალი“, № 8-ი.

ორგანიზაცია არ არის ისეთი პირობა, რომელიც უზრუნველყოფდეს სასამართლოს ხალხისათვის უზენაეს მნიშვნელობას და სარგებლიანობას. ამას უფრო ჰქონდეს ადგილი, საჭიროა, რომ არსებული კანონები სასამართლოს აძლევდნენ საშვალებას მუდმივ იდგეს ჭეშმარიტ დანიშნულების გზაზე. აქ პირველ ყოვლისა დიდი მნიშვნელობა აქვს კანონების ხასიათს და თვისებებს, თუ კი სახელმწიფოს კანონები არ გამომდინარეობენ საზოგადოების ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებებიდან. თუ კი კანონების წყაროს არ შეადგენენ ხალხის უფლებრივი შეგნება, ზნე-ჩვეულება და ეთიური შეხედულება, რა ორგანიზაციაც არ უნდა ექნეს სასამართლოს, ის ხალხს არ მოუტანს დიდ სარგებლობას. ამიტომ ხალხის ინტერესს შეადგენს ის, რომ ისეთი კანონები იქნენ გამოცემულნი, რომლებიც გამოხატავენ ხალხის ნამდვილ ფსიქოლოგიას. ამით ჩვენ სრულიად არ გვინდა იმის თქმა, თუ კი რომ ხალხის უმეტეს ნაწილში ბატონობს ყალბი ზნე-ჩვეულება და ეთიური შეხედულება, კანონმა უნდა გამოხატოს ეს უკანასკნელი. თითოეულ ხალხს, რა გვარ პოლიტიკურ მდგომარეობასაც იგი არ უნდა განიცდიდეს, ყავს ისეთი პირი ანუ ჯგუფები, რომელნიც არიან მატარებელი მოწინავე აზრებისა. კანონმდებელიც, თუ ის ჭეშმარიტ მოვალეობის და დანიშნულების გზით მიდის, იძულებული ხდება დაადასტუროს კანონებში ხალხის მოწინავე ნაწილის მისწრაფებანი და მოთხოვნილებანი.

პრაქტიკა თანამედროვე სახელმწიფოებისა გვიჩვენებს, რომ სასამართლოს ორგანიზაცია ორსახიზიან არის: ერთპიროვნული და კოლლექტიური. ერთპიროვნულ სასამართლოს არსებობას იწვევს ის გარემოება, რომ ხალხთან, ადგილობრივ მცხოვრებლებთან ახლო უნდა იყოს მომრიგებელი მსაჯული, რომლის მოვალეობას შეადგენს მცხოვრებლების უფლებრივ ინტერესების დაკმაყოფილება. მაგრამ ყოველი საქმის გადაწყვეტა შეუძლებელია მას დაევალოს.

მომრიგებელ მსაჯულის კომპეტენცია უნდა გამოიხატოს იმ საქმეთა გარჩევაში, რომლებიც არ წარმოადგენენ დიდ და რთულ ინტერესს. ამ სასამართლოს დანიშნულებას, მაშასადამე, ის შეადგენს, რომ სისწრაფით იქნენ დაკმაყოფილებულნი ადგილობრივი მცხოვრებლების და სახელმწიფოს წვრილმანი ინტერესები უფლების დაცვის მხრივ. ასეთ სასამართლოს არსებობას ყოველ პირობებში აქვს მნიშვნელობა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ხალხის უფლება შეგნება დაბალ საფეხურზე სდგას.

ერთპიროვნულ სასამართლოს გარდა სახელმწიფო საჭიროებს ისეთ სასამართლოს, რომელსაც უნდა ჰქონდეს კოლლექტიური სახე. სასამართლოს კოლლექტიულობის შესახებ დიდი განმარტება არ არის საჭირო. თუმცა საქმის გარჩევა კოლლექტიურ სასამართლოში ცოტათი გვიანდება, მაგრამ მას ისეთი ღირსებები აქვს, რომლის წინაშე აღნიშნულ ნაკლოვანებას სრულიად ეკარგება მნიშვნელობა. უპირველეს ყოვლისა საქმეების კოლლექტიური გარჩევა უზრუნველყოფს კოლლექციის წევრთა შეხედულებების შეჯახებას, საქმის ყოველ მხრივ გარჩევას და შედარებით სამართლიან დადგენილების გამოტანას, ვიდრე ეს შესაძლებელია ერთპიროვნულ სასამართლოში. ნათქვამია, ერთი ჭკუა კარგია, მაგრამ ორი კი უკეთესიაო. ეს ანდაზა სრული სისწორით გამოხატავს კოლლექტიურ სასამართლოს უპირატესობას.

კოლლექტიურ სასამართლოს კომპეტენციას უნდა შეადგენდეს იმ საქმეთა გარჩევა და გადაწყვეტა, რომლებიც ერთპიროვნული სასამართლოს კომპეტენციას აღემატება. მაგრამ როგორც ერთპიროვნულ ისე კოლლექტიურ სასამართლოს კომპეტენცია ორგვარ საქმეებით განისაზღვრება. განსხვავება ამ

მხრივ მყარდება იმაზე, ეხება ეს თუ ის საქმე კერძო უფლებას თუ საჯაროს. ამ ორგვარ საქმეებით აიხსნება კოლლეგიალურ სასამართლოში ორი განყოფილების არსებობა სამოქალაქო და სისხლის სამართლისა. ამითვე განისაზღვრება თითოეული განყოფილების შემადგენლობა.


ჯერჯერობით ცხოვრება და მეცნიერება არ მისულა იმ საჭიროების აღიარებამდის, რომ სამოქალაქო საქმეების გარჩევაში, სადაც მოსამართლეთათვის საჭიროა სპეციალური ცოდნა და პრაქტიკა, იღებდნენ მონაწილეობას ხალხის წარმომადგენლები, სულ სხვა მდგომარეობაა მაშინ, როდესაც სასამართლო არჩევს სისხლის სამართლის საქმეებს, მაგრამ ყველას კი არა, არამედ რთულს და მძიმეს. ამ შემთხვევაში ხალხის წარმომადგენლების მხრივ სასამართლოში მონაწილეობის მიღების საჭიროება ცხოვრებამ დაამტკიცა. მაშასადამე, სისხლის სამართლის განყოფილება აღნიშნულ საქმეთა გასარჩევად და მათ შესახებ განჩინების გამოსატანად შესდგება პროფესიონალურ მსაჯულების და ხალხის წარმომადგენლებისაგან, ხოლო მათი კომპეტენცია ერთმანეთისაგან განირჩევა. ხალხის წარმომადგენლებს, ე. ი. ნაფიც მსაჯულებს საქმის არსებითად გარჩევის შემდეგ გამოაქვთ განჩინება ამა თუ იმ პირის დანაშაულობის შესახებ, პროფესიანულ მსაჯულებს კი — განჩინება სასჯელის შესახებ ამა თუ იმ პირის დამტკიცებულ დანაშაულობის გამო.

იმ საკითხზე შეჩერება, თუ რამდენად საჭიროა ამგვარი იუსტიციის არსებობა, ზედმეტია, ვინაიდან თითოეულ სახელმწიფოს სასამართლოს პრაქტიკა, სადაც კი ეს ინსტიტუტი შემოღებული არის, გვიმტკიცებს, რომ ნაფიც მსაჯულთა მოღვაწეობას დიდი სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსათვის სამართლიანობის პრინციპის დაცვის სფეროში საქმის ყოველ მხრივ გამორკვევით და განსჯით. აქ საჭიროდ ვსთვლით, აღვნიშნოთ, რომ საქმის გარჩევაში ხალხური ელემენტების მხრივ მონაწილეობის მიღებით კანონმდებელს ეძლევა საშუალება გაეცნოს საზოგადოების, ხალხის მოთხოვნილებას, შეხედულებას, ზნე-ჩვეულებას და უფლებრივ შეგნებას იმ მიზნით, რომ ამა თუ იმ კანონის შემუშავებაში იხელმძღვანელოს დამუშავებულ მასალით.

სახელმწიფოს ცხოვრების კანონათ უნდა ჩავთვალოთ ის, რომ თითოეულ სასამართლოს, გარდა ერთისა, რომელიც კასაციურ ინსტანციას შეადგენს, მოჰყვება მეორე ინსტანცია. ამგვარ ინსტანციის არსებობის საჭიროება იმით მტკიცდება, რომ შეცდომა ერთის გასწორებული იქნეს მეორეს მხრივ. მხოლოდ ასეთ წესით განმტკიცდება სასამართლოს სიძლიერე დ მისი დანიშნულების საგნებით აღსრულების შესაძლებლობა და მასთან ერთად დაცული იქნება ის, რომ თითოეულ მოქალაქის უფლება და სახელმწიფოებრივი ინტერესები უფრო უზრუნველყოფილი იქნებოდნენ ყოველგვარ შეცდომისაგან. ამას ის უნდა დაუმატოთ, რომ სასამართლოს საქმეების საღი წარმოება მოითხოვს ერთპიროვნულ სასამართლოსათვის მეორე ინსტანციას, შემდგარს იმ პირთაგან, რომლებიც არჩევენ საქმეს ერთპიროვნულად.

შეუძლებელია სახელმწიფოში დამყარებული იქნეს ისეთი წესი, რომ თითოეულ სასამართლოს ჰქონდეს მეორე ინსტანცია, რომელმაც უნდა გადასინჯოს მის წინ მდგომ ინსტანციის განაჩენი. თანამედროვე სახელმწიფოს პრაქტიკამ დაამტკიცა ორი ინსტანციის არსებობის საჭიროება, რომელიც სინჯავს საქმეებს ყოველ მხრივ. ცნობილი არის აგრეთვე ისიც, რომ ამასთანავე უნდა არსებობდეს ისეთი სასამართლო, რომლის კომპეტენციას შეადგენს გადასინჯვა მეორე ინსტანციის განჩინებისა იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად სისწორით არის ნა-

ხელმძღვანელები და განმარტებული მატერიალური ან ფორმალური კანონი საქმის გარჩევის დროს.



რაც შეეხება სასამართლოს პირველ და მეორე ინსტანციის რიცხვს, ეს სახელმწიფოს ტერიტორიის სივრცეზე და მცხოვრებთა რიცხვზე არის დამოკიდებული. პირველი ინსტანციის რიცხვი უნდა იქნეს დაკავშირებული სახელმწიფოს ადმინისტრაციულ დაყოფასთან ანუ სახელმწიფოს ნაწილების სხვადასხვაობასთან. ტერიტორიის სიმცირე კი უარყოფს ერთზე მეტ სააპელაციო ინსტანციის არსებობის აუცილებლობას, თუ კი ტერიტორიის თითოეული ნაწილი იმდენად არ არის ცენტრიდან გათიშული, რომ აძნელებდეს ხალხის ამ ინსტანციასთან დაახლოვებას.

ერთად ერთი უმაღლეს სასამართლოს არსებობა კანონების ერთსახოვან განმარტებას და მთლიან საკასაციო პრაქტიკის ინტერესებს, საკასაციო სასამართლო მით უფრო კარგად აღწევს თავის დანიშნულებას, რაც უფრო სისტემატიური და განზოგადებული (ინიშენный) ხასიათი აქვს კანონებს, რომელშიდაც უნდა იქნენ გამოხატული უმთავრესი თვისებები ნაციონალურ ცხოვრებასა და მისი შეთანხმებულება საზოგადოებრივ სინდისთან და ხალხის სულიერ განწყობილებასთან. საკასაციო სასამართლოს ისეთი დანიშნულება აქვს, რომელიც არსებითად იგივე ხასიათის არის, რაც ახასიათებს სასამართლოს, რომელიც უნდა სინჯავდეს ჩვეულებრივ კანონებს იმ მხრივ, თუ რამდენად ისინი ეთანხმებიან კონსტიტუციას. მასვე შეიძლება დაეკისროს აქედან გამომდინარე მოვალეობის ასრულება. ხოლო საჭიროდ მიგვაჩნია, რომ ამ სასამართლოს შემადგენლობა დამატებული იქნეს საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელით, რომელსაც შეუძლია გააშუქოს ამა თუ იმ კანონის გამოცემის აზრი და მოტივი და მით დაანახოს, თუ რა მიზანი ჰქონდა კანონმდებელს.

საქართველოს რესპუბლიკას ჯერჯერობით ისეთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, რომელსაც ჰქონდეს მიმართულება სასამართლოს საქმეების მოგვარებისაკენ დემოკრატიის ინტერესების მიხედვით. სასამართლოს მდგომარეობა აქ ისეთია, როგორიც იყო მაშინ, როდესაც ჩვენი მხარე რუსეთის ნაწილათ ითვლებოდა. არც მაშინ, არც ეხლა არ არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. არ არის საკასაციო სასამართლო, რომელსაც უნდა დაევალოს ჩვეულებრივ კანონმდებლობის კონტროლი. არც ერთი მხარე სახელმწიფო ცხოვრებისა არ საჭიროებს ისეთ განახლებაში და გადაკეთებაში, როგორსაც თხოულობს დემოკრატიის პრინციპზე აღმოცენებული მართლმსაჯულება და სასამართლოს წარმოება. ახლო მომავალი დაგვანახებს, აირჩევს თუ არა საქართველოს დემოკრატია იმ გზას, რომელიც შეესაბამება ხალხის ინტერესებს.

IX. დამოუკიდებელი საქართველო და მისი არსებობის პოლიტიკური პირობები

თეორიაში რაც უფრო ფართო სახელმწიფოს სააღმშენებლო გეგმას დავისახავთ, ეს მით უფრო მიმზიდავი არის, მაგრამ როდესაც მას დავუპირისპირებთ საზოგადოების ცხოვრების თანამედროვე პირობებს, ინტერესი ხალხის ბუნებრივი ვითარებისა და მისი პროგრესიული მსვლელობისა სულ სხვას გამოხატავს.

ვისთვის არ უნდა იყოს ნათელი ის, რომ დემოკრატიულ წესწყობილები-

სათვის მომზადებულ ხალხს უნდა ჰქონდეს სრული საშვალეობა ფართო მონაწილეობის მიღებისა სახელმწიფოს მოღვაწეობაში. თვით ხალხი არის სამდვილი ბურჯი საზოგადოების აწმყოს და მომავლისა. თუ კი ეს ასეა, ეჭვს გარეშე რჩება, ის, რომ სახელმწიფოში უნდა დამყარდეს ისეთი წესწყობილება, რომელიც გამომდინარეობს ხალხის სურვილისა და ნებისაგან. მაგრამ მთელი ხალხის ჰეშმარითი ნების შეტყობა ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მას არ ჰქონებია საშვალეობა მიელო პოლიტიკური აღზრდა და გამოცდილება.

ბევრს ჰგონია, რომ ხალხის სამდვილი ნება-სურვილი გამოიხატება მის წარმომადგენელთა არჩევნების დროს ხმის მიცემაში. მოწინავე სახელმწიფოების პოლიტიკური ცხოვრების ვითარება გვიმტკიცებს, რომ არჩევნებში მთელი ხალხი, პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი, არ იღებს მონაწილეობას. მიზეზი ამისი სხვა და სხვაა, მაგალითად, არ იღებს მონაწილეობას იმიტომ, რომ მასის შეუგნებლობა ქმნის მის გულციგობას პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობისადმი. იმის მიზეზი ისიც არის, რომ ხალხის დიდ ნაწილს, რომელიც საშინელი შრომის უღელში არის გაბმული, არ რჩება საკმაო დრო პოლიტიკურ ცხოვრებას ფხიზელად ადევნოს თვალ-ყური და მიიღოს სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში მხურვალე — აქტიური მონაწილეობა. დიდი კულტურული შრომა არის საჭირო, რომ მის შეგნებას მიეცეს სიმტკიცე-სიმახვილე. აუცილებელი არის სოციალური რეფორმები იმისათვის, რომ მშრომელ ხალხს მიეცეს დრო და საშვალეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში ფართო მონაწილეობის მიღებისა, რომ მისი დამოკიდებულება მდიდრებისაგან შემციარდეს. მხოლოდ ამ პირობებში შესაძლო ხდება ხალხის ჰეშმარითი ნების სრული გამომჟღავნება და შესაფერი გავლენა სახელმწიფოს საქმეების მსვლელობაზე და ვითარებაზე.

შემცდარი არის ის აზრი, თითქოს პოლიტიკურ რევოლუციას შეეძლოს ხალხის შეხედულობის და შეგნების იმდენად შეცვლა, რომ გუშინდელმა ბავშვმა პოლიტიკაში შეგნებულის ალაგი დაიჭიროს. რევოლუციას დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მხრივ, რომ დიდად აფხიზლებს ხალხს, უღვიძებს და უწვითარებს მას თვითმოქმედების სურვილს და უნარს და უკაფავს გზას ახალ მომავლისაკენ. ხალხის შეგნებისა და ზნე-ჩვეულობის სიმტკიცეზე არის დამოკიდებული ის, თუ როგორი თვალთაზრისით შეხედავს იგი სახელმწიფოს დანიშნულებას, თუ კი აქ გაიმარჯვა კერძო ინტერესებმა საზოგადოზე, მოღვაწეობა საერთო ბედნიერების მიხედვით დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას და ხალხიც დიდად არ დაცილდება ძველ გზას.

ზემო მოყვანილი მოსაზრებების სინათლით თუ ვიხელმძღვანელებთ საქართველოს სინამდვილის გაშუქებისათვის, მის ცხოვრებაში ისეთს რამეს აღმოვაჩნეთ, რომ ის პირველ შეხედვით ანომალური გვეჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ეკონომიური ვითარება დაბალ საფეხურზე სდგას და ამ ვითარებას არ გამოუწვევია, და არც შეიძლებოდა გამოეწვია, ის შედეგები, რომლებსაც იწვევს კაპიტალიზმის ვითარება, პოლიტიკური ცხოვრება იმ გზით მიდის, რაც ახასიათებს ეკონომიურად და პოლიტიკურად მომწიფებულ სახელმწიფოებს. აქ, რა თქმა უნდა, მნიშვნელობა აქვს ხალხის ღრმა შეგნებას და პოლიტიკურ სიფხიზლეს, რომლის გამოწვევისათვის და გაღრმავებისათვის უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულ პარტიამ დასდო ხალხის კეთილდღეობის ტაძარზე თავისი ძალღონე და ენერგია. ამ პარტიის დაუღალავ, გმირულ მუშაობით და ხალხის ბუნებრივ ნიჭით აიხსნება ის, რომ ჩვენ ქვეყანას გადმოაქვს უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან ისეთი ნერგები სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებისა, რომლებიც მხოლოდ ხარობენ ხალხის მაღალ უფლებრივ შეგნების და თავისუფალ თვითგამორკვევის პირობებში.



საქართველომ 26 მაისს გადადგა მისთვის აუცილებელი ნაბიჯი სახელმწიფოებრივი თავისუფლების და დამოუკიდებლობის გამოცხადებით. ამით ის ჩააღივალა სოციალურ ერთეულის მდგომარეობაში, რომელსაც აქვს სახელმწიფოს ხასიათი. მას აქვს ყველა ის ელემენტები, რომელნიც შეერთებულად სოციალურ ერთეულის სახელმწიფოებს ახასიათებენ, ე. ი. საკუთარი (ისტორიული) ტერიტორია, საკუთარი მოსახლეობა, რომლის დიდ უმრავლესობას ქართველობა შეადგენს, და პირვანდელი ხასიათის იძულებითი ძალა.

დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს გამარჯვების ნიშანი არის. ეს გამარჯვება არის ბარბაროსობისაგან განთავისუფლება, თვითმპყრობელ რუხუთზე გამარჯვება. ისტორიული უსამართლობა ჩააღივალა საკუთარ კალაპოტში. რუსეთს წაერთვა ის, რაც მან ავაზაკურად ჩაიგდო ხელში. საქართველო განთავისუფლდა რუსეთის დამონებისაგან და მით გაიმარჯვა. ეს ისეთი გამარჯვება არის, რომელიც ადასტურებს იმის აუცილებლობას, რომ მისი, ქართველ ხალხის ისტორიული საღამი „გამარჯვება“ დარჩეს მას როგორც საუკეთესო ნიშანი ეროვნულ არსებობისათვის პოლიტიკურ ბრძოლაში დამსახურებულ გამარჯვებისა.

დემოკრატიულ პრინციპების გამარჯვებამ მე-20 საუკუნის ბარბაროსობაზე მისცა ქართველ ხალხს სიმხნევე იმისათვის, რომ ჩაეყენებინა თავისი დამოუკიდებელი ცხოვრება მისთვის ხელსაყრელ და სასარგებლო პირობებში.

დემოკრატიულ საქართველომ განახორციელა პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი პრინციპები სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა, რომელთაც ადგილი აქვთ პოლიტიკურად ფრიად განვითარებულ ქვეყნებში. საქართველომ შემოიღო სოლიდარულ პასუხისმგებლობაზე აშენებული მართვა-გამგეობა. ამით, მას არ დაუმთვრებია თავისი პოლიტიკური საქმიანობა და ვითარება სახელმწიფოს საადმინისტრაციო პრაქტიკაში. მისთვის საჭიროა რევოლუციით მონაპოვარის ცხოვრებაში დამკვიდრება კონსტიტუციის შემუშავებით და მასში იმ დებულებების შეტანით, რომელთა დანიშნულებას შეადგენს ის, რომ კონსტიტუციით იქნენ განმტკიცებული მოქალაქეთა სუბიექტური უფლებების დაცვის საშუალებები.


ქართველი ხალხის პოლიტიკური სიმწიფე და უნარი ადვილად იმის შეთვინებისა, რაც მის ცხოვრებას არც ერთ მხრივ აქამდე არ მიჰქარებია, წარმოადგენს სრულ გარანტიას იმისას, რომ ყველა ეს დაკანონდება და დამკვიდრდება. სრული იმედია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში შემოღებულ იქნებიან ისეთი სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რომლებიც ხალხის ხელმწიფების იარაღად უნდა ჩაითვალოს. ამ ინსტიტუტთა რიგში თვალსაჩინო ალავი უჭირავს სასამართლოს კონტროლს ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს უფლებაშემოქმედების შესახებ იმ მხრივ, თუ რამდენად ის ეთანხმება კონსტიტუციას. თუმცა არ არის ობიექტური პირობები, რომ შესაძლო იქნეს რეფერენდუმის და სახალხო ინიციატივის შემოღება, მაგრამ დემოკრატიულ წარმომადგენლობის სისტემაზე აღმოცენებული და აყვავებული პოლიტიკური ვითარება ქართველ ხალხისა აუცილებლად წარმოშობს ისეთ პირობებს, რომელთა საშუალებით შესაძლო იქნება მათი ცხოვრებაში გატარება და დამკვიდრება. ამას ხელს შეუწყობენ ფართო უფლებებით აღჭურვილი ადგილობრივი თვითმართველობები, რომელთაც შეუძლიათ განავითარონ და გააღრმავონ ხალხის თვითმომქმედება და შეგნება.

საქართველო შეუდგა სოციალურ რეფორმების განხორციელებას, რომლებიც მშრომელ ხალხს მისცემენ საშუალებას თვალყური ადევნოს სახელმწიფო-

ებრივი საქმეების მსვლელობას და მიიღოს სახელმწიფო მოღვაწეობაში მხურვალე მონაწილეობა. მიუხედავად მისი პოლიტიკური მომზადებისა ქართველ ხალხს სჭირდება დიდი სიფხიზლე და ნებისყოფა, რომ გაინთავისუფლოს თავი ყველა ამისგან, რაც შეიძლება მის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული იყოს.

დამოუკიდებლობის გამოცხადებამ გამოიწვია მეზობლების და საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე ერების მტრული განწყობილება ახალ სახელმწიფოსადმი იმიტომ, რომ რაც საქართველოსათვის გაადვილდა, ის მათთვის თითქმის შეუძლებელი გახდა. ქართველი ხალხისათვის საჭიროა ის, რომ მტრის გამოსვლას დროზე და ღირსეულად შეხვდეს და ბრძოლის შესაფერი უნარი გამოიჩინოს. მისმა სიფხიზლემ და საქმიანობამ საზოგადოდ უნდა გაიდგას ფესვები პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების კანონიერ კალაპოტში ჩაყენების სფეროში. მაგრამ სახელმწიფოების გამტკიცების გარდა საჭიროა ერთი პირობა, ურომლისოდ შინაგან საქმეების მოგვარებას არ ექნება სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობისათვის რეალური შედეგები და ეს იმიტომ, რომ სახელმწიფოს არსებობა არ შეიძლება იყოს განკერძოებული. საქართველო უნდა შევიდეს როგორც თანასწორუფლებიანი წევრი არსებულ სახელმწიფოთა ოჯახში. ეს კი შესაძლოა მაშინ, თუ რომ ის ცნობილი იქნა საერთაშორისო ოჯახის მიერ. ჩვენი დამოუკიდებლობა უკვე ცნობილია რამოდენიმე სახელმწიფოს მხრივ. მაგრამ მის სუვერენულ არსებობისათვის საჭიროა, რომ ის ცნობილი იქნეს მოკავშირეთა მხრივ, იმ სახელმწიფოების მიერ, რომლებსაც როგორც გამარჯვებულთ, ესლანდელ პოლიტიკურ პირობებში თითქმის გადამწყვეტი ხმა აქვთ, ვინაიდან ისინი ძლიერ დაინტერესებულნი არიან იმაში, თუ რა კალაპოტში ჩადგება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობა, თუ რა მიმართულებას მიიღებს ეს ურთიერთობა, მათთვის სრულიად არ არის საკმარისი გერმანიის დამარცხება. საჭიროა თავიანთი ქონებრივი ინტერესების დაკმაყოფილება და პოლიტიკური ძლიერების უზრუნველყოფა.

სრულ გარანტიას იმისას, რომ საქართველო დაიკავებს ალაგს საერთაშორისო ოჯახში, წარმოადგენს ის, რომ ის სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის მომზადებული არის, აგრეთვე ისიც, რომ ყველა დიდ სახელმწიფოების მიერ ცნობილი არის ერთათვის თვითგამორკვევის უფლება. გარდა ამისა ქართველ ხალხს აქვს სრული ისტორიული უფლება დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე.



საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.
2. გაუქმდეს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებში, უწყებებში, დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში არსებული საუწყებო არბიტრაჟები.
3. განისაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარით, მისი პირველი მოადგილით, რი მოადგილითა და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ოცდახუთი წევრით.
4. შეიქმნას ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოები.
5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ: საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოების დაფინანსების საქით-გადაწყვიტოს ერთი თვის ვადაში; უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოსათვის იმ მატარებელი ერთეულითა გადაცემა, რომლებიც გამოთავისუფლდებიან სამინისტროებში, უწყებებში, დეპარტამენტებსა და ორგანიზაციებში საუწყებო არბიტრაჟების გაუქმების შედეგად; შეუსაბამოს „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მოქმედი დადგენილებები და განკარგულებები.
6. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოებს შეუსაბამონ ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბებეკი ანატოიანი.

თბილისი. 1991 წლის 29 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ

1. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის შესაბამისად საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს სამართალგამოყენებით საქმიანობას, განიხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას თავისი შემოსილების ფარგლებში.

მუხლი 2. საარბიტრაჟო სასამართლოს ამოცანები საარბიტრაჟო სასამართლოს ძირითადი ამოცანებია: ეკონომიკური ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების

დაცვა, მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად;

ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში დავის გამომწვევი მიზეზების დადგენა და მათი თავიდან აცილება;

საარბიტრაჟო სასამართლომდე დავის მოგვარების წესის დაცვის უზრუნველყოფა;
საარბიტრაჟო სასამართლო თავისი საქმიანობით ხელს უწყობდეს ეკონომიკურ ურთიერთობაში კანონიერების დაცვას, საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებას.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ

საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს საქართველოს რესპუბლიკაში განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, ეს კანონი, საქართველოს საარბიტრაჟო სასამართლო წარმოების კოდექსი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საქონმდებლობა აქტები.

საარბიტრაჟო სასამართლო საქმიანობა და მისი უფლებამოსილება განისაზღვრება აგრეთვე იმ სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, რომლებშიც ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა.

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლია გამოიყენოს როგორც სსრ კავშირის, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც, თუ ის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება.

საარბიტრაჟო სასამართლოები თავიანთ საქმიანობაში უზრუნველყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის და საქართველოს რესპუბლიკის კანონების უზენაესობას.

მუხლი 4. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის პრინციპები

საარბიტრაჟო სასამართლო საქმიანობის ძირითადი პრინციპებია:

საარბიტრაჟო სასამართლოში საქმის განხილვა კანონის შესაბამისად. არბიტრირება;

საარბიტრაჟო სასამართლოში საქმეების საჩაროდ განხილვა, კანონით დადგენილი გამონაკლისების გარდა;

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა დამოუკიდებლობა და მათი მხოლოდ კანონისადმი დამორჩილება;

დავის განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას მხარეთა წარმომადგენლების მონაწილეობა;

ეკონომიკური ურთიერთობის მონაწილე სუბიექტთა თანასწორობა კანონისა და საარბიტრაჟო სასამართლოს წინაშე, მიუხედავად საკუთრების ფორმისა;

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საარბიტრაჟო სასამართლო წარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე;

საარბიტრაჟო სასამართლოში ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვაში სახელმწიფო და სხვა ორგანოს ან თანამდებობის პირთა ჩარევა დაუშვებელია.

მუხლი 5. საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილების გადახილვა შედამხედველობის წესით.

საარბიტრაჟო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე შეიძლება გადაისინჯოს შედამხედველობის წესით დავის მონაწილე ერთ-ერთი მხარის განცხადების საფუძველზე, პროკურორის პროტესტით ან საარბიტრაჟო სასამართლოს ინიციატივით.

II. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა

მუხლი 6. საარბიტრაჟო სასამართლოს სისტემა
საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედებს საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოთა ერთიანი სისტემა:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო;


აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო;

ქ. თბილისის საარბიტრაჟო სასამართლო;

ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საჭიროებისამებრ ქმნის სხვა საარბიტრაჟო სასამართლოებს.



მუხლი 7. საარბიტრაჟო სასამართლოს ხელმძღვანელობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო უმაღლესი საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოა. იგი ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის ყველა საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობას კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო სისტემატურად ამოწმებს ქვემოთ ხარისხის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობას და ისმენს მათ ანგარიშს; სწავლობს, აწარმოებს და ავრცელებს საარბიტრაჟო სასამართლოების გამოცდილებას,

საარბიტრაჟო სასამართლოები მათი უფლებამოსილების ვადაში პერიოდულად წარუდგენენ ანგარიშს თავიანთი საქმიანობის შესახებ ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს.

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო შედგება თავმჯდომარის, ორი პირველი მოადგილის, ორი მოადგილის, საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებისაგან და საქმეებს შემდეგი შემადგენლობით:

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი;
ეკონომიკური დავის განხილვის კოლეგია;
საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) კანონიერებაზე ზედამხედველობის კოლეგია.

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 9. საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების არჩევის (დანიშნვის) წესი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს ირჩევს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს ირჩევენ შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარედ და მის მოადგილეებად შეიძლება არჩეულ (დანიშნულ) იქნენ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეები, რომლებსაც შეუსრულდათ შესაბამისად 35 და 40 წელი, იციან ქართული ენა, აქვთ უმაღლესი იურიდიული განათლება და, როგორც წესი, სპეციალობით მუშაობის 8 წლის სტაჟი.

მუხლი 10. საქონლმდებლო ინიციატივის უფლება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო სარგებლობს საქონლმდებლო ინიციატივის უფლებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში.

მუხლი 11. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე უფლებამოსილია:
შევიდეს პროტესტით საარბიტრაჟო სასამართლო საქმეზე გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

შეაჩეროს საარბიტრაჟო სასამართლო საქმეზე დადგენილების აღსრულება;
მოიწვიოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი და შეიტანოს საკითხები განსახილველად, თავმჯდომარეობდეს პრეზიდიუმის სხდომებს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა სხდომებს;

უხელმძღვანელოს საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკის შესწავლა-განვითარებას, საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის ანალიზს;

გაუზიაროს წარდგინებები სხელმწიფო ორგანოებს. საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და

თანამდებობის პირებს კანონის დარღვევის, სასამართლო დარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი და გამომწვევი მიზეზებისა და პირობების თავიდან აცილების შესახებ;

ანგარიში წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის შესახებ;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში შეიტანოს წარდგინებები იმ საკითხებზე, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონის განმარტებას მოითხოვვენ;

განაწილოს მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეებს შორის;

უხელმძღვანელოს საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიათა მუშაობის ორგანიზაციას და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მუშაობას;

განხორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

5) მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეების უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეები უფლებამოსილი არიან:

თავმჯდომარეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა ხსლომებს;

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში პროტესტით შევიდნენ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეებზე გამოტანილი დადგენილებების (გადაწყვეტილებების, განჩინებების) გაუქმების ან შეცვლის შესახებ;

კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით შეაჩერონ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეებზე დადგენილებების აღსრულება;

მოვალეობათა განაწილების შესაბამისად უხელმძღვანელონ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიათა და აპარტის სტრუქტურული ქვედანაყოფების მუშაობას;

განხორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის უფლებამოსილებას ახორციელებს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ხოლო პირველი მოადგილის არყოფნის შემთხვევაში — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

6) მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი იქმნება საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეების, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეების და უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრების შემადგენლობით.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობას ატყციებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.


საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის მოწვევით პრეზიდიუმის სხდომებში მონაწილეობა შეუძლიათ მიიღონ: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების წარმომადგენლებმა, სამართალდაცვის ორგანოების ხელმძღვანელებმა, სამინისტროების, დეპარტამენტების, უწყებების სამეცნიერო დაწესებულებებისა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება პრეზიდიუმის წევრთა ორი მესამედი.

პრეზიდიუმი დადგენილებას იღებს ღია კენჭისყრით, კენჭისყრაში მონაწილე პრეზიდიუმის წევრთა ხმების უმრავლესობით და მას ხელს აწერს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

7) მუხლი 14. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი უფლებამოსილია:



განიხილოს საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკისა და საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის შესწავლის შედეგები და განზოგადების მასალები;

თავის უფლებამოსილების ფარგლებში მისცეს საარბიტრაჟო სასამართლოებს სახელმწიფო ექსპერტები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის გამოყენების საკონტროლო; მოისმინოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების, ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოების თავმჯდომარეთა წარმომადგენლები;

აირჩიოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებიდან საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიითა შემადგენლობები და პრეზიდიუმის მდივანი, დაამტკიცოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო;

მოისმინოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიითა თავმჯდომარეების ანგარიშები მათი საქმიანობის თაობაზე;

თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილოს საქმეები ზედამხედველობის წესით; განახორციელოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება; მუშაში 15. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიითა უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილვენ საქმეებს პირველი ინსტანციით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

კოლეგიები შეისწავლიან და განზოგადებენ საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკას, აწვდიან რეკომენდაციებს საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკას და ახორციელებენ კანონმდებლობით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუშაში 16. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიების თავმჯდომარეთა უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიითა თავმჯდომარეები უფლებამოსილი არიან:

შექმანან საარბიტრაჟო სასამართლო კოლეგიების შემადგენლობები საქმეთა განსახილველად; უხელმძღვანელონ შესაბამის კოლეგიითა მუშაობას;

თავმჯდომარეობა გაუწიონ საარბიტრაჟო სასამართლო სხდომებს იმ კოლეგიებში, რომლებსაც ზელმძღვანელობენ;

წარუდგინონ ანგარიშები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმს თავიანთი საქმიანობის შესახებ;

გამოითხოვონ საარბიტრაჟო სასამართლო საქმეები შესწავლა-განზოგადებისათვის; ორგანიზაცია გაუწიონ კოლეგიებში შემავალ საარბიტრაჟო სასამართლოს წევრთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

განხორციელონ კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუშაში 17. საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი []

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი კანონით დადგენილი წესით იხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას, ამოწმებს საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებათა შესრულებას, საქმეზე დადგენილების მიღებისას უზრუნველყოფს მხარეთა დარღვეული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების აღდგენას, თავის საქმიანობას წარმართავს ეკონომიკის სფეროში კანონიერების დარღვევითა თავიდან ასაცილებლად, დავის განხილვისას შეისწავლის და განზოგადებს კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას, მონაწილეობს კანონმდებლობის სრულყოფისათვის შემოსულ წინადადებათა განხილვაში და ეწევა სამართლებრივ პროპაგანდას.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრს უფლებამოსილება შეიძლება ვადაძვდ ჩამოართვას მხოლოდ მისმა ამრჩევმა (დამნიშნავმა) ორგანომ კანონის უხეში დარღვევის ან სახელის გამტეხი საქციელის ჩადენისათვის, რომელიც შეუთავსებელია მის მაღალ წოდებასთან, აგრეთვე მის მიმართ ძალაში შესული სასამართლოს კანონიერი გამამტყუნებელი განაჩენის გამო.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრი შეიძლება მიეცეს დისციპლინურ პასუხისმგებლობაში. დისციპლინურ პასუხისმგებლობაში მიეცემის წესს განსაზღვრავს დებულება საარბიტრაჟო სასამართლოს წევრის დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ირჩევს სა-

ქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების წევრებს ირჩევს შესაბამისად აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრებს ნაშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით.

ყველა საარბიტრაჟო სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადა ხუთი წელი.

საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს (დაინიშნოს) საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა მწიფების ანუ ქართული ენა, აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალური მუშაობის, როგორც წესი, მწიფის სტაჟი.

საარბიტრაჟო სასამართლოს წევრს უფლება აქვს:

მოსთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და თანამდებობის პირებს ინფორმაციის, ცნობების, საბუთების და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაწყვეტად;

შეიტანოს საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში მათი საკუთრების ფორმების მიუხედავად წარდგინებანი კანონის დარღვევების ფაქტებზე და მათი გამომწვევი და ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრის შესახებ.

სახელმწიფო ორგანოები, კოოპერატივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, თანამდებობის პირები ვალდებული არიან შეასრულონ საარბიტრაჟო სასამართლოს ის მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია საქმის განხილვასა და საარბიტრაჟო სასამართლოს დადგენილებათა აღსრულებასთან.

III. ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვა

მუხლი I8. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება ეკონომიკური დავის განხილვისას

საარბიტრაჟო სასამართლო იხილავს ეკონომიკური ხასიათის დავას საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებიც არიან იურიდიული პირები. მათი უწყებრივი დაქვემდებარების, საკუთრების ფორმის და სადაო თანხის ოდენობის მიუხედავად. მათ შორის: ხელშეკრულებების დადების, შეცვლის, შესრულების, მოშლის ან სხვა საფუძველზე წამოჭრილ დავას;

ქონებრივი ხასიათის დავას;

დავას, სახელმწიფო და სხვა ორგანოების და თანამდებობების პირების მიერ მიღებული აქტების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც ლაზვერ ადგილობრივი მმართველობის, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონებრივ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საარბიტრაჟო სასამართლო კანონიერების დარღვევის გამოცდენისას უფლებამოსილია აღძრას საქმე თავისი ინიციატივით.

მუხლი I9. ეკონომიკური ხასიათის დავის განხილვის წესი

საარბიტრაჟო სასამართლო ეკონომიკურ დავას განხილავს საარბიტრაჟო სასამართლოს ერთ ან სამი წევრის შემადგენლობით და მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად. კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში დაშვებულია საქმის განხილვა მოდავე მხარეების დაუსწრებლად.

მუხლი 20. საარბიტრაჟო სასამართლო დაცვისათვის მიმართვის უფლება.

ყოველ დანებრეხებულ იურიდიულ პირს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით მიმართოს საარბიტრაჟო სასამართლოს დარღვეული ან სადაო ქონებრივი უფლებების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად.


საარბიტრაჟო სასამართლო საქმის განხილვას:

ან საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების განცხადებით, რომელიც მიმართავს თავისი უფლებების ან კანონიერი ინტერესების დასაცავად;

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების განცხადებით;

პროკურორის განცხადებით.

IV. საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა კანონიერების დარღვევის პროფილაქტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის სფეროში



მუხლი 21. საარბიტრაჟო სასამართლოს უფლებამოსილება კანონიერების დარღვევის დან აცილების სფეროში

საარბიტრაჟო სასამართლო ახორციელებს საქმიანობას ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონიერების დარღვევის თავიდან აცილებისათვის.

ამ მხრივ საარბიტრაჟო სასამართლო უფლებამოსილია:

გაანალიზოს არსებული მასალები ეკონომიკურ ურთიერთობებში კანონიერების დარღვევის გამომწვევი მიზეზების შესახებ, შეიმუშაოს წინადადებები მათი აღმოფხვრისა და თავიდან აცილების მიზნით;

განიხილოს გამსვლელ ხსენებულ ეკონომიკური ხასიათის დავა, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს;

აწარმოოს კანონმდებლობის პროპაგანდა.

მიმართოს წარდგინებით შესაბამის ორგანოებს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და კანონიერების განმტკიცების მიზნით. თანამდებობის პირები ვალდებული არიან წარდგინების მიღებიდან არა უგვიანეს ერთი თვის ვადაში აცნობონ პასუხი შესაბამის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ გატარებული ღონისძიების შესახებ.

მუხლი 22. წინადადებების შეიმუშავება კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით

საარბიტრაჟო სასამართლო ორგანოები კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის განვლილი საფუძველზე შეიმუშავებენ და დადგენილი წესით წარადგენენ წინადადებებს ეკონომიკური ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირებისა და საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობის სრულყოფისათვის.

V. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების საქმიანობის ორგანიზაციის სხვა საკითხები

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო

საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის საკითხებზე მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შესამუშავებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოსთან იქმნება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭო მეცნიერთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შემადგენლობით.

სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს პრეზიდიუმი. სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი, განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურა და შტატები


საარბიტრაჟო სასამართლო პრაქტიკის შესწავლის, განვითარებისა და საარბიტრაჟო სასამართლო სტატისტიკის ანალიზის, კანონმდებლობის სისტემატიზაციისა და პროპაგანდისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ფუნქციითა შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის შემადგენლობაში იქმნება განყოფილებები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს აპარატის სტრუქტურასა და შტატების რაოდენობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს საშტატო განრიგს, განყოფილებათა და სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფთა დებულებებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარე.

მუხლი 25. საერთაშორისო კავშირები

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო დადგენილი წესით ამყარებს საერთაშორისო კავშირებს იმ ორგანოებთან, რომლებიც იხილავენ ეკონომიკური ხასიათის დავას.



მუხლი 26. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო გამოსცემს „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს უწყებებს“.

მუხლი 27. საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოების ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საარბიტრაჟო სასამართლოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლოებს, ქ. თბილისის და ქ. ქუთაისის საარბიტრაჟო სასამართლოებს აქვთ ბეჭედი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელწოდებით.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 23 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების და მთავრობის განკარგავსა და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებების შეტანის შესახებ

მოსახლეობის სამართლებრივი მომხსნურების გაუმჯობესების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციისას კანონიერების უზენაესი და განუხრელი დაცვის, მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის შივნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღმშენებ.

1. დაიქვემდებაროს მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი განყოფილებები, ქორწინების სახსლები და მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი არქივები საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროებს და შეესაბამებოდნენ საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილებები და მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის არქივები.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ამ კანონის საფუძველზე განხორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

3. საქართველოს სსრ 1970 წლის 18 ივნისის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1970 წ. № 6, მუს. 98):

ა) კოდექსის დასახელება და ტექსტი სიტყვები „საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო კოდექსი“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსი“;

ბ) კოდექსის ტექსტში სიტყვები „სახალხო დემუტატო რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი სახელმწიფო ორგანოები (მშახი)“ „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოები“ შეესაბამებოდნენ.

მისად შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილებები“, „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოები“. „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები“;

გ) მე-18 მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მიერ“, შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონული (საქალაქო), ქალაქის რაიონული განყოფილების გამგის მიერ“;

დ) 181-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 181. მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები“

მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერა ხდება საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროების მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის რაიონულ (საქალაქო), ქალაქის რაიონულ განყოფილებებში, ხოლო სოფლებსა და დაბებში — სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში“;

ე) 182-ე მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაბადების, დაქორწინების, მამობის დადგენისა და გარდაცვალების რეგისტრაციის სოფლებსა და დაბებში ახდენენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.“

4. საქართველოს სსრ 1964 წლის 28 დეკემბრის კანონით დაშტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 88, მუხ. 182, 256-ე მუხლის მეორე ნაწილის მე-4 და მე-8 პუნქტებში, 280-ე, 285-ე, 286-ე მუხლების მეორე ნაწილებში, 284-ე და 285-ე მუხლებში სიტყვები „მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩაწერი ორგანოები“ შეიცვალოს სიტყვებით „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის ორგანოები“.

ბ. ეს კანონი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია.

თბილისი, 1991 წლის 27 აპრილი.

მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთა ქცევის კოდექსი

1979 წლის 17 დეკემბერი*

მუხლი 1. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი მუდმივად ასრულებენ კანონით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, ემსახურებიან საზოგადოებას და ყველა პირს იცავენ უკანონო ქმედებისაგან მათი პროფესიისათვის საპირო პასუხისმგებლობის მალალი დონით.

კომენტარი**

a) ტერმინი „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი“ მოიცავს ყველა არჩეულ ან დანიშნულ თანამდებობის პირს, რომელიც დაკავშირებულია პოლიტიკური უფლებების, განსაკუთრებით კი მართლწესრიგის დამრღვევის დაკავების უფლების გამოყენებასთან;

b) იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკურ უფლებებს ასრულებენ სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლები ფორმის ან სამოქალაქო ტანსაცმელში ან სახელმწიფო უშიშროების ძალები, ტერმინი „მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი“ მოიცავს ამგვარი სამსახურების თანამშრომლებსაც;

c) მხედველობაშია მისაღები, რომ საზოგადოებისადმი სამსახური მოიცავს საზოგადოების იმ წევრებისათვის სამსახურის და დახმარების გაწევას, რომელნიც პირადი, ეკონომიური, სოციალური ან სხვა განსაკუთრებული ხასიათის მიზეზებით საპიროებენ დაუყოვნებლივ დახმარებას;

d) გასათვალისწინებელია, რომ ეს დებულება მოიცავს არა მხოლოდ ყველა ძალადობის, ძარცვის ან მკვლელობის აქტს, არამედ ვრცელდება სისხლის სამართლის კანონებით დადგენილ ყველა აკრძალვაზე. იგი ვრცელდება აგრეთვე იმ პირთა ქმედებაზეც, რომელთაც არ შეუძლიათ იკისრონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა.

მუხლი 2. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირი თავიანთი მოვალეობის აღსრულებისას პატივს სცემენ და იცავენ ადამიანურ ღირსებას, ადამიანის უფლებებს ყველა პირის მიმართ.

* მიიღო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ოცდამეთოთხმეტე სესიამ; ერთვის 1979 წლის 17 დეკემბრის 34/163 რეზოლუციის.

** მოცემული კომენტარი შეიცავს ინფორმაციას, რომელიც გააადვილებს კოდექსის გამოყენებას ეროვნული კანონმდებლობის და პრაქტიკის ფარგლებში, ამას გარდა, ეროვნულ ან რეგიონალურ კომენტარებში შეიძლება გამოვლინდეს სხვადასხვა სახელმწიფო ან რეგიონალური მთავრობათაშორის ორგანიზაციების სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც ხელს უწყობს ამ კოდექსის გამოყენებას.



a) მითითებული ადამიანის უფლებები დადგენილი და დაცულია ერთნაირი და საერთაშორისო სამართლით. შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებს მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ, დეკლარაცია ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელისაგან დაცვის შესახებ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ, საერთაშორისო კონვენცია აპარტეიდის დანაშაულობათა აღკვეთის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ, კონვენცია გენოციდის დანაშაულობათა აღკვეთის და დამნაშავეთა დასჯის შესახებ, დაპატიმრებულებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესები, ვენის კონვენცია საკონსულო შეთანხმებების შესახებ;

b) ამ დებულების შესახებ ადგილობრივ კომენტარებში მითითებული უნდა იყოს რეგიონალური ან ეროვნული დებულებანი, რომლებიც აყალიბებენ და იცავენ ამ უფლებებს.

მუხლი 3. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირთ ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ამას მოითხოვს მათზე დაკისრებული მოვალეობის აღსრულება.

კომენტარი

a) მოცემულ დებულებაში ხაზგასმულია, რომ მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირის მიერ ძალის გამოყენებას უნდა ჰქონდეს მხოლოდ გამოწვევის ხასიათი. თუმცა იგულისხმება, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ უფლებამოსილება ძალა გამოიყენონ, რაც მიზანშეწონილია შესაბამის პირობებში დანაშაულის აღკვეთის ან სამართალდამრღვევების ან დანაშაულში ეჭვმიტანილთა სამართლიანი დაკავების დროს ან ამგვარი დაკავებისას დაზარალების აღმოჩენის დროს; მაგრამ ასეთ შემთხვევებში ძალის გამოყენება არ უნდა გადასცდეს აუცილებელ ფარგლებს;

b) ეროვნული კანონმდებლობა, როგორც წესი, ზღუდავს მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ ძალის გამოყენებას პროპორციულობის პრინციპის შესაბამისად. ამ დებულების განმარტების დროსაც პატივი უნდა ეცეს პროპორციულობის ეროვნულ პრინციპს. ეს დებულება არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნეს გაგებული ისე, თითქოს იგი ნებას რთავს ისეთი ძალის გამოყენებას, რომელიც არ შეესაბამება კანონიერად მისაღწევ მიზანს;

c) ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება უკიდურეს საშუალებად ითვლება, ყველა ღონე უნდა მოხმარდეს ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების აღკვეთას, განსაკუთრებით — ბავშვების წინააღმდეგ. როგორც წესი, ცეცხლსასროლი იარაღი არ უნდა გამოიყენებოდეს გარდა შემთხვევებისა, როცა ეჭვმიტანილი პირი გასწევს შეიარაღებულ წინააღმდეგობას ან საფრთხეში აგდებს სხვათა სიცოცხლეს და როდესაც ნაკლებად განსაკუთრებული ხასიათის ღონისძიებანი არ არის საკმარისი ეჭვმიტანილის ალაგმვის ან დაკავე-

ბისათვის. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ყოველი შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კომპეტენტურ ხელისუფლებას.

მუხლი 4. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირების მიერ მიღებული კონფიდენციალური ხასიათის ინფორმაცია საიდუმლოდ ინახება, თუ სხვას არ ითხოვს მოვალეობის აღსრულება ან მართლმსაჯულების ინტერესები.

კომენტარი

თავისი მოვალეობის გამო მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირები ზშირად იღებენ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს სხვა პირთა პირად ცხოვრებას ან პოტენციურად ვნებდეს მათ ინტერესებს, განსაკუთრებით — რეპუტაციას, საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა ამგვარი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის და გამოყენების დროს, რომელიც გახმაურდება მხოლოდ მოვალეობის აღსრულებისას ან მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა მიზნებით ინფორმაციის გახმაურება სავსებით უკანონოა.

მუხლი 5. მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის არც ერთ პირს არ შეუძლია განახორციელოს, წააქეზოს ან მოთმინებით შეხვდეს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც წარმოადგენს წამებას ან სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას და დასჯას; არც ერთი ამგვარი პირი არ უნდა დაეყრდნოს ზემდგომი პირების განკარგულებებს, ან ისეთი განსაკუთრებული შემთხვევების არსებობას, როგორცაა ომის მდგომარეობა ან მისი საშიშროება, საფრთხე ეროვნული უშიშროებისათვის, შინაური პოლიტიკური არასტაბილურობა ან ნებისმიერი სახის სხვა განსაკუთრებული მდგომარეობა წამების და სხვა არაადამიანური, სასტიკი და ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელის განსაზღვრისათვის.


კომენტარი

a) ეს აკრძალვა გამომდინარეობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებული დეკლარაციიდან ყველა პირის წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის და სასჯელისაგან დაცვის შესახებ, რომლის თანახმად:

„[ამგვარი მოქმედება წარმოადგენს] ადამიანის ღირსების შეურაცხყოფას და მიიჩნევა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნების დარღვევად და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით (და ადამიანთა უფლებების შესახებ სხვა საერთაშორისო დოკუმენტებით) გამოცხადებულ ადამიანთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დარღვევად“.

b) აღნიშნული დეკლარაცია წამებას შემდეგნაირად განსაზღვრავს:

— „წამება აღნიშნავს ნებისმიერ მოქმედებას, რომლის მეშვეობითაც ადამიანს წინასწარგანზრახვით მიაყენებენ ძლიერ ტკივილს ან ტანჯვას, ფიზიკურს ან გონებრივს, ოფიციალური პირის მხრიდან ან მისი წაქეზებით მისგან ან მესამე პირისაგან ინფორმაციის ან აღიარების მიღების, ჩადენილი მოქმედებებისათვის დასასჯელად ან ჩადენაში ეჭვმიტანილობის გამო, ან მისი ან სხვა პირების დაშინების მიზნით. ამ განსაზღვრებაში არ შედის ტკივილი და ტანჯვა, რომლებიც შეიძლება განიცადოს თავისუფლების კანონიერად აღკვეთის გა-



მო მოცემული მდგომარეობის შესაბამისად ან მისგან გამომდინარე, მაგრამ ტვივილის და ტანჯვის დონე უნდა შეესაბამებოდეს დაკავებულებთან მოპყრობის მინიმალურ სტანდარტულ წესებს“.

c) გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ დაუზუსტებია ტერმინი „სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობა და სასჯელი“, მაგრამ გასათვალისწინებელია ყველა პირის რაც შეიძლება უკეთ დაცვა როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ზასიათის ბოროტმოქმედებისაგან.

მუხლი 6. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი უზრუნველყოფენ მათ მიერ დაკავებულ პირთა ჯანმრთელობის სრულად დაცვას, კერძოდ, დაუყოვნებლად იღებენ ზომებს აუცილებლობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად.

კომენტარი

a) „სამედიცინო დახმარება“ გულისხმობს დაკავებული პირისათვის აუცილებლობის შემთხვევაში ან მისი თხოვნის საფუძველზე გაწეულ სამედიცინო მომსახურებას ნებისმიერი სამედიცინო პერსონალის — როგორც შესაბამისი მოწმობის მქონე ექიმ-პრაქტიკოსთა, ისე დამხმარე პერსონალის მხრიდან;

b) მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა უნდა გაითვალისწინონ მართლწესრიგის დაცვასთან დაკავშირებული სამედიცინო პერსონალის მოსაზრება, როცა იგი იძლევა რეკომენდაციას დაკავებულ პირს დახმარება გაუწიოს მართლწესრიგის დაცვასთან კავშირში არმყოფი სამედიცინო პერსონალის მიერ ან მასთან კონსულტაციის საფუძველზე;

c) მართლწესრიგის დამცველმა თანამდებობის პირებმა უნდა უზრუნველყონ სამედიცინო დახმარების აღმოჩენა მართლწესრიგის დამრღვევთა მსხვერპლისადმი ან წესრიგის დარღვევის დროს მომხდარი უბედური შემთხვევის მსხვერპლთათვის.

მუხლი 7. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი არ სჩადიან კორუფციის რაიმე აქტს, ისინი ყოველმხრივ ეწინააღმდეგებიან ამგვარ აქტებს და ებრძვიან მათ.

კომენტარი

a) კორუფციის ნებისმიერი აქტი, ისე როგორც ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ნებისმიერი სხვა ფორმა შეუსაბამოა მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირის სამსახურებრივი სტატუსისათვის. ნებისმიერი ამგვარი პირის მიმართ, რომელმაც ჩაიდინა კორუფცია, მთელ სიმკაცრით უნდა იყოს გამოყენებული კანონი, ვინაიდან მთავრობა არ უნდა ელოდოს მოქალაქეების მიერ მართლწესრიგის დაცვას, თუ არ შეუძლია ან არ სურს უზრუნველყოს კანონიერების დაცვა სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირთა მხრივ;

b) თუმცა კორუფცია განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, აუცილებელია განმარტება, რომ იგი მოიცავს ვალდებულებათა შესრულებისას ან მათი მიზეზით რაიმე მოქმედების ჩადენას ან უმოქმედობას, რაც ითხოვს საჩუქრების, დაპირებების მიღებას ან სტიმულირებას, ან მათ

უკანონოდ მიღებას ნებისმიერ დროს, როცა ადგილი აქვს ამგვარ მოქმედებას ან უმოქმედობას;

ც) გამოთქმა „კორუფციის აქტი“ გაგებული უნდა იქნეს როგორც კორუფციის ცდის შემცველი.

მუხლი 8. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი პატივს სცემენ კანონს და მოცემულ კოდექსს, იყენებენ ხელთ არსებულ საშუალებებს და ყოველმხრივ აღკვეთენ და ეწინააღმდეგებიან მათ დარღვევას. პირები, რომელთაც საფუძველი აქვთ იფიქრონ, რომ ადგილი ჰქონდა კოდექსის დარღვევას ან მოხდება ამგვარი რამ, მომხდარის შესახებ აცნობებენ ზემდგომ ინსტანციებს და აუცილებლობის შემთხვევაში ორგანოებს, რომელთაც ზედამხედველობის ან სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება აქვთ.

კომენტარი

ა) მოცემული კოდექსი დაცულია ყველა შემთხვევაში, როცა იგი შედის ეროვნულ კანონმდებლობაში ან პრაქტიკაში, თუ კანონმდებლობა ან პრაქტიკა ითვალისწინებს უფრო მკაცრ დებულებებს, ვიდრე კოდექსი, გამოიყენება პირველი;

ბ) მოცემული მუხლი მიმართულია წონასწორობის შენარჩუნებისაკენ ერთის მხრივ, იმ დაწესებულების შინაგანი დისციპლინის დაცვის აუცილებლობისათვის, რომელზედაც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული საზოგადოების უშიშროება და მეორეს მხრივ, ადამიანის ძირითადი უფლებების დარღვევებთან ბრძოლის აუცილებლობისათვის. მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი აცნობებენ ინსტანციებს დარღვევათა შესახებ და აწარმოებენ სხვა სამართლებრივ მოქმედებებს ინსტანციის ფარგლებს გარეთ მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა მეტი საშუალება არ არის ან არაეფექტურია. იგულისხმება, რომ ეს პირნი არ განიცდიან ადმინისტრაციულ ან სხვა სახის სასჯელს იმის გამო, რომ მათ აცნობეს მოცემული კონვენციის დარღვევის შესახებ ან ამგვარის მოხდენის შესაძლებლობის შესახებ;

ც) გამოთქმა „ინსტანციები და ორგანოები, რომელთაც აქვთ ზედამხედველობის ან სამართლებრივი კონტროლის უფლებამოსილება, მოიცავს ნებისმიერ დაწესებულებას ან ორგანოს, რომელიც არსებობს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე როგორც წესრიგის დამცველი დაწესებულების ფარგლებში, ისე მისგან დამოუკიდებლად, მას გააჩნია სტატუტური, ჩვეულებრივი ან სხვა უფლებამოსილებანი განიხილოს მოცემული კოდექსის მოქმედების სფეროში მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებული საჩივრები და პრეტენზიები;

დ) რიგ ქვეყნებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეიძლება ჩაითვალოს დაწესებულებებად, რომლებიც ც პუნქტში მითითებული საჩივრების განხილვას აწარმოებენ, ამიტომ მართლწესრიგის დამცველ თანამდებობის პირებს შეუძლიათ უკიდურეს შემთხვევაში დასაბუთებულად, თავისი ქვეყნის კანონების და ჩვევების შესაბამისად, აგრეთვე მოცემული კოდექსის მეოთხე მუხლის თანახმად, საზოგადოებრიობის ყურადღება მიაპყრონ მომხდარ დარღვევებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მეშვეობით;

ე) მართლწესრიგის დამცველი თანამდებობის პირნი იცავენ რა მოცემული კოდექსის დებულებებს, იმსახურებენ საზოგადოების, მართლწესრიგის დამცვე-

ლი დაწესებულებების, მართლწესრიგის მხარდამჭერი პირების პატივისცემას, სარგებლობენ მათი სრული მხარდაჭერით და თანამშრომლობით.

(გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტი A (84/46, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 1980, გვ. 208-240).

მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დეკლარაცია ხელისუფლების დანაშაულებათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური
ასამბლეის 40/44 რეზოლუცია*

1985 წლის 29 ნოემბერი

გენერალური ასამბლეა

შეახსენებს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეექვსე კონგრესმა დანაშაულობის აღკვეთის და მართლმსაჯულების დამრღვევებისადმი მოპყრობის შესახებ რეკომენდაცია მისცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას განაგრძოს თავისი მოღვაწეობა ეკონომიკური და პოლიტიკური ხელისუფლების ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული ხელმძღვანელი პრინციპების და ნორმების შემუშავებისათვის;

შეგნებული აქვს, რომ მთელს მსოფლიოში მილიონობით ადამიანი ზარალდება ხელისუფლების ბოროტად გამოყენების და დანაშაულის შედეგად, და რომ ამ მსხვერპლთა უფლებები სათანადოდ არ არის აღიარებული;

აღიარებს, რომ ხელისუფლების დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლნი, აგრეთვე მათი ოჯახები, მოწმეები და სხვა პირები, რომლებიც მათ დახმარებას უწევენ, არასამართლიანად ზარალდებიან, იღებენ სხეულის დაზიანებას, ან ზარალდება მათი პირადი ქონება და რომ გარდა ამისა, მათ შეიძლება განიცადონ შევიწროება მართლმსაჯულების დამრღვევთა სასამართლოს წესით დევნის ხელშეწყობისათვის;

1. ადასტურებს აუცილებლობას მიღებულ იქნეს ეროვნული და საერთა-

* მიღებულია კენჭისყრის გარეშე.

შორისო ღონისძიებანი, რათა საყოველთაოდ და ეფექტურად იყოს აღიარებული და პატივცემული ხელისუფლების დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა უფლებანი.

2. ხაზს უსვამს აუცილებლობას ხელი შეუწყოს, რომ ყოველმა სახელმწიფომ ამ მიზნების განხორციელებაში პროგრესს მიაღწიოს; ამასთან, არ უნდა დაზარალებს ექვემდებარებულ ან მართლმსაჯულების დამრღვევ პირთა უფლებები.

3. იღებს ამ რეზოლუციაზე დართულ დეკლარაციას ხელისუფლების დანაშაულობათა და ბოროტად გამოყენების მსხვერპლთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს, რომლის მიზანია დახმარება აღმოუჩინოს მთავრობებს და საერთაშორისო თანამეგობრობას სამართლიანობის უზრუნველყოფისა და მსხვერპლთათვის დახმარების გაწევაში;

4. მოუწოდებს წევრ-სახელმწიფოებს მიიღონ ზომები დეკლარაციაში შემავალი პრინციპების განხორციელებისათვის, და ქვემოთ მითითებული ვიკტიმიზაციის შეზღუდვის მიზნით წევრმა-სახელმწიფოებმა ზომები უნდა მიიღონ:

a) სოციალური ღონისძიებების, ჯანმრთელობის დაცვის დარგში ღონისძიებების გასატარებლად ფსიქიკური ჯანმრთელობის, განათლების, ეკონომიკის დაცვის ჩათვლით. მიიღონ კონკრეტული ზომები დანაშაულობათა აღსაკვეთად ვიკტიმიზაციის შესამცირებლად და სავალალო მდგომარეობაში მყოფ მსხვერპლთათვის დახმარების გასაწევად;

b) მხარი დაუჭირონ საზოგადოების ძალისხმევას და მის მონაწილეობას დანაშაულთა აღკვეთის საქმეში;

c) მოხდეს არსებული საკანონმდებლო დებულებების და პრაქტიკის გადახედვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მათი უნარიანობა, რეაგირება მოახდინონ ცვალებად გარემოებებზე. ასევე მოხდეს იმ დებულებების მიღება და განხორციელების უზრუნველყოფა, რომლებიც არაკანონიერად უკანონოდ აცხადებენ ადამიანის უფლებებთან და იურიდიულ პირთა ქცევის ნორმებთან დაკავშირებულ, საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დარღვევას, ხელისუფლების ბოროტად გამოყენების სხვა შემთხვევებს;

d) დანაშაულის ჩამდენთა გამოვლენა, სასამართლო დევნისა და დასჯისთვის ღონისძიებათა შექმნა და განმტკიცება;

e) ხელი შეუწყონ სათანადო ინფორმაციის გახმაურებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საზოგადოების მხრივ კონტროლი თანამდებობის პირთა და დაწესებულებათა საქმიანობაზე, ასევე გამოიყენონ სხვა საშუალებები, რომელთაც შეუძლიათ რეაგირება მოახდინონ საზოგადოების პრობლემებზე;

f) ხელი შეუწყონ, რომ სახელმწიფო მოხელეებმა, განსაკუთრებით — მართლმსაჯულების ორგანოთა, გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლებმა, სამედიცინო პერსონალმა, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის მუშაკებმა და სამხედრო მოსამსახურეებმა, ასევე ეკონომიკური დაწესებულებების პერსონალმა დაიცვას მოქცევის და ეთიკური ნორმების კოდექსები, კერძოდ — საერთაშორისო სტანდარტები;

g) აიკრძალოს იმგვარი პრაქტიკა და პროცედურა, მაგალითად, — დაკავების და დაპატიმრების საიდუმლო ადგილების არსებობა მიმოწერის და კავშირის უფლების აღკვეთით, რაც ხელს უწყობს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას;

h) განვითარდეს თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთშორისი სასამართლო და ადმინისტრაციული დახმარების აღმოჩენის საფუძველზე

ისეთ საკითხებში, როგორცაა სამართალდამრღვევთა გამოვლენა და დევნა, მათი გადაცემა და მათი ქონების კონფისკაცია მსხვერპლთა რესტრუქციის მიზნით.

5. რეკომენდაციას იძლევა საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

a) განვითარდეს მოღვაწეობა კადრების მოსამზადებლად, რაც ხელს შეუწყობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმათა და სტანდარტთა დაცვას და ბოროტმოქმედების შესაძლო შემთხვევათა რიცხვის შემცირებას;

b) ჩატარდეს ერთობლივი პრაქტიკული გამოკვლევები ვიკტიმიზაციის შემცირების გზების მოსაძიებლად და მსხვერპლთათვის დახმარების აღმოსაჩინად, აგრეთვე ხელშეწყობა მოცემულ დარგში ყველაზე ეფექტიანი ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გაცვლაში;

c) მთავრობებისათვის დახმარების გაწევა მათი უშუალო თხოვნის საფუძველზე ვიკტიმიზაციის შეზღუდვის და მსხვერპლთა ბედის შემსუბუქებისათვის;

d) შემუშავდეს გზები და საშუალებანი, რათა უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის საკმარისი ეროვნული არხები.

6. სთხოვს გენერალურ მდივანს შესთავაზოს წევრ-სახელმწიფოებს პერიოდულად წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას მოხსენებანი დეკლარაციის განხორციელების შესახებ, აგრეთვე ამ მიზნით მიღებული ზომების შესახებ.

7. ასევე სთხოვს გენერალურ მდივანს გამოიყენოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის შესაბამისი ორგანოები და ორგანიზაციები იმისათვის, რომ აუცილებლობის შემთხვევაში დახმარება გაუწიოს წევრ-სახელმწიფოებს, როგორც ეროვნულ დონეზე, ისე საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე მსხვერპლთა დაცვის საშუალებათა და გზათა საძიებლად.

8. ამასთან სთხოვს გენერალურ მდივანს ხელი შეუწყოს დეკლარაციის მიზნების განხორციელებას, კერძოდ — მის რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებას.

9. დაბეჭითებით მოუწოდებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემის სპეციალიზებულ დაწესებულებებს და სხვა ორგანიზაციებს და ორგანოებს, სხვა შესაბამის მთავრობათშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აგრეთვე საზოგადოებრიობას ითანამშრომლონ ამ დეკლარაციის დებულებათა განხორციელებისათვის.

დამატება

მართლმსაჯულებას ჩიკიტაი ჩინეთში დეკლარაცია ხელიწაწვდომი და ნაშაულობათა და ზორობა გამოყენებულ მსხვერპლთათვის

ა. დანაშაულობათა მსხვერპლნი

1. ტერმინი „მსხვერპლი“ აღნიშნავს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაყენეს ზიანი, მათ შორის სხეულის დაზიანება ან მორალური ზარალი, ემოციური ტანჯვა; მატერიალური ზარალი ან მოხდა მის ძირითად უფლებათა საფუძვლიანი შელახვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომლებიც არღვევენ წევრი-სახელმწიფოების მოქმედ ეროვნულ სისხლის სა-

მართლის კანონებს, მათ შორის კანონებს, რომლებიც კრძალავს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას.

2. მოცემული დეკლარაციის შესაბამისად ესა თუ ის პირი ითვლება „მსხვერპლად“ დამოუკიდებლად იმისა, იყო თუ არა დადგენილი, დაპატიმრებული, სასამართლოსათვის გადაცემული ან გასამართლებული დამნაშავე, ასევე დამოუკიდებლად მსხვერპლისა და სამართალდამრღვევის ნათესაური ურთიერთობისა, ტერმინი „მსხვერპლი“ შესაბამის შემთხვევებში გულისხმობს უშუალო მსხვერპლის ახლო ნათესაებს ან მის კმაყოფაზე მყოფთ, აგრეთვე პირებს, რომელნიც დაზარალდნენ სავალალო მდგომარეობაში მყოფ მსხვერპლთა დახმარების ცდის ან ვიკტიმიზაციის აღკვეთისათვის.

3. მოცემულ კონვენციაში მითითებული დებულებანი გამოიყენება ყველა პირისათვის ყოველგვარი განსხვავების გარეშე მისი რასის, კანის ფერის, სქესის, ასაკის, ენის, სარწმუნოების, ეროვნების, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, კულტურული წარმოდგენების ან პრაქტიკის, ქონებრივი, წოდებრივი ან ოჯახური მდგომარეობის, ეთნიური ან სოციალური წარმომავლობის და არაშრომისუნარიანობის მიუხედავად.

მართლმსაჯულებისა და სასამართლიანი მოპყრობის ხელშეწყობისათვის

4. საჭიროა მსხვერპლისადმი თანაგრძნობით მოპყრობა და მათი ღირსების პატივისცემა. მათ უფლება აქვთ ხელი მიუწვდებოდეთ მართლმსაჯულების მექანიზმზე და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უსწრაფესად მიიღონ კომპენსაცია მიყენებული ზარალის სანაცვლოდ.

5. იმ შემთხვევებში, როცა ეს აუცილებელია, უნდა შეიქმნას და განმტკიცდეს სასამართლო და ადმინისტრაციული მექანიზმები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემა ოპერატიული ხასიათის სასამართლიანი, იაფი და ხელმისაწვდომი ოფიციალური და არაოფიციალური პროცედურებით. მსხვერპლნი, რომელთაც სურთ მიიღონ კომპენსაცია ამ გზით, ინფორმირებული უნდა იყვნენ თავიანთი უფლებების შესახებ.

6. საჭიროა ხელშეწყობა, რათა სასამართლო და ადმინისტრაციული პროცედურები უპირატესად შეესატყვისებოდეს მსხვერპლთა მოთხოვნებს:

a) მსხვერპლთა ინფორმირება მათი როლის, სასამართლო წესით საქმის განხილვის, მოცულობის, განხილვის წარმოების ვადების და მიმდინარეობის შესახებ, ასევე მათი საქმეების განხილვის რეზულტატების შესახებ, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულობების შემთხვევაში და აგრეთვე მაშინ, როდესაც მათ თავად ითხოვენ ამგვარი ინფორმაციის მიღება;

b) უზრუნველყოფილ იქნეს მსხვერპლთა მოსაზრებების და სურვილების გადმოცემა და განხილვა სასამართლო წესით საქმის განხილვის შესაბამის ეტაპებზე ბრალდებულთა ინტერესების შეუღალახავად და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების შესაბამისი ეროვნული სისტემის თანახმად იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე ეხება მსხვერპლთა პირად ინტერესებს;

c) სასამართლოს წესით საქმის განხილვის მანძილზე მსხვერპლთათვის შესაბამისი დახმარების გაწევა;

d) ზომების მიღება, რათა მინიმუმამდე დავიდეს მსხვერპლთა კეთილმოუწყობლობა, საჭიროების შემთხვევაში მათი პირადი ცხოვრების დაცვა და აგრეთვე, მათი ოჯახების, მათი მოწმეების და დაცვის უზრუნველყოფა დაზინებისა და შურისძიებისაგან;

e) საქმის განხილვის დროს გაუმართლებელი შეფერხებების აღკვეთა და

მსხვერპლთათვის კომპენსაციის მიცემის თაობაზე დადგენილებათა და გადაწყვეტილებათა შესრულება.

7. აუცილებლობის შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს კამათის ვარების არაოფიციალური მექანიზმები — შუამავლობა, არბიტრაჟი და ჩვეულებრივი სასამართლოები ან ადგილობრივი პრაქტიკა შერიგებისა და მსხვერპლთათვის ანაზღაურების მისაცემად.

რესტიტუცია

8. შესაბამის გარემოებებში სამართალდამრღვევებმა ან მათ მოქმედებაზე პასუხისმგებელმა მესამე მხარემ მსხვერპლთ, მათ ოჯახებს ან მათ კმაყოფაზე მყოფ პირთ უნდა მისცენ სამართლიანი რესტიტუცია. ამაში შედის საკუთრების დაბრუნება ან მიყენებული ზარალის საფასურის გადახდა, ვიკტიმიზაციის პერიოდში დაკარგული ხარჯების ანაზღაურება, მომსახურება და უფლებების აღდგენა.

9. მთავრობებმა რესტიტუციის პრაქტიკაში, დებულებებსა და კანონებში შეტანის შესაძლებლობა უნდა განიხილონ ერთ-ერთ სასჯელად სისხლის სამართლის საქმეებისათვის სხვა სანქციებთან ერთად.

10. გარემოსადმი სერიოზული ზიანის მიყენების შემთხვევაში, თუ იქნება სათანადო გადაწყვეტილება, რესტიტუცია უნდა ითვალისწინებდეს შეძლებისამებრ გარემოს და ინფრასტრუქტურის აღდგენას, თემის ქონების შეცვლას და იმ შემთხვევებში თუ მიყენებული ზიანის გამო თემი გადავიდა სხვა ადგილზე — გადაადგილებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას.

11. როდესაც სახელმწიფო თანამდებობის პირნი, ოფიციალურად ან არა-ოფიციალურად მოქმედი სხვა წარმომადგენლები არღვევენ ეროვნული მართლმსაჯულების კანონებს, მსხვერპლმა რესტიტუცია უნდა მიიღოს სახელმწიფოსაგან, რომლის წარმომადგენელიც პასუხს აგებენ მიყენებული ზარალისათვის, იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა, რომლის დროსაც მოხდა ვიკტიმიზაციის გამომწვევი მოქმედება ან უმოქმედობა უკვე აღარ არსებობს, რესტიტუციას ახორციელებს სახელმწიფო ან მემკვიდრე მთავრობა.

კომპენსაცია

12. იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია სამართალდამრღვევისაგან ან სხვა წყაროებიდან კომპენსაციის სრული მოცულობით მიღება, სახელმწიფომ ფინანსური კომპენსაცია უნდა მისცეს:

a) მსხვერპლთ, რომლებმაც მძიმე დანაშაულობათა გამო მიიღეს მნიშვნელოვანი სხეულის დაზიანება ან არსებითად დაიზიანეს ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობა;

b) ოჯახებს, იმ პირთა კმაყოფაზე მყოფთ, რომლებიც ამგვარი ვიკტიმიზაციის შედეგად დაიხოცნენ ან ფიზიკურად ან ფსიქიკურად არაშრომისუნარიანები გახდნენ.

13. ხელი უნდა შეუწყოს მსხვერპლთათვის კომპენსაციის გასაწევი ეროვნული ფონდების შექმნას, განმტკიცებას და გაფართოებას. საჭიროების შემთხვევაში ამ მიზნით უნდა შეიქმნას სხვა ფონდებიც, აგრეთვე იმ შემთხვევებ-

შიც, როდესაც სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეცაა მსხვერპლი, არ შეუძლია აუნაზღაუროს მას მიყენებული ზარალი.

საქართველო
საზღვრო

სოციალური დახმარება

14. მსხვერპლთ უნდა გაეწიოს აუცილებელი მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარება სამთავრობო, ნებაყოფლობითი, სათემო და ადგილობრივი არხებით.

15. საჭიროა მსხვერპლთა ინფორმირება სამედიცინო და სოციალური დახმარების გაწევის და სხვა შესაბამისი დახმარების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს მათი შესაძლებლობა გამოიყენონ ისინი.

16. პოლიციის, მართლმსაჯულების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური სამსახურის და სხვა შესაბამისი სისტემების პერსონალმა უნდა გაიაროს მომზადება, რაც საშუალებას მისცემს მათ გაიგონ მსხვერპლთა მოთხოვნების და შესაბამისი ოპერატიული დახმარების გაწევის ძირითადი პრინციპები.

17. დახმარების და სამსახურის გაწევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს მათ, ვისაც განსაკუთრებული მოთხოვნები აქვს გამომდინარე მიყენებული ზარალიდან ან მე-3 პუნქტში ჩამოთვლილ ფაქტორების გამო.

ბ. ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლნი

18. ტერმინი „მსხვერპლი“ გულისხმობს პირს, რომელსაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად მიაყენეს სხეულის დაზიანება ან მორალური ზიანი, ემოციური ტანჯვა, მატერიალური ზარალი ან მოხდა მის ძირითად უფლებათა არსებითი შეზღუდვა მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც ეროვნული კანონებით ჯერ კიდევ არ წარმოადგენს დანაშაულს, მაგრამ არის ადამიანის უფლებათა საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების დარღვევა.

19. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ საკითხი ეროვნულ კანონმდებლობაში ისეთი ნორმების შეტანის შესახებ, რომლებიც კრძალავენ ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას და ითვალისწინებენ ამგვარი ბოროტმოქმედების მსხვერპლთა დაცვის საშუალებებს. ამ საშუალებებში შედის, კერძოდ — რესტიტუციის ან კომპენსაციის შესაბამისი მატერიალური, სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური დახმარების მიღება და მხარდაჭერა.

20. სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ მსხვერპლთა შესახებ მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების დადების საკითხი. მსხვერპლის განსაზღვრება მოტანილია მე-18 პუნქტში.

21. სახელმწიფოებმა პერიოდულად უნდა გადახედონ არსებულ კანონებს და პრაქტიკას, რათა უზრუნველყონ რეაგირება შეცვლილ გარემოებებზე, აუცილებლობის შემთხვევაში მიიღონ და შემოიღონ მოქმედებაში საკანონმდებლო დებულებანი, რომლებიც კრძალავს პოლიტიკური ან ეკონომიკური ხელისუფლების ბოროტად გამოყენების ფორმებს და ხელს უწყობს ამგვარი ბოროტმოქმედებების აღსაკვეთ ღონისძიებებს და მექანიზმებს, ასევე ფართოდ უზრუნველყოფს და ავითარებს შესაბამის სამართალს და სამართლებრივი დაცვის საშუალებებს ამგვარი ბოროტმოქმედების მსხვერპლთა მიმართ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. გენერალური ასამბლეა.

ოფიციალური ანგარიშები. მე-40 სესია — დამატება № 58 (A 40—58) გვ. 270-272.

„გორბტსა სკლია კეთილმან...“

საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თამაზ დობაძის ბატონო ჯამბაყურ ბაჩიაშვილს რამდენიმე კითხვით მივართა ჩვენი შურნაღის სპეციალურმა კორესპონდენტმა გელა ბაჩიაშვილმა.

ბათუმადამდე ამ ნაშბრის შინაარსს.

* * *

— ბატონო ჯამბაყურ, ადვოკატთა კორპორაციის ხელმძღვანელად თქვენი არჩევა ემთხვევა ისტორიულ მოვლენებს ქართველი ერის ცხოვრებაში.

— დიახ, მოწმენი და მონაწილენი ვართ უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენისა — 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. მართალია, ჭერჭერობით ხელთა გვაქვს „დე იურე“, მაგრამ კარგად გვაქვს გაცნობიერებული თუ რა რთული გზაა გასავლელი დამოუკიდებლობის „დე ფაქტომდე“. გამოცხადებული „აქტი“ კი სწორედ ამ უმთავრესი მიზნის მყარი საფუძველია...

ნება მომეცით ორიოდ სიტყვა ვთქვა სამართლიანობაზე, საერთოდ სამართალზე. უწინარესად, უნდა აღვნიშნო, რომ ქართველ ერს უმდიდრესი და უძველესი სამართლებრივი კულტურა გააჩნია. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენი ძველი სამართლებრივი ძეგლები. ქართველი ხალხის სამართლებრივი კულტურა გენიალურადაა გაცხადებული რუსთაველის ნააზრევში: „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, დიახ, ქართველ კაცს ოდიოვან ჰქონდა რწმენა სამართლიანობის უზენაესობისა. ამდენად, ჩვენი სულიერი და ისტორიული მოთხოვნილებაა ჰემარტიად სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და დამკვიდრება. ამიტომ არის, რომ ხალხის ნებით არჩეული ჩვენი ეროვნული პარლამენტის მთელი ძალისხმევა სწორედ აქეთვეა მიმართული. ღრმად მწამს, რომ ამ ნათელ მიზანს უცილობლად მივალწევთ.

რაც შეეხება დღევანდელი საქართველოს პოლიტიკურ-სამართლებრივ ვითარებას. კომუნისტურმა რეჟიმმა, რაც გაბატონებული იყო სამოცდათი წლის მანძილზე, ისეთი მაზინჯი და ყოვლად განადგურებული მემკვიდრეობა დაგვიტოვა, რომ არაერთი თაობის ზრუნვა დასჭირდება, რათა დაგუბრუნდეთ ჩვენს უძველეს და ჯანსაღ ფესვებს. ეს მაღალი მიზნები გაცილებით მალე მიიღწევა თუ ჩვენი ერი შეიკვრება ერთი განზრახვით, ერთ მუშტად, იღონებს ყველაფერს, რათა ეროვნული სახელმწიფო გაძლიერდეს და განვითარდეს. ამისათვის კი უკომპრომისო ბრძოლა მოგვიწევს ათასი ჭურის შინაურ თუ გარეშე მტერთან. ამ ბრძოლაში ჩვენი უმთავრესი იარაღი იყო და იქნება

სიმართლე. ღრმად მწამს — სიმართლე დაუმარცხებელია, ადრე თუ გვიან გამარჯვება გარდაუვალია. მიხეილ ჯავახიშვილი ბრძანებდა: „სამართალი ერთა მით დადის, ჩემო ჯაყო, მაგრამ რაშიე მჭდარ უსამართლობას დაეწვევს და მოხდასცემს“, კარგად დაიმახსოვროს ეს შეგონება ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ამხედრებულმა ყველა „ჯაყომ“!

— ახლა, როცა საქართველო დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფოს შენებას შეუდგა და მოხაზულია მართლმსაჯულების განვითარების კონტურები, ალბათ მეტი სიცხადით იკვეთება ადვოკატის ჭეშმარიტი სტატუსი საბჭოურ სინამდვილეში.

— პირდაპირ გეტყვიტ, ადვოკატს ერთადერთი რეალური სტატუსი გააჩნდა — ეს იყო სრული უფლებობა. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან ავადმოსაგონარი კომუნისტური რეჟიმის პირობებში ნამდვილ სამართლებრივ ცხოვრებაზე ოცნებაც კი შეუძლებელი იყო — სამართლებრივ მექანიზმს ყველა სფეროში ადმინისტრირების, მბრძანებლურ-ბიუროკრატიული მეთოდი ცვლიდა. უფრო მეტიც, პროგრესულად მოაზროვნე 158 ადვოკატი მხოლოდ ერთ წელს — 1937-ში დახვრიტეს. თანდათან ჩვენს ხალხს დაეუფლა მომაკვდინებელი სამართლებრივი ნიჰილიზმი, რამაც იურიდიული კულტურა საბოლოოდ დასცა. ბოლშევიზმმა დაუნდობელი ომი გამოუცხადა ყოველგვარ სამართლებრივს, პიროვნულს, რითაც პირწმინდად ილახებოდა ადამიანის საყოველთაო უფლებები. კაცთმოძულე ბოლშევიკური რეჟიმის „დიდი დამსახურებაა“ ისიც, რომ ჭეშმარიტი მართლმსაჯულება შეცვალა „სატელეფონო სამართალმა“. ჰოდა, ასეთ პირობებში რა რეალური უფლებები ექნებოდა ადვოკატს, ადვილი წარმოსადგენია — თვითონ დაუცველი, სხვას როგორღა დაიცავდა...

— ხაკმაოდ მძიმე შემკვიდრეობა გერგოტ... რა უნდა ვიდონოტ, რათა ადვოკატი კვლავ აღიჭურვოს თავისი უფლებებით?

— როცა ჩვენ ასე თავდაუზოგავად მივისწრაფით რეალური პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისაკენ, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ასეთი დამოუკიდებლობა თავისთავად სამართლებრივ სახელმწიფოსაც შეგვიქმნის. ცხადია, ეს ასე არ არის, რადგან მრავალი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია, როცა ქვეყანა დამოუკიდებელია, მაგრამ იქ სამართლებრივი სახელმწიფოს ჩანასახიც კი არ შეიმჩნევა. ამდენად, ჩვენი მიზანია დამოუკიდებელი სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ასეთ სახელმწიფოში კი წინა პლანზე უცილობლად უნდა დადგეს ადამიანის უფლებების დაცვის საიმედო გარანტიის მექანიზმის შემუშავება, რაც წარმოუდგენელია ასევე დამოუკიდებელი და ძლიერი ადვოკატურის გარეშე. ამდენად, ჩვენი სადღეისო უპირველესი ამოცანაა სწორედ ასეთი კორპორაციის შექმნა, ამ თვალსაზრისით ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტი უკვე სახავს და ახორციელებს კიდევ ქმედით ღონისძიებებს. ეკვი არ გვეპარება, რომ გაივლის დრო და ქართველ ადვოკატთა კორპუსი აღიდგენს შეღახულ ავტორიტეტს, მტკიცედ ჩადგება ერისა და სამართლის სამსახურში.

— ცნობილია, რომ კომუნისტური რეჟიმის პირობებში მართლმსაჯულების ორგანოები, სამწუხაროდ, კეთროვანივით გაუბრუნდნენ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას, რადგან ყოველ ასეთ უიშვიათეს ფაქტს მრავალი უსიამოვნება მოჰყვებოდა ხოლმე. რა პერსპექტივებია ამ მხრივ დამოუკიდებელ საქართველოში? როგორი იქნება ამ საქმეში ადვოკატის როლი?

— მართალი ბრძანდებით. თუ რომელიმე მოსამართლე გაბედავდა და დასაბუთებულ გამამართლებელ განაჩენს გამოიტანდა, როგორც იტყვიან, ცხენი შეკაზმული უნდა ჰყოლოდა, რადგან ამ „თვინებობით“ მრავალ ფუნქციონერსა და ძალაუფლების მქონე ბიუროკრატს უნდა დაპირისპირებოდა. ამ უთანასწორო ბრძოლაში კი ყოველთვის მოსამართლე გამოდიოდა დამარცხებული. ამიტომ იყო, რომ სასამართლო პროცესები ხშირად წინასწარ გათვლილ სპექტაკლებს წარმოადგენდა, როცა ვერდიქტი თავიდანვე გამოტანილი იყო ხოლმე. ამ სპექტაკლში ადვოკატის როლი დაკნინებული იყო, თუმცა ზოგჯერ გამარჯვებასაც აღწევდა. ამას საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი, მაგრამ ათეულობით წლების განმავლობაში ღრმად ფეხმოკიდებული სტერეოტიპების მსხვრევა იოლი საქმე როდია. ეს არის ურთულესი პროცესი და ამ პროცესში ადვოკატის მოღვაწეობას დიდი როლი ენიჭება. ჭეშმარიტი ადვოკატი იცავს არა დანაშაულს, როგორც ეს ხშირად საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს ჰგონიათ, არამედ იცავს დამნაშავეს, ეხმარება მართლმსაჯულებას ჭეშმარიტების დადგენაში. ერთი სიტყვით, დრო აღარ ითმენს, ადვოკატს უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, სამართლებრივი, სოციალური თუ ფსიქოლოგიური, რომ მან დაიბრუნოს შელახული რეპუტაცია, იქცეს სასამართლო პროცესის სრულყოფილი და ღირსეულ მხარედ.

— ბატონო ჩამბაკურ, მკითხველს უთუოდ დააინტერესებს თქვენი, როგორც ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარის სამოქმედო პროგრამა.

— მართალია, სულ ორიოდ თვეა, რაც ამ თანამდებობაზე ვარ, მაგრამ ბევრი რამ დავსახეთ, მათი უბრალოდ ჩამოთვლაც კი ძალიან შორს წაგვიყვანს, ამიტომ ნება მიბოძეთ, ძალიან ზოგადად მოგახსენოთ ჩვენი პროგრამის თაობაზე.

ჩვენი სამომავლო მოქმედების ძირითადი, მაგისტრალური ხაზია ძირეულად გავაუმჯობესოთ საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის საერთოდ და თითოეული ადვოკატის მოღვაწეობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ პრეზიდენტის აშკარად შეუფერებელ პირობებში უხდება საქმიანობა, ამიტომ ვცდილობთ მისამართი შევიცვალოთ. გვინდა შესაფერისი დარბაზიც. პრეზიდენტში უკვე შევქმენით გამოცდილ ადვოკატთა დიდი სათათბირო. ვაპირებთ მოვაწყოთ პროფესიული კლავიკაციის ამადლების კურსები, სადაც ლექციების წასაკითხად მოვიწვევთ გამოჩენილ მეცნიერებს. თბილისში გვინდა შევქმნათ „ადვოკატის სახლი“, სადაც ჩვენს ადვოკატებს საშუალება ექნებათ გაუზიარონ ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები, უმასპინძლონ სტუმრებს და სხვა. გამოჩენილ ადვოკატთა მხატვრული, იურიდიული თუ ეპისტოლარული ლიტერატურის გამოსაცემად გვინდა შევქმნათ საკუთარი გამომცემლობა „საქართველოს ადვოკატი“. ჩვენი კოლეგიის ბაზაზე უნდა ჩამოვაყალიბოთ საქართველოს იურიდიული საზოგადოება, რათა მასში გაერთიანდნენ რესპუბლიკაში მოღვაწე ყველა პროფილის იურისტები და იმოქმედონ შეთანხმებული გეგმის საფუძველზე. ერთი სიტყვით, ჩვენი საბოლოო მიზანია მაქსიმალურად გავააქტიუროთ საადვოკატო მოღვაწეობა, ავამაღლოთ მათი კომპეტენცია, რათა საქართველოს მოსახლეობის კანონიერი უფლებები საიმედოდ იყოს დაცული, არ დაისაჯოს არც ერთი უდანაშაულო პიროვნება.

ფართო პროგრამა გვაქვს დასახული აგრეთვე ადვოკატების სოციალურ-

ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

— თქვენი ხანგრძლივი საადვოკატო მოღვაწეობის მანძილზე განხუჭულად ხომ რომელ საქმეებს გაიხსენებდით?

— მამაჩემის კატეგორიული მოთხოვნით უმაღლესის დამთავრებისთანავე ადვოკატად დაიწყო მუშაობა და აგერ უკვე თითქმის ოთხი ათეული წელია არ მიღალატია ამ საქმისათვის. მართალია, თითქმის ყველა საქმე მახსოვს, მაგრამ, ცხადია, მათ შორის გამორჩეულებიც არის... ცნობილი მოღვაწის ბატონ ამირან სულაქველიძის პროცესი წელიწადი და სამი თვე გრძელდებოდა. მოდი და ნუ დაგამახსოვრდება. ბატონ ნიკოლოზ ჯავახიძის პროცესზე, შეიძლება ითქვას, სიკვდილზე გავიმარჯვეთ. გახსოვთ, ალბათ, „ცეკავშირის“ მმართველი რომ იყო, ბევრი სასიკეთო საქმის ავტორი. მარტო ის რად ღირს, 800 ტონა ნივრის საფასურად თავისუფლების მოედანზე „ცეკავშირის“ დიდებულის სასახლე რომ ააგო...

მარცხი და სიმწარეც ბევრი მახსოვს. ცხონებულ იუზა კობახიძეს ხომ სრულიად უსამართლოდ მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა... დანაშაული მონინანია, ზარალიც ანაზღაურა, თანაც პირველად იყო სამართალში, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერი ვუშველეთ — ავადმოსაგონარმა დრომ იმსხვერპლა.

უდანაშაულო ვ. ყარსაშვილის საქმე ხომ ფრიად უჩვეულო იყო... თქვენ თვითონ განსაჯეთ — მას სამჯერ მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა. სხვის დანაშაულს მას ახვევდნენ თავს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ ვაი-გამომძიებლებს არ ჰქონოდათ გაუხსნელი საქმე, მერე კი ისე შეტოპეს, რომ საქუთარი მუნდირის ღირსებას უდანაშაულოთა დასჯით იცავდნენ... უძილო დამეგბმა, მაღალმა პასუხისმგებლობამ, მტკიცებულებათა პროფესიულმა ანალიზმა და მოქალაქეობრივმა სიმტკიცემ მესამედაც გაგვამარჯვებინა... ჩემი საჩივრის შემდეგ სსრ კავშირის უზენაესმა სასამართლომ მესამედ გააუქმა საზარელი განაჩენი... ერთი სიტყვით, რომელი ერთი გავიხსენო?!

— ბატონო ჯამბაკურ, რას უსურვებთ თავისუფალ საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატებს.

— სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეგრეთ წოდებულმა „სოციალისტურმა კანონიერებამ“, რბილად რომ ვთქვათ, დაამცირა არა მარტო ადვოკატის პროფესია, არამედ კანონიც, და საერთოდ, საზოგადოების გონიერი საწყისიც. ამან კი გამოიწვია სულიერი და მატერიალური კრიზისი. აი, სწორედ ამ საშინელებას უნდა დააღწოს თავი ჩვენმა ახალგაზრდობამ...

ზოგიერთ ახალბედა ადვოკატს ჰგონია, რომ რაც უფრო ხმამაღლა იყვირებს პროცესზე, შეურაცხყოფს მხარეებს, იუხეშებს და აგდებულად მოიქცევა, მით მეტ სიკეთეს მოუტანს საქმეს. სულ ახლახანს კი გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ რამდენჯერმე გამოქვეყნდა ჩუღურეთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატის ჯემალ მალაქშანიძის ყოვლად უპასუხისმგებლო განცხადება, უფრო სწორად, ანტირეკლამა, რამაც შელახა მისივე ავტორიტეტი. არა, ჩემო ახალგაზრდა კოლეგებო — ბრძოლა უნდა იყოს გონიერი და საზრიანი, პროფესიულ ოსტატობასა და პატიოსნებაზე, ნიჭსა და სულის სიმტკიცეზე დაფუძნებული... დრმად მწამს, რომ ჩვენი ახალგაზრდობა კრიკაში ჩაუდგება ყოველგვარ უსამართლობას, უკეთურებას და ვზას მისცემს სამართლიანობას, პატიოსან შრომას, ნიჭს... სამშობლო ეყვარება უსაზღვროდ და ყველაფერს იღონებს, რათა ჩვენი ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ კვლავ ამყარდ თქვას: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.



უკვერდეს ზოგადსაპანოზრიო ლირეკულეკუბთან

სისხლის სამართალი, ისე როგორც სამართლის ყველა დარგი, ემსაურება საზოგადოებრივი ცხოვრების იმ ცვლილებებს, რომლებიც ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კურსის მეშვეობით დღითიდღე სულ უფრო მკვიდრდება ჩვენს ქვეყანაში.

ამჟამად უკვე ყველასათვის ნათელია, რომ მართვის ადმინისტრაციულ-მხარძანებლური მეთოდების ბატონობის ეპოქაში სისხლის სამართალი ემსახურებოდა, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს ინტერესებს და არა პირიქედნებს, საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის მთელი სტრუქტურა აგებული იყო ამ პრინციპზე. ასეთ ვითარებაში სისხლის სამართალი, ისევე როგორც სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი სტრუქტურები, პოლიტიკური სისტემის მსახურის როლში გვევლინებოდა. პოლიტიკური სამართალმცოდნეები ერთხმად აღიარებდნენ იმ „უდავო“ პოლიტიკურ პოსტულატებს, რომლებსაც ემყარებოდა საბჭოთა სისხლის სამართლის დოქტრინა.

ერთ-ერთ ასეთ პოსტულატად აღიარებული იყო საზოგადოებრივი მოვლენებისადმი კლასობრივი მიდგომა. მიიჩნეოდა, რომ სამართალი ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, ბურჟუაზიის კლასს და მშრომელი მასების ინტერესები სამართლის ამ ისტორიული ტიპის პირიქედნებში მუდმივად ირღვეოდა. სოციალისტურ საზოგადოებაში კი, სადაც თითქოს ხელისუფლება ეკუთვნოდა მშრომელებს, სამართალი იცავდა მათ ინტერესებს. სინამდვილეში ყველაფერი ასე როდი იყო. ბურჟუაზიული დემოკრატიის ქვეყნებში სამართალი პირიქედნების ინტერესების დაცვის უფრო დიდ გარანტიად გამოდიოდა, ვიდრე საბჭოთა ქვეყანაში.

ნაში, ვინაიდან ფაქტობრივად სამართალი ჩვენში ყალიბდებოდა პარტოკრატიის ნებით, მისი იდეების და არა ხალხის ინტერესების მსახურად და გამტარებლად.

კლასობრივმა მიდგომამ განაპირობა დავიწყება იმ წინეობრივი საწყისების მარადიულობისა, რომლებიც ისტორიულად თავისი ფორმების შეცვლის დროს შინაარსობრივად არ იცვლებოდნენ. მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა ისევე უწინეობაა დღეს, როგორც ორი ათასწლის წინათ. მაგრამ პარტოკრატიამ მიიჩნია, რომ სოციალისტურ სახელმწიფოში მორალის, ისევე როგორც ეკონომიკა იცვლის თავის სახეს. ახალი მორალის და ეკონომიკის შექმნის ცდამ სამწუხარო შედეგს მიაღწია — ერთის და მეორის ღრმა კრიზისი გამოიწვია.

საბჭოთა სისხლის სამართალი გარეგნულად ცდილობდა საკუთარი წინეობრივი სახის შენარჩუნებას, როგორც სამართლის დარგისა, რომლის ნორმები აუცილებლად შეესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მორალის ნორმებთან. მაგრამ სახელმწიფო, რომელიც აშენებული იყო მარქსიზმ-ლენინიზმის პოლიტიკურ პოსტულატებზე, ყოველთვის როდი ახერხებდა ამას. ამიტომ იგი ქმნიდა წინეობის საკუთარ გაგებას, რომელსაც შეეძლო გაემართლებინა სახელმწიფოს ნებისმიერი ნაბიჯი, თუ იგი სოციალისტური წყობის აშენების და განმტკიცების ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ამგვარად თეზისი — სახელმწიფოებრივია მართლდ ის, რაც არ ეწინააღმდეგება წინეობრივს, ფაქტობრივად შეიცვალა თეზისით — წინეობრივია ის, რაც სახელმწიფოებრივია.

ვეცდები ზოგიერთ მაგალითზე ვაჩვენო, რომ სისხლის სამართლის ნორმები ზოგიერთ შემთ-

ხვევაში პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ზოგადსა-
ცობრივ წინემის გაგებას.

მახების პოლიტიკური აქტივობის და კომუ-
ნისტური იდეოლოგიის ბატონობის უარყოფამ
შესაძლებელი გახადა სისხლის სამართლის კო-
დექსიდან ანტისაბჭოთა აგიტაციის და პროპა-
განდის შესახებ ნორმის ამოღება. ეს ნორმა,
როგორც ცნობილია, მიმართული იყო დემოკ-
რატიული მოძრაობის წინააღმდეგ. მისი არსე-
ბობა სისხლის სამართლის კოდექსში, ცხადია,
ეწინააღმდეგებოდა წინემს. განა უწინეობა არა-
ძალადობითი ხერხებით საზოგადოების სხვა
გზებით განვითარების მიწინა აგიტაციის და
პროპაგანდის გაწევა? პირაქით უწინეობა ისაა,
რაც კეთდებოდა ამ ნორმის მეშვეობით: სახელ-
დობრ, პოლიტიკური და სამართლებრივი დევნის
ობიექტად გამოცხადებული იყო პაროვნება,
რომელიც გამოხატავდა თავის უთანხმოებას ქვე-
ყანაში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკუ-
რი რეჟიმის მიმართ. მაშასადამე, ასეთი ნორმის
არსებობა სისხლის სამართლის კოდექსში უნდა
ჩაითვალოს უწინეობად. ეს ადასტურებს აღიარ-
ებული პრინციპის — „დანაშაულებრივია, ვხე-
იჯი უწინეობა“ — საბჭოთა სისხლის სამართლის
მიერ დადგევის პირველ ფაქტს.

ავილოთ თუნდაც მუქთახორობის ანუ პარაზი-
ტული ცხოვრების სისხლის სამართლებრივი
დასჯადობა. თუ ის სხვადასხვა ქცევის ფორმე-
ბი, რომლებიც ზოგჯერ სავსებით გაუმართ-
ლებლად მუქთახორობის და პარაზიტული ცხოვ-
რების ცნებებში იყო გაერთიანებული, დასჯად
ქმედობებს წარმოადგენდნენ, მაშინ ისინი წინე-
ობრივადაც გასაიციბი უნდა ყოფილიყო. მაგ-
რამ სახელმწიფო ვერ ხედავდა, უფრო სწორედ,
მას არ უნდოდა დაეინახა განსხვავება ამ ფორ-
მებს შორის. მუქთახორობის განსაზღვრისას
კანონმდებლობა მართლ ერთი კრიტერიუმთან
ამოდიოდა: ადამიანს, თუ მას არ სურდა მუქ-
თახორის და პარაზიტის სახელი რქმეოდა, უნდა
ეშრომა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ დადგენი-
ლი წესის მიხედვით. სხვა შემთხვევაში იგი
მუქთახორად იყო გამოცხადებული. ცხადია, რომ
ასეთი მიდგომის დროს ამისთანა „მუქთახორო-
ბის“ ყველა ფორმა როდი ატარებდა უწინეო
ხასიათს. მაგალითად, უწინეობად შეიძლება ჩა-
ითვალოს ისეთი ცხოვრების წესი, როცა ადამი-
ანი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას
არ ეწევა, ირჩენს თავს სხვა ადამიანების მეშ-
ვეობით, მათხვრობს, ქურდობს, თაღლითობს
და ა. შ. მაგრამ ნუთუ უწინეო ქცევას უნდა წარ-
მოადგენდეს და სისხლის სამართლებრივ დასჯას
იწვევდეს ადამიანის უმუშევრობა იმ შემთხვევა-
შიც, როცა ის დროებით პირადი ან საკუთარი
ოჯახის დანაშაულით ირჩენს თავს? ანდა უწინეო

პაროვნება, რომელიც ფაქტობრივად საზოგადო-
ებისათვის სასარგებლო შრომას ეწევა, მაგრამ
ამ შრომის ნორმატიული მოწესრიგებასა და
მწიფოს არ გააჩნია?

ვფიქრობთ, რომ ამგვარი მიდგომიდან უნდა
გამომდინარებოდეს დასკვნა, რომ უწინეობა
რილ მაგალითშიც სახელმწიფო თავისი სურვი-
ლის მიხედვით აცხადებდა უწინეობად და დას-
ჯადად ადამიანის ქცევას, რომელიც არ შეიძ-
ლებდა წინეობრივად გასაიციბი ყოფილიყო. რო-
გორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც სახელმწიფო-
ებრივი მიდგომა წინეობრიობის ცნებას განსაზღ-
ვრავდა.

დაახლოებით ანალოგიურ ვითარებას ვაწყდებ-
ით როცა ვიხილავთ ისეთ სისხლის სამართ-
ლებრივ ნორმას როგორცაა საექსპლუატაციო.

საექსპლუატაციო, უფრო სწორედ ისეთი ქცევა,
რომელსაც ჩვენში საექსპლუატაციას უწოდებენ, ყვე-
ლა განვითარებული საზოგადოებისთვის ნორ-
მალურ მოვლენას წარმოადგენს. ეს ქცევა სათა-
ნადო სამართლებრივი ნორმებით რეგულირდებ-
ა და ბიწენის ერთ-ერთ საშუალებას წარმო-
ადგენს. მაგრამ ამ მოვლენას ასეთ საზოგადოე-
ბებში ქმნის არა დეფიციტი (რაც დამახასიათე-
ბელია ჩვენს ქვეყნისათვის), არამედ სხვადასხვა
რეგონებში საქონელზე მოთხოვნილების და
მისი დამაყოფილების შესაძლებლობის განსხ-
ვავება. აღნიშნული მიდგომარობის გათვალის-
წინებით, ვფიქრობთ, რომ უწინეობად და სისხ-
ლის სამართლებრივი წესით დასჯადად არ შე-
იძლება ყოფილიყო ისეთი ქმედებები, როცა
ადამიანი სოციალისტური სისტემის მოუქმელო-
ბის პირობებში ცდილობდა თავისი თავისა და
საზოგადოებისათვის სასარგებლოდ მოეწესრი-
გებინა ერთი რეგონიდან მეორეში ხალხისათვის
საჭირო საქონლის მიწოდების პრობლემა. თუ
ასეთი მოქმედება სოციალიზმის პირობებში სა-
მართლებრივად მოუქმესრიგებელი იყო და სა-
ხელმწიფოს თვალთახედვით მავნეც კი, ასეთი
ვითარება სახელმწიფოს უწინეობაზე ლაპარაკობს
და არა პაროვნებისა.

როგორც ვხედავთ, სახელმწიფოებრივი მიდ-
გომა ამ შემთხვევაშიც განაპირობებდა ქცევის
წინეობრივი ხასიათის შეფასებას.

რამდენი დავა იყო ყველასათვის კარგად
ცნობილი ეგრეთ წოდებული „მეშახაშეობის“
ირგვლივ: მიჩნეული იყო თუ არა იგი სისხლის
სამართლებრივი კანონით დასჯად ქმედობად?
თუკი ეს მოვლენა ზოგადსაქოცობრივ ღირებუ-
ლებების თვალთახედვით შეფასდება, ხაკითხი
ცხადია ცალსახად გადაწყდება.


შეგვიძლია ასეთი ნორმების ჩამონათვალი კი-
დეგ გავწარმოთ, მაგრამ ვფიქრობ საკითხი საკ-
მაოდ ნათელია. ამრიგად, შეიძლება ითქვას,

რომ პარტოკრატის ძალაუფლების ეპოქაში სის-
ხლის სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბების
კრიტერიუმად წნეობა, მისი წოგადსაკაცობრიო
კუთხით არ განიხილებოდა. სისხლის სამართ-
ლებრივი კანონმდებლობის ფორმირების მთავარ
საწომად ითვლებოდა ისეთი სტრუქტურების
სტაბილურობის და ფუნქციონირების უზრუნ-
ველყოფა, რომლებიც ამტკიცებდნენ პარტოკრა-
ტიული სახელმწიფოს მოდელს, სადაც მზრუმე-
ლი ხალხი ფაქტიურად გათიშული იყო ძალა-
უფლებებისაგან, პარტიული ელიტა კი დევალვი-
რებული კომუნისტური იდეის განმტკიცებისათ-
ვის აშკარა ექსპლოატაციას უწყევდა თავის
ხალხს.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს სუვე-
რენული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი.

ამასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის
კანონმდებლობასაც მოედის სათანადო ტეფორ-
მა. ამიტომ ვჭიკრობ, ასეთი კანონმდებლობის
შექმნის ერთ-ერთ კრიტერიუმად უნდა გახდეს
პრინციპი, რომლის თანახმად, კრიმინალიზაციის
ობიექტად არ ჩაითვლება ქცევა, თუ იგი წო-
გადსაკაცობრიო ღირებულებების თვალსაწრი-
სით წნეობრივ მოთხოვნილებებს არ ეწინააღ-
მდეგება, ასეთი მიდგომა გახდის ეროვნულ სის-
ხლის სამართლის კანონმდებლობას ჰუმანიტად
სამართლებრივს (ვინაიდან თავისი ბუნებით სა-
მართალი, მისი არაკლასობრივი გაგებით, ყო-
ველთვის წნეობრიობას უნდა შეესაბამებოდეს)
და ამით პიროვნების უფლებებიც სათანადოდ
დაცული იქნება.

ირაკლი გომიკაშვილი



წიგნის საჯარო განხილვა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში გაიმართა ოთარ გამყრელიძის წიგნის — „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“ — საჯარო განხილვა. (გამომცემლობა „მეცნიერება“).

სხდომა გახსნა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა თამაზ შავგულიძემ.

ავტორმა **ო. გამყრელიძემ** ისაუბრა ნაშრომის ძირითად დებულებებზე. მან აღნიშნა, რომ თანამონაწილეობის პრობლემაზე ბევრი წიგნია დაწერილი. მართო რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ათამდე მონოგრაფია არსებობს, საქართველოში კი სამი, მაგრამ საქმე ისაა, რომ საკითხი ამ კუთხით დამუშავებული არ არის. არ არსებობს არც ერთი მონოგრაფიული გამოკვლევა, რომელიც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლისადმი საგანგებოდ იყოს მიძღვნილი, ამ საკითხის გაღრმავებული შესწავლა კი ნამდვილად საჭიროა, რადგან იგი მთელი თანამონაწილეობის პრობლემის გასაღებს წარმოადგენს.

თანამონაწილეობა ისეთი პრობლემაა, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტაზე ზეგავლენას ახდენს სისხლის სამართლის სხვა ძირითადი საკითხები. ასეთებია. მაგალითად, მიზეზობრიობა, დანაშაულის შემადგენლობა, ბრალი და ა. შ. მაგრამ არის კიდევ სისხლის სამართლის ერთი ფუნდამენტური პრობლემა, რომლის მნიშვნელობაც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლისათვის უცილობლად დიდია. ეს უმართლობის პრობლემაა. მიზეზობრიობის, ბრალის და ზოგიერთი სხვა ცნებების მნიშვნელობაზე თანამონაწილეობისათვის საკმაოდ ბევრია დაწერილი. მაგრამ თითქმის ვერ შეხვდებით ნაშრომს, რომელშიც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი და საზოგადოდ თანამონაწილეობის რომელიმე საკითხი მართლწინააღმდეგობის პრობლემაზე დაყრდნობით იყოს გაშუქებული. ეს უთუოდ იმითაც აიხსნება, რომ მართლწინააღმდეგობა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნაკლებად შესწავლილი პრობლემაა ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში. ამიტომაც ბევრი საკითხი, რომლებიც ამ პრობლემის ირგვლივ წამოიჭრება, ჯერ კიდევ ბურუსითაა მოცული. ყოველივე ამან, ავტორის თქმით, განაპირობა მისი არჩევანი — ყურადღება შეეჩერებინა სისხლისსამართლებრივი უმართლობისა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის ურთიერთმართებაზე. იმისათვის, რომ ეს ურთიერთმართება გაირკვეს, ელემენტარული ლოგიკის მიხედვით, თავდაპირველად აუცილებელია თვით ამ მოვლენათა იურიდიული ანალიზი. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი გარკვეული დასკვნების სინთეზირება იმ ურთიერთდამოკიდებულების თაობაზე, რომელიც არსებობს მათ შორის. ასე რომ პირველ რიგში უნდა ვუპასუხოთ კითხვას: რაში მდგომარეობს თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი? რისთვის ისჯება თანამონაწილე?

წიგნში ყურადღებას იპყრობს თვით საკითხის დაყენება. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი იგივეა, რაც თანამონაწილეობის პასუხისმგებლობის საფუძველი. ამიტომ, შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ აქ ლაპარაკია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. სინამდვილეში ეს ასე არ არის. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ადამიანის მიერ დანაშაულის ჩადენა, ე. ი. სისხლის სამართლის კანონით აღწერილი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედობის განხორციელება. ეს პრინციპი ეხება ყოველგვარ დანაშაულებრივ გამოვლინებას, იქნება ეს ერთი პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, თუ ისეთი შემთხვევა, როცა დანაშაულს რამდენიმე პირი სჩადის თანამონაწილეობით.

რაც შეეხება თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს, აქ მხედველობაშია ის სპეციფიკური საკითხი, თუ რომელ სიკეთეს, რომელ ობიექტს ხელყოფს წამქეზებელი, ე. ი. თანამონაწილე. ამ საკითხზე თანამედროვე მეცნიერებაში ორი მიმართულება არსებობს: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება და მიზეზობრიობის თეორია. პირველი გავრცელებულია ძირითადად შვეიცარიაში, ხოლო მეორე—გერმანულ, რუსულ და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სისხლის სამართალში. ნაშრომში კრიტიკულადაა განხილული ორივე ეს თეორია, მათი ნაკლი და დადებითი მხარეები. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს მიზეზობრივი კავშირის არსებობას თანამონაწილეობის მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგებს შორის. ამ თეორიის ავტორები მიიჩნევენ, რომ წამქეზებელი და ამსრულებელი ხელყოფენ სხვადასხვა სიკეთეს. კერძოდ, წამქეზებელი ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ვინაიდან მან შეაცდინა იგი და ბრალეულად აქცია, ხოლო ამსრულებელი კი—სისხლის სამართლის კანონით დაცულ კონკრეტულ საზოგადოებრივ ურთიერთობას (სხვა ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და ა. შ.). ო. გამყრელიძის სამართლიანი შენიშვნით, თუკი წამქეზებელი და ამსრულებელი სხვადასხვა ობიექტებს ხელყოფენ, მაშინ გამოდის, რომ ისინი სხვადასხვა დელიქტებს ახორციელებენ. ასეთ პირობებში სრულიად შეუძლებელია ლაპარაკი მათი ქმედობის ერთიანობაზე და მათსადაშე, თვით თანამონაწილეობაზეც. ვერც ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება და ვერც მიზეზობრიობის თეორია ვერ ხსნის თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს არსს. მიზეზობრიობას რომ აღიარებენ დასჯადობის საფუძველად, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ თანამონაწილეობის სუბიექტურ მხარეს. ამ თეორიას რომ ლოგიკურად გავყვეთ, მაშინ უნდა ვაღიაროთ გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობა და კაცი დავსაჯოთ დანაშაულში თანამონაწილეობისათვის იმ შემთხვევაშიც, როცა მისი მოქმედება ობიექტურად მიზეზობრივ კავშირშია ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგთან, მაგრამ სუბიექტური მხრივ ამ შედეგის მიმართ იგი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა. მაგრამ თანამედროვე სისხლის სამართალი სულ უფრო და უფრო ზღუდავს თანამონაწილეობის სუბიექტურ სფეროს და აღიარებს განზრახ თანამონაწილეობას. უფრო მეტიც, ო. გამყრელიძის წიგნში საფუძველიანად არის დასაბუთებული ის აზრი, რომ თანამონაწილეობას არ უდგება ბრალის არც ერთი ფორმა, გარდა პირდაპირი განზრახვისა და უნდა გამოირიცხოს არა მხოლოდ გაუფრთხილებლობითი, არამედ ევენტუალური განზრახვით თანამონაწილეობაც. მიზეზობრიობის თეორიის მიხედვით თანამონაწილეთა შორის არსებობს ობიექტური კავშირი მიზეზობრიობის სფეროში, მაგრამ უნდა აღმო-

ვაჩინოთ ასეთივე ობიექტური ნიშანი სუბიექტურ სფეროშიც, რომელიც რამდენიმე კაცის მოქმედებას გააერთიანებს და თანამონაწილეობად აქცევს.

სუბიექტურ სფეროში ობიექტური ნიშნის გამოძებნა შესაძლებელი ვაზდა უმართლობის სუბიექტური ნიშნების მოძღვრების საფუძველზე, რომელიც გავრცელებულია თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში. წიგნში გამოკვლეულია უმართლობის ცნება, რომელიც ზოგჯერ ყალიბდება წმინდა ობიექტური ნიშნებით, ზოგჯერ კი ობიექტურ ნიშნებთან ერთად, სუბიექტური ნიშნების მეოხებითაც. ავტორის მტკიცებით, ობიექტური მნიშვნელობა აქვს ისეთ სუბიექტურ ნიშანს, რომელიც აძლევს ქმედობას შინაარსს და ამით ქმნის უმართლობის ტიპს. ასეთი ნიშანია მიზანი, რომელიც მიმართულია შემადგენლობის შესაბამისი შედეგისადმი. მაგალითად, მიზანი სხვისი სიცოცხლის მოსპობისა, მითვისების მიზანი ქურდობის დროს და ა. შ. ასე რომ სუბიექტურ ნიშანს, კერძოდ მიზანს ობიექტური მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ ზიარდაპირი განზრახვით ჩადენილ დელიქტებში. სწორედ ასეთ დელიქტებშია შესაძლებელი თანამონაწილეობა, როცა თანამონაწილეთა შორის არსებობს როგორც ობიექტური (მიზეზობრიობის სფერო), ისე სუბიექტური კავშირი, რომელსაც ობიექტური მნიშვნელობა აქვს. (უმართლობის სუბიექტური ელემენტი). ასე რომ, თანამონაწილენი ერთიან უმართლობას ახორციელებენ, ამიტომ თანამონაწილის დასჯადობა ერთიან უმართლობას ეფუძნება, ხოლო მიზეზობრივი კავშირი ამსრულებლის მიერ გამოწვეულ შედეგსა და თანამონაწილის მოქმედებას შორის, ამ უკანასკნელის დასჯადობის წანამძღვარია.

დასასრულს ო. გამყრელიძემ ისაუბრა თანამონაწილეთა ერთიანი უმართლობის მოძღვრების პრაქტიკულ ღირებულებაზე. აღნიშნა, რომ მის საფუძველზე შესაძლებელია დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს ბევრი საკითხი, რომლებიც თანამონაწილეობის პრობლემატიკაში წამოიჭრება.

ნაშრომის ძირითადი დებულებების გადმოცემის შემდეგ ო. გამყრელიძემ უპასუხა შეკითხვებს:

პროფესორი თამაზ ზავგულიძე: მოგეხსენებათ, რომ კაპიტალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის მეცნიერებაში საზოგადოებრივი საშიშროების ცნება არ არსებობს. მაშ რა ვუყოთ აუცილებელ მოგერიებას, უკიდურეს აუცილებლობას ან კიდევ შეურაცხადის მიერ ჩადენილ მოქმედებას? ისინი ამბობენ: ჩვენ გვაქვს უმართლობის კატეგორია და ამიტომ საზოგადოებრივი საშიშროების ცნება საჭირო არ არისო.

თუ ჩვენ შემოვიტანთ უმართლობის ცნებას და მას მართლწინააღმდეგობის გვერდით დავაყენებთ, მაშინ რჩება თუ არა ადგილი საზოგადოებრივი საშიშროების ცნებისათვის?

ო. გ.: ასეთ შემთხვევაში აღარ რჩება ადგილი საზოგადოებრივი საშიშროების ცნებისათვის. მართლწინააღმდეგობას ხარისხები არა აქვს. ქმედობა ან ეწინააღმდეგება სამართალს, ან არ ეწინააღმდეგება. უფრო მეტი ან ნაკლები წინააღმდეგობა არ არსებობს. საზოგადოებრივ საშიშროებას კი აქვს ხარისხი. თუ ჩვენ შემოვიტანთ უმართლობის ცნებას, მაშინ შეგვიძლია უარი ვთქვათ საზოგადოებრივი საშიშროების ცნებაზე, რადგან უმართლობასაც აქვს ხარისხები. არსებობს მეტი ან ნაკლები სიმძიმის უმართლობა.

თ. შ.: საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას აქვს თუ არა სამართლებრივი და კერძოდ სისხლისსამართლებრივი სპეციფიკა?

ო. გ.: საზოგადოებრივი საშიშროების ცნებას აქვს სამართლებრივი სპე-

ციფიკა, მაგრამ არა სისხლისსამართლებრივი. ამა თუ იმ ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება შეიძლება პოზიტიური სამართლის მიერ აღიარებულ იქნას, მაგრამ მას ეს თვისება მაინც ექნება. მაგალითად, სისხლის აღრევა ისჯებოდა სისხლის სამართლის წესით, ამჟამად არ ისჯება. მაგრამ ამით მის საზოგადოებრივ საშიშროებას არაფერი არ მოკლებია და არც არაფერი მიმატებია.

თ. შ.: რა განსხვავებაა უმართლობასა და მართლწინააღმდეგობას შორის და არსებობს თუ არა სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობა?

ო. გ.: მართლწინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ქმედობასა და სამართალს შორის. მაშასადამე, იგი გამოხატავს დამოკიდებულებას ამ ორ მოვლენას შორის. ამ შემთხვევაში ეს დამოკიდებულება უარყოფითი ხასიათის არის, წინააღმდეგობრივია.

რაც შეეხება „სისხლისსამართლებრივ მართლწინააღმდეგობას“, იგი არასწორი ტერმინია. სამართალი ქვეყანაში ერთია და ქმედობა ეწინააღმდეგება არა სისხლის სამართალს ან სამოქალაქო სამართალს და ა. შ. ცალკე, არამედ სამართალს მთლიანობაში. „სისხლისსამართლებრივი მართლწინააღმდეგობის“ ნაცვლად უმჯობესია ვიხმაროთ „სისხლისსამართლებრივი უმართლობა“.

ეხლა, რას ნიშნავს თვით ტერმინი „უმართლობა“. თუკი მართლწინააღმდეგობა არის წინააღმდეგობა ქმედობასა და სამართალს შორის, უმართლობა თვით ეს კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედობაა. მართლწინააღმდეგობა ურთიერთობაა, ხოლო უმართლობა თვითონ ქმედობა, რომელიც სამართალს ეწინააღმდეგება. სისხლისსამართლებრივი უმართლობა კი იქნება სისხლის სამართლის კანონით აღწერილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

სისხლისსამართლებრივი უმართლობა უნდა განვასხვავოთ ერთის მხრივ მართლწინააღმდეგობის ცნებისაგან, მეორეს მხრივ კი—დანაშაულის ცნებისგანაც. ვინაიდან სისხლისსამართლებრივი უმართლობა არის სისხლის სამართლის კანონით აღწერილი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, დანაშაული იქნება ამ სისხლისსამართლებრივ უმართლობას პლუს ბრალი.

ო. გამყრელიძის ნაშრომის შესახებ მოხსენება გააკეთა პროფესორმა გიორგი ტყეშელიაძემ.

შემდეგ ისაუბრა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელმა **დავით სულაქველიძემ:**

რამდენადაც აქ უკვე იყო დაწვრილებითი განხილვა, შემოვიფარგლები მხოლოდ ზოგიერთი ისეთი მომენტის აღნიშვნით, რომლებიც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ნაშრომის რეალურ ღირებულებაზე. მის უმთავრეს ღირსებად ჩვენ მიგვაჩნია იმ პრობლემათა წამოწევა, რომლებიც აქამდე არ ყოფილა სიღრმისეული შესწავლის საგანი საბჭოთა სისხლის სამართლის თეორიაში. ასეთია დანაშაულის სამნიშნოვანი სტრუქტურის, სისხლისსამართლებრივი უმართლობისა და უმართლობის სუბიექტური ნიშნების საკითხები.

ავტორი მკვეთრად უპირისპირდება საბჭოურ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში გაბატონებულ თვალსაზრისს, რომ დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს დანაშაულის ყველა ნიშანს და იგი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთი და საკმარისი საფუძველია. **ო. გამყრელიძე** ავლენს აღნიშნული დებულების შინაგან წინააღმდეგობებსა და მიდის დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ დანაშაულის შემადგენლობისა და დანაშაულის ცნებები არათანხვდენილი ცნებებია და სხვადასხვა მოვლენებს გამოხატავენ. დანაშაულის შემადგენლობა დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ნიშანია მართლწინააღმ-

დეგობასა და ბრალთან ერთად. მაშასადამე, იგი სისხლისსამართლებრივი პრინციპების დანაშაულის არა ერთადერთი, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი საფუძველია დანაშაულის ზემოხსენებულ ორ ნიშანთან ერთად. ამ საკითხში ავტორის პოზიცია ეყრდნობა გამოჩენილი გერმანელი კრიმინალისტიკის ბელინგის მოძღვრებას დანაშაულის ცნების შესახებ. ჩემი აზრით, აღნიშნა დ. სულაქველიძემ, ბელინგის მიერ აგებული სისტემა მყარი და ლოგიკურად გამართულია. საბჭოთა სისხლის სამართალში ჯერჯერობით არ მოიპოვება ამ სისტემის არგუმენტირებული და დამაჯერებელი კრიტიკა.

უთუოდ აღნიშვნის ღირსია ის, რომ თავის ნაშრომში ბატონმა ოთარ გამყრელიძემ შეიძლება ითქვას მოქალაქეობრივ უფლებებში აღადგინა უმართლობის კატეგორია. უმართლობის ცნება ფართოდ ფიგურირებს უცხოურ სისხლის სამართლის თეორიაში. იგი ასევე სათანადოდაა წარმოდგენილი რევოლუციამდელი რუსეთის სისხლის სამართალშიც, მაგრამ შემდეგ უსამართლოდ იქნა უგულვებელყოფილი და მივიწყებული. ავტორი განსაზღვრავს უმართლობის არსს, მიჩნავს მას სხვა სისხლისსამართლებრივი კატეგორიებისაგან. ო. გამყრელიძეს შემოაქვს აგრეთვე მართლწინააღმდეგობის ცნების ახლებური, უფრო მართებული გაგება. იგი თვლის, რომ მართლწინააღმდეგობა არის ქმედობის წინააღმდეგობა არა სამართლის რომელიმე დარგის ნორმებისადმი, არამედ მთლიანად სამართლისადმი. დ. სულაქველიძემ აღნიშნა, რომ ასეთი პოზიციის სისწორეს თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ ყოველ ქვეყანაში მოქმედი სამართალი არის ერთიანი, ორგანულ მთლიანობაში მყოფ ნორმათა სისტემა. ამიტომ შეუძლებელია, რომ ქმედობა, რომელიც ეწინააღმდეგება ვთქვათ, სისხლის სამართალს, მართლწინააღმდეგობით იყოს ადმინისტრაციული ან სამართლის სხვა რომელიმე დარგის თვალსაზრისით. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვაღიაროთ, რომ სამართალი არის არა ერთიანი სისტემა, არამედ სხვადასხვა ნორმების შემთხვევითი, თვითნებური კრებადობა. ასე რომ წიგნში თავთავისი კუთვნილი ადგილი აქვთ მიჩენილი დანაშაულის შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და უმართლობის ცნებებს.

დ. სულაქველიძემ საგანგებოდ აღნიშნა ის მნიშვნელოვანი სიახლე, რომელიც მისივე თქმით, ბატონ ო. გამყრელიძის ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს. ნაშრომში საფუძვლიანად არის გამოკვლეული უმართლობის სუბიექტური ნიშნების პრობლემა, რომელიც საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებაში საერთოდ არ დამუშავებულა. გამოჩინების წარმოადგენს განსვენებული მეცნიერის, პროფესორ თინათინ წერეთლის ერთი სტატია (იხ. Т. В. Церетели, Основания уголовной ответственности и понятия преступления, «Правоведение», 1980, № 2).

უმართლობის სუბიექტური ნიშნების პრობლემა გერმანელი მეცნიერ-კრიმინალისტების მიერ თავის დროზე გაწეული ღვაწლის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაყოფია. პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ზოგჯერ უმართლობის ცნება ყალიბდება არა მხოლოდ წმინდა ობიექტური ნიშნებით, არამედ ობიექტურ ნიშნებთან ერთად, სუბიექტური ნიშნების მეოხებითაც (მხედველობაში არაა ბრალი, რომელიც უმართლობის გარეთაა და დანაშაულის ცნების მესამე აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს). უმართლობის ამგვარ აუცილებელ სუბიექტურ ნიშანს წარმოადგენს მიზანი, რომლის გარეშე, ცალკეულ შემთხვევაში, დელიქტის არსებობა წარმოუდგენელია. ო. გამყრელიძე კრიტიკულად განიხილავს უმართლობის სუბიექტური ნიშნების თეორიას და შე-

აქვს მასში არსებითი სიახლე. კერძოდ, ე. წ. ფინალური მოძღვრების მიმდევრები (პ. ველცელი და სხვ.) მეტისმეტად აფართოებენ ამ ნიშნების მოქმედების არეს, ხოლო მათი ოპონენტები (ე. მეცგერი) პირიქით, ძლიერ ზღუდავენ მას. მათ მიაჩნიათ, რომ უმართლობის სუბიექტური ნიშნების მოქმედების არე (შემოიფარგლება ისეთი დელიქტებით, რომელთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული მიზნის საფუძველზე, ესე იგი ე. წ. ფინალურად კონსტრუირებული დელიქტებით. (მაგალითად, ქურდობა, ყაჩაღობა, შეურაცხყოფა, ტერორისტული აქტი და სხვ.). ბატონი ოთარ გამყრელიძე კი საკითხის საფუძვლიანი გამოკვლევის შედეგად მივიდა სრულიად სხვა დასაბუთებულ დასკვნამდე. მისი აზრით, ისეთი სუბიექტური ნიშანი, როგორცაა მიზანი, უმართლობის დამაფუძნებელია ყველა შემთხვევაში, როცა იგი—ქმედობა ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, იმისგან დამოუკიდებლად, კონსტრუირებულია თუ არა იგი ფინალურად. მაგალითად, მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს როგორც პირდაპირი განზრახვით, ისე ევენტუალური განზრახვითა და გაუფრთხილებლობით. ე. ი. იგი არაა მიზნით დაფუძნებული დელიქტი. მიუხედავად ამისა, მიზანი მაინც იქნება უმართლობის დამაფუძნებელი იმ შემთხვევაში, როცა მკვლელობა პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით დ. სულაქველიძემ ყურადღება გაამახვილა ერთ მეტად საინტერესო გარემოებაზე. იურიდიულ ლიტერატურაში სავსებით სამართლიანად საყოველთაოდ არის აღიარებული ის აზრი, რომ ე. წ. ფინალური დელიქტების ანუ მიზნით დაფუძნებული დანაშაულების პირველდმომჩენის პრიორიტეტი ეკუთვნით გამოჩენილ გერმანელ იურისტებს პ. ფიშერს, ნაგლერს, გრაფ ცუ დონას, ე. მეცგერს, პ. ველცელსა და სხვებს. ამასთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს შემდეგი ფაქტი: ის, რომ არსებობს დანაშაულები, რომელთა ჩადენა შესაძლებელია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით და ამასთან მხოლოდ განსაზღვრული მიზნის საფუძველზე, ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნეში ყოფილა მიკვლეული არისტოტელეს მიერ. აი, რას წერს იგი ამის თაობაზე: „დამნაშავენი ხშირად აღიარებენ ხოლმე დანაშაულს, მაგრამ არ ეთანხმებიან მის დახასიათებას, ანდა იმას, რასაც ეს დახასიათება ეხება. მაგალითად, დამნაშავე ამტკიცებს, რომ მან „აიღო“ და არა „მოიპარა“, რომ მან პირველმა დაარტყა, მაგრამ შეურაცხყოფა არ მიუყენებია, რომ იყო ქალთან კავშირში, მაგრამ უზნეობა არ ჩაუდენია... ამიტომ საჭიროა განისაზღვროს, თუ რაა ყოველივე ეს: ქურდობა, შეურაცხყოფა, უზნეობა, რათა დავამტკიცოთ, აქვს მას ადგილი, თუ არა და ამით გამოვავლინოთ სიმართლე... როგორც უსამართლობა, ისე უზნეობა წინასწარი განზრახვით ხდება და ისეთი ცნებები, როგორცაა „შეურაცხყოფა“ და „ქურდობა“ წინასწარგანზრახულობას გულისხმობს. ამიტომ, ყოველი დარტყმა კი არაა შეურაცხყოფა, არამედ წინასწარგანზრახული, ე. ი. როცა ადამიანს სურს სხვა შეურაცხყოს, თვით კი ისიამოვნოს. ყოველთვის ქურდობად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა, თუ ვინმემ რაიმე ჩუმად აიღო, არამედ მხოლოდ ისეთი შემთხვევა, როცა ის სხვისთვის ზიანის მიყენების და მითვისების მიზნით არის ჩადენილი (იხ. არისტოტელე, რიტორიკა, თბ., 1981, გვ. 86). ცხადია, ეს გარემოება სრულიად არ ამცირებს გერმანელი მეცნიერების უდიდეს დამსახურებას, რომლებმაც ფუნდამენტურად პირველებმა დაამუშავეს და ჩამოაყალიბეს მთელი მოძღვრება მიზნით დაფუძნებულ დელიქტებსა და უმართლობის სუბიექტურ ნიშნებზე.

ნაშრომში უმართლობის სუბიექტური ნიშნების პრობლემის გამოკვლევა არ ატარებს თვითმიზნურ ხასიათს. ამ გამოკვლევის შედეგებს ავტორი მიმართავს მეორე, ასევე მნიშვნელოვანი პრობლემის შესასწავლად. კერძოდ, იკვლევს რა თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს, იგი მიდის დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ თანამონაწილეობის დასჯადობა ერთიან უმართლობას ეფუძნება. ერთიანი უმართლობა კი მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა თანამონაწილე და ამსრულებელი ერთი მიზნით მოქმედებდა. სწორედ უმართლობის სუბიექტური ნიშანი — ერთიანი მიზანია ის აუცილებელი ელემენტი, რომელიც ქმნის ამსრულებლისა და თანამონაწილის მიერ ჩადენილი უმართლობის ერთიანობას. თანამონაწილეობის დასჯადობაზე ერთიანი უმართლობის მოძღვრება ქართული სისხლისსამართლებრივი მეცნიერების მნიშვნელოვან სიახლედ უნდა ჩაითვალოს.

მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ნაშრომში დასმულია მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომლებიც ფართო და ფუნდამენტური კვლევის ობიექტებს არ წარმოადგენს, მაგრამ თავისთავად ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს, მათ შორის მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც კი. ერთ-ერთი მათგანია სუბიექტური მიზეზობრიობის არსებობის საკითხი სისხლის სამართალში და საერთოდ სოციალურ სფეროში. ეს მნიშვნელოვანი სიახლეა. ავტორის პოზიცია წარმოადგენს გადასინჯვას მარქსისტული ფილოსოფიის მიერ დოგმად ქცეული დებულებისა, რომლის მიხედვითაც არსებობს მხოლოდ და მხოლოდ ობიექტური მიზეზობრიობა, სუბიექტურ სფეროს კი თავისთავად არ ახასიათებს კაუზალობა, იგი შეიძლება იყოს მხოლოდ გამამუალებელი ობიექტურ-მიზეზობრივი კავშირი სხვადასხვა რგოლებს შორის.

ნაშრომის ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ სოციალურ სინამდვილეში მიზეზობრივი კავშირი თავისებურად ვლინდება, ვიდრე ბუნებაში. ამის ნათელი მაგალითია წაქეზება. ამ შემთხვევაში ამსრულებლის მოქმედებისა და მის მიერ გამოწვეული შედეგის აუცილებელ მიზეზად გვევლინება არა რაღაც აბსტრაქტული ობიექტური გარემოებები, არამედ წმინდა სუბიექტური ფენომენი — წაქეზება, დანაშაულის ჩადენისაკენ მოწოდება, ვთქვათ, ისეთი საშუალებით, როგორცაა სიტყვა. მაგრამ სიტყვა არ არის ბგერების მექანიკური ჯამი, არამედ წამქეზებლის გონებაში მომწიფებული, მისი ინტერესების, მიზნებისა და მოტივების გამოხატველი წმინდა სუბიექტური ელემენტია.

საკითხისადმი ავტორისეული მიდგომა მართებულია — აღნიშნა დ. სულაქველიძემ. საერთოდ ადამიანის ნებისმიერი სახის აქტივობა მხოლოდ მაშინ მიიჩნევა მოქმედებად (ქმედობად), როცა იგი გაჯერებულია ისეთი „ფსიქიკური მუხტით“... (ფროიდი), როგორცაა შეგნება, ინტელექტი, ნებელობა, ადამიანის მოქმედების გარეშე არ არსებობს არცერთი სოციალური მოვლენა, ხოლო ადამიანის მოქმედება კი — წმინდა ფსიქიკურის ანუ სუბიექტურის გარეშე, რომელსაც გააჩნია განსაზღვრული ძალა და შესწევს უნარი დასაბამი მისცეს თვით ობიექტური ხასიათის კაუზალობასაც კი. განა შემთხვევითია ის ფაქტი, რომ ადამიანის გონებას, მის სიტყვას შეუძლია ამოძრავოს საზოგადოების დამანგრეველი ძალები? სოციალური ცხოვრების ფაქტები გვაძიძულებს კრიტიკულად შევხედოთ აგრეთვე შესაძლებლობის კატეგორიას სოციალურ სინამდვილესთან მიმართებაში. მაგალითად, ერთობ საეჭვოა შესაძლებლად იქნეს მიჩნეული ისეთი რამ, რომლის განსახორციელებლად (სინამდვილედ ქცევისათვის) აუცილებელია ადამიანის აქტივობა, ხოლო მოცემულ კონკრეტულ სიტუაციაში კი ასეთი ადამიანი არ მოიპოვება. ნიშანდობლივია გამოთქმა: „თეორიულად ასე-

თი რამ შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად გამორიცხულია. აქ იგულისხმება სწორედ სოციალური სინამდვილისათვის დამახასიათებელი ბანალური მოვლენისა — საჭირო სუბიექტური ფაქტორის გარეშე არ არსებობს განსაზღვრული მოვლენის განხორციელების შესაძლებლობა. ალბათ საჭიროა, რომ მომავალში ფილოსოფოსებმა სერიოზული ყურადღება მიაპყრონ სუბიექტური მიზეზობრიობის გამოკვლევას. ყოველ შემთხვევაში საამისოდ პირველი ქვა უკვე ჩადებულია.

დ. სულაქველიძემ სადავოდ მიიჩნია მიზნის გამოცხადება განზრახვი ბრალის სტრუქტურულ ელემენტად. (გვ. 170-171). პირდაპირი განზრახვის დროს ბრალისმიერი გათვალისწინებისა და სურვილის ობიექტი შეიძლება იყოს მათგან დამოუკიდებელი მოვლენის ცნობიერი მოდელი. წინააღმდეგ შემთხვევაში პირდაპირი განზრახვა გადაიქცევა თავისი თავის სურვილად. ასეთი მომენტები განსახილველ ნაშრომში მოიძებნება, — თქვა მან, მაგრამ ისინი არ არიან მნიშვნელოვანი ხასიათისა. შეიძლება თუ არა გამოითქვას არსებითი ხასიათის კრიტიკა ო. გამყრელიძის წიგნის მიმართ? რა თქმა უნდა, საბოლოო ინსტანციის ჭეშმარიტებაზე პრეტენზია არავის არა აქვს და კრიტიკაც შეიძლება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ უარგყოფთ ავტორის კონცეფციას. მაგრამ ეს უქანასკნელი სისხლის სამართლის დოგმატიკის პოზიციიდან იმდენად არგუმენტირებული, მყარი და ლოგიკურად გამართულია, რომ მისი უკუგდება ამის მსურველისაგან მნიშვნელოვან ძალისხმევას მოითხოვს და ადვილი შესაძლებელია ცდა უნაყოფო გამოდგეს.

მთლიანობაში ბატონ ოთარ გამყრელიძის ნაშრომი, როგორც იურიდიული, ისე ლოგიკური თვალსაზრისით წარმოადგენს კარგად დასაბუთებულ, მწყობრ თეორიულ სისტემას, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის ძალზე ბევრი პრაქტიკული საკითხის მართებული გადაწყვეტისათვის. იგი ქართული იურიდიული აზროვნების მაღალღირებულ შენაძენს წარმოადგენს.

უმართლობის სუბიექტური ელემენტების თეორიისადმი კრატიკული დამოკიდებულება გამოხატა თავის გამოსვლაში იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **ლამარა სურგულაძემ**. მიზნის გადმოტანა ობიექტური უმართლობის დასაფუძნებლად — თქვა მან, ვფიქრობ მკითხველისათვის ძნელი აღსაქმელია. სისხლის სამართლის ბევრი ფუნდამენტური საკითხი წიგნში სრულიად ახლებურად არის გააზრებული. ამა თუ იმ პრობლემის გამოკვლევას ავტორი იწყებს იმ კლასიკური თეორიული მემკვიდრეობის ანალიზით, რომელშიც პირველადი სახით არის ჩამოყალიბებული ეს პრობლემა. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ვერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული კონცეფციების გადმოცემა, რაც ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევს იმას, ვინც ენა არ იცის.


მწვავე დისკუსია გაიმართა დანაშაულის ცნების სამნიშნოვანი სტრუქტურის შესახებ. ო. გამყრელიძემ აღნიშნა, რომ ეს სტრუქტურა თანამედროვე სისხლისსამართლებრივი აზრის უდიდეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს. ძნელია მოიძებნოს ისეთი სისხლისსამართლებრივი პრობლემა, რომლის სწორად გადაწყვეტასაც იგი ხელს არ უწყობდეს. ამის ერთერთ დადასტურებას წარმოადგენს თუნდაც ეს ნაშრომი, სადაც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი გაშუქებულია სწორედ დანაშაულის ამ სამნიშნოვან სტრუქტურაზე დაყრდნობით, რასაც მკითხველი ალბად შენიშნავდა. უფრო მეტიც, ამ სტრუქტურის

საფუძველზე შეიძლება გადაწყდეს სისხლის სამართლის პროცესის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. ო. გამყრელიძის აზრით, მომავალი საპროცესო კანონმდებლობის დამუშავების დროს უნდა ჩამოყალიბდეს სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის სამი საფუძველი: 1. დანაშაულის შემადგენლობის არარსებობა, 2. მართლწინააღმდეგობის არარსებობა, 3. ბრალის არარსებობა. დღევანდელი საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი საქმის შეწყვეტისა (დანაშაულის შემთხვევის არარსებობა) სრულიად ზედმეტია და მომავალ კანონმდებლობაში არ უნდა იქნეს შეტანილი.

სხდომის მუშაობა შეაჯამა პროფესორმა თამაზ შავგულიძემ. მან აღნიშნა, რომ ო. გამყრელიძის ნაშრომი ქართული იურიდიული მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენია, იგი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ქართული სისხლის-სამართლებრივი სკოლა ერთ-ერთი უძლიერესია საბჭოთა კავშირში. ნაშრომის მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს საძიებელ პრობლემათა სიღრმისეული კვლევა. ავტორი ემყარება გერმანულ სისხლის სამართალს, ბევრი საკითხი, რომლებიც წიგნში საფუძვლიანად არის გაშუქებული, აქამდე უსამართლოდ იყო მივიწყებული. მართო სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემის დამუშავება რად ღირს. იგივე უნდა ითქვას მართლწინააღმდეგობის ცნებაზე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველზე. სისხლის სამართლის ამ ფუნდამენტურ საკითხთა შესწავლას არასდროს არ ეთმობოდა ჯეროვანი ყურადღება საბჭოურ იურიდიულ ლიტერატურაში. არადა მათ სწორ გადაწყვეტას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სხვა სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტების დამუშავებისათვის.

ძალზე ცოტა შენიშვნები გამოითქვა წიგნის მისამართით. შეიძლება თუ არა საზოგადოებრივ საშიშროებაზე გავლენა მოახდინოს სუბიექტურმა მომენტმა, ავტორის აზრით, მიზანი და მოტივი ახდენს გავლენას ქმედობის საზოგადოებრივ საშიშროებაზე, ბრალი კი არა. ჩემი აზრით, ეს შეხედულება მოკლებულია თანმიმდევრულობას — აღნიშნა პროფ. თ. შავგულიძემ. ბრალსაც შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს საზოგადოებრივ საშიშროების ხარისხზე. მაგალითად, განზრახი ან გაუფრთხილებლობითი მკვლელობისას ან თუნდაც სხვისი სიცოცხლის შემთხვევით მოსპობის დროს უშუალო ობიექტი ერთნაირ ზიანს განიცდის, სხვისი სიცოცხლე ყველა დასახელებულ შემთხვევაში ერთნაირად ისპობა. მაგრამ გარდა უშუალო ობიექტისა, ქმედობა ხელყოფს აგრეთვე განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს, რომლებიც სხვადასხვა შემთხვევაში (განზრახვის, გაუფრთხილებლობის ან შემთხვევის დროს) სხვადასხვაგვარ ზიანს განიცდის. განზრახი მკვლელობის დროს ეს საზოგადოებრივი ურთიერთობები ობიექტურად მეტ ზიანს განიცდიან ვიდრე, მაგალითად, სიცოცხლის შემთხვევითი მოსპობის დროს. პირველ შემთხვევაში, მოქმედება შეუდარებლად უფრო მეტ რეაქციას და მღელვარებას იწვევს საზოგადოებაში და ა. შ.

პროფ. თ. შავგულიძე შეეხო დანაშაულის ცნების სამნიშვნოვანი სტრუქტურის დადებით და უარყოფით მხარეებს. დანაშაულის შემადგენლობის შექმნით და მასთან სასჯელის დაკავშირებით კანონი ამ მოქმედებას მართლწინააღმდეგოდ აცხადებს, რაც შეეხება ბრალს, მის შესახებ ზოგჯერ პირდაპირ არის მითითებული სისხლის სამართლის ნორმის დისპოზიციაში. მაგალითად, „განზრახ“ მკვლელობა (მუხლი 105-ე), „გაუფრთხილებლობითი“ მკვლელობა (მუხლი 107-ე) და ა. შ. ასე რომ მართლწინააღმდეგობისა და ბრალის შემადგენლობიდან გამოტანა, თ. შავგულიძის აზრით ბევრ სირთულეებს წარმოშობს.



ზოგიერთ საკითხზე ჩვენ ავტორისაგან განსხვავებული შეხედულებები გვაქვს, აღნიშნა დასასრულს პროფ. თ. შავგულიძემ, მაგრამ ავტორის აზრი ყოველთვის პატივისცემას იმსახურებს, რადგან იგი ყველა შემთხვევაში ატყუებულ მენტირებული და ლოგიკურად დასრულებულია.

თამარ მბრალიძე.

თურქი იურისტები თბილისში



თურქი იურისტები და ქართველი ჟურნალისტები პრესკონფერენციაზე ელდარ მალხაზიშვილის ფოტო.

თანდათან წარსულს ბარდება ის დრო, როცა საქართველოს აკრძალული ჰქონდა დამოუკიდებელი კონტაქტების დამყარება საზღვარგარეთის ქვეყნებთან. კრემლის დაუკითხავად თვით მეზობელსაც კი ვერ გამოეღლაპარაკებოდი, აღარაფერს ვამბობთ უშუალო კოლიტი-

კურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტაქტებზე. მას შემდეგ კი, რაც საქართველო მყარად დაადგა სრული დამოუკიდებლობის მოპოვების გზას, ფართო შორიზონტები გამოიკვეთა დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმართვისათვის. ცხადია, ყველა ქვეყანასთან და-

მეარებული მეგობრული ურთიერთობა დიდად წაადგება ჩვენს ხალხს, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეზობელ ქვეყნებთან კეთილმოსურნეობასა და მრავალმხრივ ურთიერთთანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით გვიღიჯის პერსპექტივები ისახება თურქეთთან საქმიანი და კეთილმეზობლური ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში.

ამასწინათ საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის მოწვევით ქ. თბილისს პირველად ესტუმრა თურქ მეცნიერ-იურისტთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ სტამბოლის „მარმარის“ უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი მანან თაქალი (დელეგაციის ხელმძღვანელი), იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მარბუნ ონანი, სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ფარინაზ იუსუნიანი და პროფესორი თამაზ აქინაძე.

სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში გაიმართა ქართველ და თურქ მეცნიერ-იურისტთა ერთობლივი სემინარი, სადაც ძირითადად საუბარი იყო საქანონმდებლო რეფორმის აქტუალურ პრობლემებზე. მხარეებმა შეიმუშავეს სატამბოლის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტს შორის სამეცნიერო თანამშრომლობის ხელშეკრულების პროექტი. შეთანხმდნენ, რომ შავი ზღვა ეკოლოგიურად მართლაც შავ დღეშია და გადაუდებელი საქმეა მისი გადარჩენისათვის უალრესად ქმედითი ღონისძიებების გატარება. კერძოდ, საქართველოს აუზის აუზის ქვეყნებში ერთობლივად შეისწავლონ მისი ეკოლოგიური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები.

ნისძიებების გატარება. კერძოდ, საქართველოს აუზის აუზის ქვეყნებში ერთობლივად შეისწავლონ მისი ეკოლოგიური და სამართლებრივი დაცვის პრობლემები.

თურქ მეცნიერ-იურისტთა დელეგაცია მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ალბერტ თაყაიშვილმა, იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხმეციანიძემ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მინდია შარვაშიაძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ლევან ალექსიძემ. ამ შეხვედრების დროს გულახდილად ისაუბრეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე, დასახეს სამომავლო მეცნიერული და პრაქტიკული ურთიერთთანამშრომლობის ფართო პერსპექტივები, გამოხატეს მზადყოფნა, რათა ქართველი და თურქი მეცნიერი იურისტების პირველი საქმიანი შეხვედრა საფუძველი გახდეს მომავალი პერმანენტული კეთილმეზობლური ურთიერთობისა.

თურქი იურისტები შეხვედრენ რესპუბლიკის იურიდიული პრესის წარმომადგენელთა ერთ ნაწილს და გაიმართა მცირე პრესკონფერენცია, სადაც სტუმრებმა ამომწურავად უპასუხეს ქართველ ჟურნალისტთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

თბილისში სტუმრობის დროს პროფესორმა თომან აქინაძემ, სპეციალურად ჩვენი ჟურნალისათვის მოამზადა სტატია, რომელიც ეხება თურქეთის სამართლის ევროპიზაციის პრობლემებს. ეს წერილი გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის უახლოეს ნომერში.

გულა ბარქანდინი

განცხადება

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში დაიბეჭდა გ. ტყემულიძის წერილი, რომელშიც განხილულია ოთარ გამყრელიძის ნაშრომი „სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, წერილის სქოლიოში 136-ე გვერდზე შეცდომით სიტყვა „ურთიერთობის“ ნაცვლად უნდა იყოს „უმართლობის“.



© „სამართალი“, 1991 წ.

რედაქციის მისამართი: 880119, თბილისი, ჭავჭავაძის ქ. 108,

ტელ: 98-86-49, 98-86-87

გადაეცა წარმოებას 23.05.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26.07.91 წ.

ფორმატი 70x108^{1/8}, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 1035, ტრაჟი 10.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14.

ცხადდება კონკურსი



საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო აცხადებენ ერთობლივ კონკურსს „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს შექმნაზე.

საგნის წლიური დატვირთვა განისაზღვრება 34 საათით (კვირაში 1 საათი). სახელმძღვანელო უნდა შეიცავდეს იურიდიული ცოდნის ზოგად პრინციპებს, ინფორმაციას სამართლის დარგების მიხედვით, საკუთრივ ქართული სამართლის საკითხებს, საკანონმდებლო ცვლილებათა ძირითად ტენდენციებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა საკონკურსო მასალა უნდა წარმოადგინონ 1991 წლის 1 დეკემბრამდე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია შემდეგი თანხა:

პირტი I პრემია — 10.000 მანეთის ოდენობით;

პირტი II პრემია — 3.000 მანეთის ოდენობით;

ორი III პრემია — თითოეული 1000 მანეთის ოდენობით.

პრემირებული საკონკურსო მასალა გადადის კონკურსის გამომცხადებელი ორგანიზაციების საკუთრებაში და გამოიყენება დანერგვისათვის.

ნამუშევარი ჩაბარდება როგორც პირადად, ასევე ფოსტით. საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იქნეს დევიზით — ხუთნიშნა რიცხვით. დევიზი იწერება ნამუშევარზე და კონვერტზე, რომელშიც უნდა ჩაიდოს საინფორმაციო ფურცელი: გვარის, სახელის, მამის სახელის, მისამართის (ინდექსით), დაბადების წლისა და სპეციალობის მითითებით. თუ ნამუშევარი შესრულებულია ავტორთა ჯგუფის მიერ, კონვერტში უნდა ჩაიდოს ცალკე ფურცელი თითოეული ავტორის მონაცემებით და პრემიის პროცენტული განაწილებით.

კონკურსის მასალების ჩაბარებისა და ცნობებისათვის მიმართეთ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

ქ. თბილისი, 380008, უზნაძის ქ. № 52; ტელ.: 95-83-66.

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практический журнал Союза юристов Республики Грузия.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло».

380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

636/91



ქართული
ბიბლიოთეკა

ფანო 1 მან.
ნომერი 76185